

გიორგი არაბული

ლიტერატურული წერილები
და სხვა...

თბილისი

2013

წინათქმა, ანუ ანოტაცია

კრებულში იბეჭდება წერილები შოთა რუსთველის ბიოგრაფიისა და მისი თხზულების სხვადასხვა საკითხზე (პოემის ხელნაწერები, გამოცემები, რითმის სახეები და სხვ.), რომლებიც არ შესულა ჩვენს მონოგრაფიულ გამოკვლევებში: “შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში” (1992 წ.) და “ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის პრობლემები” (2004 წ.). თუმცა მათი უმეტესობა გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა დროს ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

რამდენიმე სტატია ეხება საშუალო განათლების პრობლემებს, მათ შორის – ქართული ლიტერატურის სწავლებას VIII-XI კლასებში. ისინი გასული საუკუნის 80-იან წლებშია დაწერილი. მას აქვთ საგნების პროგრამები და სწავლების მეთოდებიც შეიცვალა, მაგრამ საერთო მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა; იგივე პრობლემები ახლაც დგას ჩვენი განათლების სისტემის მესვეურთა და პედაგოგთა წინაშე. ესეც არ იყოს, ეს წერილები შეიცავს გარკვეულ მასალას დასახელებულ პერიოდში ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში გარდატეხის დაწყებისა და ახალი გზების ძიების შესახებ.

აქ წარმოდგენილ ორ წერილში ლაპარაკია დემოგრაფიულ პრობლემებზე. ეს საკითხები კომუნისტური მმართველობის დროს ერთობლივად, სსრკ-ის მასშტაბით განიხილებოდა, ცალკეული რესპუბლიკების მთავრობები დამოუკიდებლად ვერაფერს წყვეტდნენ. ამიტომ მკითხველმა უნდა გვაპატიოს ამ წერილების სტილი და ზოგადი მონაცემების უხვად დამოწმება. ერთი სტატიის ქართული დედანი აღარ შემოგვრჩა, ამიტომ ვაქვეყნებთ იმ სახით, როგორც მომზადებული იყო რუსულ პრესაში დასაბეჭდად.

მათი გამოქვეყნება შეიძლება იმით იყოს გამართლებული, რომ, დემოგრაფიული პრობლემა საქართველოში ამჟამად მაშინდელზე გაცილებით მწვავედ და მტკივნეულად დგას, რაც არა მარტო ხელისუფლებამ, არამედ საზოგადოებამაც უნდა იცოდეს.

ხელისხელ საგოგმანები

“ვეფხისტყაოსანი” საქართველოში ყველაზე ძვირფასი და საყვარელი წიგნია.

შოთა რუსთაველმა ხალხის საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ცოდნისა და დიდი ნიჭის შემწეობით შექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც ერის ზნეობისა და მისწრაფების გამომხატველი გახდა. “ვეფხისტყაოსანში” ხალხი ხედავდა პატრიოტიზმის, ვაჟკაცობის, წრფელი სიყვარულის და უანგარო მეგობრობის მაგალითს, დიდ წინააღმდეგობათა დაძლევით მოპოვებული ბედნიერების სიხარულს.

რუსთაველის ეპოქის შემდგომ საუკუნეებში ქართველ ხალხს დაუდგა მძიმე განსაცდელის ხანა. თავდასხმებითა და ხოცვა-ჟლეტით, ღალატითა და სულმოკლეობით არეულ ეპოქაში მას სჭირდებოდა გამამხნეველი და მანუგეშებელი. ასეთ გზის მაჩვენებლად და მანუგეშებლად მოევლინა ხალხს დიდი პოეტის ნაწარმოები.

დიადი იდეების მქადაგებელი რუსთაველის წიგნი ქართული ოჯახისათვის წმინდა და აუცილებელ ნივთად იქცა. ყველა შეძლებული პირი ცდილობდა, რომ ჰქონოდა ლამაზად გადაწერილი ვეფხისტყაოსანი.

მეფეები თავიანთ მდივანმწიგნობრებს ავალებდნენ ვეფხისტყაოსნის გადაწერას, დიდებულები და თავადები ცნობილ კალიგრაფებს აწერინებდნენ და დიდ ფასსაც იხდიდნენ (წიგნების გადაწერა იმ დროს ერთ-ერთი საპატიო ხელობა იყო). ასე

გადაწერილი და ძვირფას ყდაში ჩასმული წიგნი (ტყავის ან ხის ყდაში ჩასმული და ზოგჯერ მოოქროვილიც) ოჯახისა და გვარის სიამაყედ ითვლებოდა.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს სათუთად ინახავდნენ ნაბეჭდი გამოცემების გავრცელების შემდეგაც. 1909 წელს ექვთიმე თაყაიშვილს გაუგია, რომ ახმეტაში, ჩოლოყაშვილების ოჯახში ინახებოდა პოემის ხელნაწერი და უთხოვია, დაეთმოთ იგი მუზეუმისთვის. მის პატრონს, რევაზ ჩოლოყაშვილის ქვრივს უთქვამს: ჩემმა ქმარმა გაყოფის დროს ცამეტი დღიური მიწა დაუთმო ძმებს ამ ხელნაწერის სანაცვლოდ.

გარეშე მტრების თავდასხმის დროს ბევრი ხელნაწერი მოისპო, ბევრიც სხვადასხვა მიზეზით საქართველოს გარეთ გაიტანეს და სხვადასხვა ქვეყნების წიგნსაცავებში მოხვდა. აი ერთი ხელნაწერის ისტორია: მე-17 საუკუნეში იოსებ ტფილელის მიერ გადაწერილი “ვეფხისტყაოსნის” პირველი მფლობელი ყოფილა სარდალი ზაზა ციციშვილი. მისი სიკვდილის შემდეგ ხელნაწერს ფლობდა ვახტანგ IV-ის მამა, ლევან ბატონიშვილი, შემდეგ – თვით ვახტანგი. აქედან მზითვად წაუღია ვახტანგის ქალს, თამარს, და ინახებოდა თეიმურაზ მეორის ოჯახში. აქ პოემა გადასულა ერეკლე მეორის ქალის თეკლეს, ხოლო მისგან – მისი შვილს პოეტ ალ. ორბელიანის ხელში. 1853 წ. ალ. ორბელიანს ხელნაწერი საჩუქრად გაუგზავნია მთავარმართებელ ვორონცოვისათვის. ამის შემდეგ ხელნაწერი ვორონცოვის პირად არქივთან ერთად მოხვდა ყირიმში, ოდესაში, ბოლოს პეტერბურგში, სადაც რევოლუციის შემდეგ გადავიდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მფლობელობაში. 1935 წ. გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს.

მეორე ხელნაწერი (ჟ27) მის ერთ-ერთ მფლობელს საქართველოდან წაუღია იალტაში. აქედან წიგნი მოხვდა ჯერ კონსტანტინეპოლში, შემდეგ პარიზში. აქ 1949 წელს იგი უყიდა ერთ ინგლისელს 25000 ფრანკად და შეუწირავს ბრიტანეთის მუზეუმისათვის.

ეს მაგალითები ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა მძიმე “თავგადასავალი” ხვდომია წილად პოემის თითოეულ ხელნაწერს; როგორ გადადიოდა ისინი ხელიდან ხელში, როგორც ძვირფასი განძი.

ამჟამად საქართველოსა და საზღვარგარეთის წიგნსაცავებში ინახება ვეფხისტყაოსანის 153 ხელნაწერი. მკვლევარებმა შეისწავლეს თითოეული ხელნაწერის ისტორია, გადაწერის დრო, მათი ურთიერთდამოკიდებულება და მეცნიერული მნიშვნელობა. აღმოჩნდა, რომ პოემის ტექსტის დაზუსტება-გასწორებისათვის გამოდგება 48 ხელნაწერი. სხვები ან ამ ხელნაწერებიდან, ანდა ბეჭდური გამოცემებიდან არის გადაწერილი. აღნიშნული 48 ხელნაწერიდან უმეტესობა ინახება თბილისის წიგნსაცავებში, ზოგიც ქუთაისის მუზეუმში. ერთი ხელნაწერი ინახება ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ერთიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ორი კი ინგლისში ქ. ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში.

ყველაზე ძველი თხუთმეტოდე ხელნაწერი გადაწერილია მე-17 საუკუნეში. უფრო ძველი ნუსხები არ შენახულა, რაც ამნელებს იმის გარკვევას, თუ რა ცვლილებას განიცდიდა “ვეფხისტყაოსნის” ტექსტი ოთხი საუკუნის მანძილზე, მე-13 საუკუნიდან მე-17 საუკუნის დასაწყისამდე.

დღეისათვის დაბეჭდილია მრავალი დამხმარე და საცნობარო ლიტერატურა (ხელნაწერთა ვარიანტები, სტროფული საძიებლები და სხვა), საიდანაც ნათლად ჩანს, ხელნაწერები რანდენად განსხვავდება

ერთმანეთისაგან არა მარტო ცალკეულ სიტყვათა ფორმებით, არამედ სტროფული შემადგენლობითა და საერთო მოცულობით.

ყველა ხელნაწერი განსხვავდება პოემის იმ ტექსტიდან, რომელსაც ნაბეჭდი გამოცემებით ვიცნობთ. ხელნაწერებში მოიპოვება ბევრი სტროფი, რომელიც რუსთაველს არ ეკუთვნის, აგრეთვე პოემას ბოლოში დამატებული აქვს რამდენიმე თავი, სადაც გადმოცემულია გმირების ამბავი ტარიელისა და ნესტანის ქორწილის შემდეგ, მათი გარდაცვალება და ანდერძები. ეს ჩამატებული ადგილები და გაგრძელებები შექმნილია შემდგომი დროის მოლექსეთა და პოემის გადამწერთა მიერ. ზოგი მათგანის ვინაობა ცნობილია (მაგ., სარგის თმოგველი, “ვინმე მესხი”, ნოდარ ციციშვილი, იოსებ სააკაძე, აღმურანთ გასპარა, გიორგი თუმანიშვილი).

ამგვარი ჩანართები და გაგრძელებები მხატვრულად სუსტია რუსთაველის ლექსთან შედარებით, ხშირად ზედმეტად ტვირთავს ცალკეულ ეპიზოდებს, აბრკოლებს მოქმედების განვითარებას და მკითხველს უძნელებს ნაწარმოების აზრისა და პოეტური ოსტატობის შეგრძნებას. ზოგან ეს ჩანართები ისეა დამკვიდრებული და დაკავშირებული პოემის შინაარსთან, რომ ძნელი ხდება მათი გამორჩევა რუსთაველისეული ტექსტიდან.

ახლა “ვეფხისტყაოსანი” იბეჭდება არა მარტო ქართულ, არამედ საზღვარგარეთის ხალხთა რამდენიმე ათეულ ენაზე. ყველა ქვეყნის ადამიანისათვის გასაგები და ახლობელია ის მაღალი და კეთილშობილური იდეები, რომელთაც ქადაგებდა უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, 1966, N114.

“ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს”

“ვეფხისტყაოსანი” პირველად დაიბეჭდა 1712 წელს თბილისში, ვახტანგ VI მიერ დაარსებულ სტამბაში. ტექსტი გამოსაცემად გამართა “სწავლულ კაცთა” რედაქციამ ვახტანგ მეფის ხელმძღვანელობით. ვახტანგმა პოემას დაურთო ახსნა-განმარტება და ლექსიკონი. ამ გამოცემისა და მე-17 საუკუნის ხელნაწერების შესწავლით მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონია პოემის ვრცელი ხელნაწერები, რომელთაგან ამოუღია გვიანდელი ჩანართ-დანართები და დაუბეჭდავს, მისი შეხედულებით, რუსთველისეულ პოემასთან მიახლოებული ტექსტი. ეს გამოცემა შეიცავს 1587 სტროფს (ვრცელ ხელნაწერებში 2000-ზე მეტი სტროფი შედის).

ვახტანგისეული გამოცემის ტირაჟი დიდი არ ყოფილა. თანაც რაღაც მიზეზით ამ გამოცემის ნაწილი მოსპობილა. ამის გამო მე-18 ს-ში და მე-19 ს. პირველ ნახევარშიც ვეფხისტყაოსანი კვლავ ხელნაწერებით ვრცელდებოდა. ხელახალი გამოცემა კი მხოლოდ 1841 წელს მოხერხდა. პოემა დაიბეჭდა პეტერბურგში მარი ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის რედაქციით. ამ გამოცემაში ვახტანგისეულ ტექსტს დაუმატეს ხელნაწერებიდან 48 ახალი სტროფი. 1860 წ. დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა ხელახლად შესწორებული ტექსტი.

1881 წელს სპეციალური კომისია შეუდგა მუშაობას ახალი გამოცემის მოსამზადებლად. კომისიაში შედიოდნენ: გრ. ორბელიანი, ი.ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ი. მაცაბელი, ი. მეუნარგია, დ. ყიფიანი და სხვები. მათ მიერ შესწორებული ტექსტი დაიბეჭდა 1888 წელს გ. ქართველიშვილის ხარჯით, რის გამოც ეწოდა

ქართველიშვილისეული გამოცემა. წიგნი ლამაზად იყო გაფორმებული დ. ტატიშვილის მიერ და ერთვოდა უნგრელი მხატვრის მ. ზიჩის ილუსტრაციები. ამ გამოცემაში ვახტანგისეულ რედაქციასთან შედარებით პოემას გამოაკლდა 16 სტროფი და დაემატა ხელნაწერებიდან 5 ახალი სტროფი. შემდგომი გამოცემების ტექსტი იბეჭდებოდა ამ რედაქციის მიხედვით. მაგრამ მალე გამოვიდა ახალი კრიტიკული და ერთმანეთისგან განსხვავებული გამოცემები: დ. კარიჭაშვილისა (1903, 1920, წ.); ს. კაკაბაძისა (1913, 1927 წ.); იუსტ. აბულაძისა (1914, 1926 წ.), კ. ჭიჭინაძისა (1934 წ.).

1937 წელს დაიბეჭდა სპეციალური კომისიის მიერ მომზადებული საიუბილეო გამოცემა, რომელშიც შევიდა 1669 სტროფი. ამავე წელს ა. შანიძემ აღადგინა ვახტანგისეული გამოცემა. 1953 წ. გამოიცა პ. ინგოროყვას მიერ, ხოლო 1951 და 1957 წლებში ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის მიერ შესწორებული ტექსტი.

მიმდინარე (1966) წელს დაიბეჭდა “ვეფხისტყაოსნის” რამდენიმე ახალი გამოცემა. გამოვიდა პოემის ახალი რედაქცია, რომლის ტექსტი მოამზადეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიაში გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა და გურამ კარტოზიამ. პოემის ტექსტი მნიშვნელოვნად არის შეცვლილი და გასწორებული წინა გამოცემებთან შედარებით. წიგნს ერთვის ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციები. იგივე ტექსტი დაიბეჭდა მინიატურული ფორმატით, რომელიც მხატვრულად არის გაფორმებული და დართული აქვს ს. ქობულაძის ილუსტრაციები.

დაიბეჭდა სპეციალური საიუბილეო გამოცემა ორი სახით (განსხვავება მხატვრულ გაფორმებასა და ილუსტრაციებშია). სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი. ეს გამოცემა ემყარება ზემოდასახელებულ

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიაში მომზადებულ ტექსტს, რომელშიც სარედაქციო კოლეგიამ შეიტანა მცირეოდენი ცვლილებები. გამოვიდა აგრეთვე კრიტიკული გამოცემა, მომზადებული ალ. ბარამიძის და ა. შანიძის მიერ. ამ გამოცემაში ძირითად ტექსტთან ერთად სრულად წარმოდგენილია განსხვავებული წაკითხვები, რომლებიც ხელნაწერებში ანდა ნაბეჭდ გამოცემებში მოიპოვება.

ამრიგად, რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის საიუბილეოდ ქართველმა მკითხველმა მიიღო ვეფხისტყაოსნის ხუთი ახალი გამოცემა. დაიბეჭდა აგრეთვე პოემის თარგმანები: რუსულად (შ. ნუცუბიძისა და ნ. ზაბოლოცკისა), ფრანგულად (ს. წულაძისა), ინგლისურად (მ. უორდროპისა).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცემები, რომლებიც საიუბილეოდ მიიღეს მკითხველებმა, გამოირჩევა გამოცემის მაღალი კულტურით.

“ვეფხისტყაოსნის” ქართულ გამოცემათაგან უმეტესობა დაბეჭდილია თბილისში, ორჯერ დაიბეჭდა ქუთაისში (1883, 1918 წ.). ორჯერ – ოზურგეთში (1891, 1892 წ.). ორჯერ – ბათუმში (1899 წ.). სამჯერ პეტერბურგში (1841, 1846, 1860 წ.), თითოჯერ - ახალ-სენაკში (1896 წ.), ბერლინში (1943 წ.) და პარიზში (1963 წ.).

“ვეფხისტყაოსანი” თარგმნილია 39 უცხო ენაზე. რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებს დღეს მთელი მსოფლიო კითხულობს.

გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, 1966, N114.

P.S. ამის შემდეგ, 1967-დან 2009 წლამდე “ვეფხისტყაოსანი” ქართულ ენაზე კიდევ 50-ჯერ დაიბეჭდა. ამათგან ტექსტის შედგენილობის მხრივ საყურადღებოა პ. ინგოროყვას (1970 წ.), ნ. ნათაძის (სასკოლო, 1974 წ.) და აკადემიური ტექსტის დამდგენი

კომისიის (1988, 2006 წ.) გამოცემები. ხოლო უცხოურ ენებზე დაბეჭდილს შეემატა: გერმანული (ჰ. ბუდენზიგის), ესპანური (გ. ბოტაროს), ოსური (გ. ბესთაუთის), ებრაული (ბ. გაპონოვის), აფხაზური (მ. ლასურიას), ინგლისური (ვ. ურუშაძის), აზერბაიჯანული (ა. ჯავადის), არაბული (ნიზარ ხალილის), სპარსული (ფარშიდ დელშადის), ფინური (ოლავი ლინუსის) და ქურთული თარგმანები. გ. ა. 2010

“ვეფხისტყაოსნის” რითმის ზოგიერთი საკითხი

შოთა რუსთველი რომ უდიდესი შემოქმედია საგნებისა და მოვლენების მხატვრული ასახვის, მეტაფორული და სიმბოლური გააზრების მხრივ, ამის თქმა ქართველი მკითხველისათვის სიახლე არ იქნება. ასევე, შუა საკუნეების ქართულ პოეზიაში რუსთველს ტოლი არა ჰყავს პოეტური სინტაქსის, ბგერწერისა და რითმის სრულყოფილების თვალსაზრისით.

“ვეფხისტყაოსნის” რითმების ინდექსი პირველად პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ შეადგინა. ეს ინდექსი ერთვის მისი რედაქტორობით 1934 წელს დაბეჭდილ რუსთველის პოემის ტექსტს.

1972 წელს გამოვიდა პროფ. აკაკი ხინთიბიძის მიერ შედგენილი “ვეფხისტყაოსნის რითმათა სიმფონია”, ხოლო 1973 წელს – “მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში”, გამოსაცემლად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, გურამ კარტოზიამ, ცოტნე კიკვიძემ, სარგის ცაიშვილმა, აკად. გ. წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით.

დასახელებულ სამივე წიგნში სხვადასხვაგვარია რითმის რაობის გაგება და ინდექსის შედგენის პრინციპიც. კ. ჭიჭინაძის თვალსაზრისით, რითმა იწყება კლაუზულის პირველი ხმოვანი ბგერით; მისი თქმით, “რითმა იზომება მხოლოდ მახვილიანი ბგერის მარჯვნივ მოთავსებული მარცვლების რაოდენობით”. ამ პრინციპით 57-ე სტროფის სართიმო სიტყვებისათვის: ნათურქალსა _ ნასუქალსა _ ნაბუქალსა _ ქალსა, რითმა იქნება “ალსა”. სტროფებში, სადაც ფაქტობრივად ოთხმარცვლოვანი რითმებია _ 417: უბნევია _ უქმნევია _ უთნევია _ უთქმევია; 485: გაგიგია _ არ იგია _ და რიგია _ დამიგია; 574: ნალიქნია _ ნუ შუქნია _ არ მიქნია _ დამიქნია; 686: ვსვამ იგია _ წამიგია _ გამიგია _ რას მიგია, _ ყველგან რითმად ნაჩვენებია ორბგერიანი და ორმარცვლიანი “ია” (9). ასეთი კვალიფიკაცია კი “ვეფხისტყაოსნის” რითმებს მეტისმეტად აღარიბებს.

ა. ხინთიბიძის აზრით, ქართული ლექსის რითმას მთლიანი სიტყვები ქმნიან: “რითმად მიჩნეულ უნდა იქნას ერთი და იგივე ან მსგავსი ჟღერადობის სიტყვათა განმეორება”. მისეულ “რითმათა სიმფონიაში” დამოწმებულია მთლიანი სიტყვები, რომლებსაც რუსთველი სართიმო ცალების შესადგენად იყენებს.

კრებულში “მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში” გათვალისწინებულია ე.წ. საყრდენი თანხმოვნის მნიშვნელობა რითმის სრულყოფისათვის. აკად. გ. წერეთლის დაკვირვებით, საყრდენთანხმოვნიანი, ანუ მდიდარი რითმების რაოდენობა “ვეფხისტყაოსანში” 200-მდე აღწევს. ასეთებია: ბილისა (1450: ტკბილსა _ ლბილისა _ წბილისა _ კბილისა); დარებით (1507: შემუდარებით _ დარებით _ დარებით _ მიუმხვდარებით); ზმულობა (396: ხანდაზმულობა _ მოკაზმულობა _ დარაზმულობა _ ხვარაზმულობა); ნაროსა (35: სასაუბნაროსა _ დაამჭკნაროსა _ საბაღნაროსა _ უთენაროსა) და სხვ.

“ვეფხისტყაოსნის” რითმების სამივე დასახელებული ინდექსი პოემის ტექსტის სხვადასხვა გამოცემას ემყარება. როგორც ვნახეთ, მკვლევარნი რითმებსაც სხვადასხვა ნიშნით განსაზღვრავენ. ამის გამო რუსთველის პოემის რითმათა საერთო რაოდენობა ზუსტად დადგენილი არაა. კ. ჭიჭინაძე 1745 სტროფიან ტექსტში სულ 735 რითმას ითვლის. გ. წერეთელი 1966 წლის გამოცემის 1587 სტროფში 909 რითმას აღრიცხავს (ამათგან 404 რითმა ორმარცვლოვანია, 493 – სამმარცვლოვანი, 11 – ოთხმარცვლოვანი, ერთიც – ხუთმარცვლოვანი).

აღნიშნული რითმების აბსოლუტური უმრავლესობა (97%) ზუსტი (იდენტური) რითმებია, რაც გულისხმობს სარიტმო ერთეულებში ხმარებული ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების სრულ შესაბამისობას.

ამჟამად გვინდა სპეციალისტების, კერძოდ, ლექსმცოდნეთა ყურადღება მივაპყროთ ე.წ. **შედგენილ რითმებთან** დაკავშირებულ ზოგიერთ სადავო საკითხს.

შედგენილს უწოდებენ ისეთ რითმას, რომლის სარიტმო ცალი (ან ცალები) სცილდება ერთი სიტყვის ფარგლებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც ერთი სიტყვა საკმარისი არაა სრულფასოვანი სარიტმო ერთეულის მისაღებად და პოეტი იყენებს ორ სიტყვას, ან ერთ სიტყვას და მეორის ნაწილს (იშვიათად – ორ სიტყვასა და მესამის ნაწილს).

“ვეფხისტყაოსანში” რითმის შესადგენად გამოყენებულია მორფოლოგიური კლასიფიკაციით ცნობილი მეტყველების ყველა ნაწილი, ზმნისწინების, ნაწილაკებისა და შორისდებულების ჩათვლით (6). ვნახოთ ზოგიერთი მათგანი.

- 1) ჩვეულებრივია ორსიტყვიანი სარიტმო ცალები, მაგალითად, ასეთი:

... მის ყმისა გულმდულარისად,

... ჰგია გიშრისა ღარი სად (სტრ.85)

... შუქნი თქვენ ჩემთვის არენით,

... გულითა სწადდა, არ ენით (1196).

2) სარიტმო ერთეული მოიცავს ერთ მთლიან სიტყვასა და მეორე სიტყვის ნაწილს. მიმატებული, შემავსებელი ნაწილი დგას მთელი სარიტმო სიტყვის წინ:

... ნადირთაგან სისხლი ისხეს

... ჰგავსო ალვას, ედემის ხეს (76).

დაბალი შაირის სამმარცვლიან რითმაში ამის მაგალითია:

... საქმე ვქმენ საჭოჭმანები,

... ლაღმან და ლამაზმა ნები (9).

3) სარიტმო თანაცალის შემავსებელი ნაწილი დგას მთლიანი სიტყვის შემდეგ:

... წინაშე უზის სკამითა,

... ასრე დაღრეჯით ამით-ა (102) _ ა “არს” ზმნის ნაშთია.

4) მიმატებული მარცვალი შეიძლება ნაწილაკი იყოს:

... ხატაეთით გავემგზავრე,

... რაცა მწადდა, აგრე ყყავ-რე (457).

5) სამელებმენტიანი სარიტმო ერთეულებია: მადესა / მზად ეს-ა (567); გაუჩინარდა /ვინ არ და – (574); ასად აგეს /ა, სად აგეს (137).

შედგენილი რითმები ფონეტიკურ-მორფოლოგიური აგებულებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ყველგან დაცულია აუცილებელი პირობა: **სარიტმო ერთეულის შემადგენელი ყოველი ნაწილი სიტყვას ან მარცვალს უნდა წარმოადგენდეს**, – თუ ერთი ბგერაა, ის ხმოვანი უნდა იყოს, ორ და მეტბგერიანი ნაწილი კი ერთ ხმოვანს მაინც უნდა შეიცავდეს. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ დამყარდეს ევფონიური ჰარმონია სხვა სარიტმო ერთეულებთან.

კრებულში “მეტრი და რითმა ვეფხისტყაოანში” დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სარიტმო ერთეულის შედგენაში მეორე სიტყვიდან **მხოლოდ თანხმოვანი** ბგერა მონაწილეობს. მაგალითად, 527-ე სტროფის სარიტმო სიტყვებია: მიმხვდარა /გამხდარა/ არად არა/ მომცდარა. რითმად გატანილია **დარა** (7,140). მესამე ტაქტში “არად” სიტყვის **დ** ბგერა მიჩნეულია სარიტმო ერთეულის ნაწილად.

713-ე სტროფის ტაქტები ასე ბოლოვდება: მინდორს რულნი /სპანი სრულნი/ სრანი სრულნი/ იყვნეს რულნი. რითმად ნაჩვენებია **სრულნი** (7,192).

746-ში: მოშიშრად ენითა/ ესოდენითა /ცრემლთა დენითა/
იანაზდენითა – რითმად გატანილია **დენითა** (7,232).

813-ის ტაქტთა დაბოლოებებიდან: იხსენები/ სენები/ ვისთვის ენების/
იტყვის ენები – რითმად ითვლება **სენები** (7, 295-296).

კრებულის შემდგენლები მიიჩნევენ, რომ ოცამდე სტროფში არის ანალოგიურად შედგენილი **საყრდენთანხმოვნიანი ზუსტი რითმა**. ეს რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ გარკვეული კანონზომიერება იქნას დადგენილი, თუკი ის მეტყველების ბუნებიდან გამოდის და ასეთ შემთხვევებში ნამდვილად თუ იქმნება სრულყოფილი რითმა. იგულისხმება, რომ **ზუსტმა რითმამ** ბგერათა აკუსტიკური ჟღერადობით უნდა გააძლიეროს ლექსის ესთეტიკური

ზემოქმედების ძალა, ამასთან ერთად, ხელი შეუწყოს სტროფის შინაარსის აღქმასა და დამახსოვრებას.

აქ გასათვალისწინებელია ლექსმცოდნეობის ქართული სკოლის მიერ დადგენილი შემდეგი კანონზომიერება: “ვეფხისტყაოსნის” მეტრი სილაბურ სეგმენტთა სტრუქტურას ემყარება; მუდმივი სტრუქტურული ერთეულებია ოთხმარცვლიანი სეგმენტი (ანუ მუხლი) მაღალ შაირში და სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტები დაბალ შაირში (2;3;8;5). ცნობილია აგრეთვე, რომ სეგმენტები (მუხლები) შედგება ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან, მაგრამ თვით **სიტყვა არ განაწილდება სეგმენტებს შორის: “სიტყვისაგან ნაწილის გამოყოფა და სხვა სეგმენტისათვის მიკუთვნება არ შეიძლება”** (8,27). ამის გარდა, არსებობს **მიჯნა** (პაუზა) სიტყვებს შორის, რომლის მოშლა, გაუქმება, ამ სიტყვებს აზრს უკარგავს და არ შეეფერება არც ჩვეულებრივ და არც პოეტურ მეტყველებას. მიჯნის ფაქტორი მოქმედებს ერთი სიტყვის ფარგლებშიც, სადაც **მიჯნით გამოიყოფა მთელი მარცვლი** (მახვილიანი ან უმახვილო ხმოვნით), მაგრამ მხოლოდ თანხმოვანი – არასოდეს (8,45-46).

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ზემოაღნიშნულ საყრდენ-თანხმოვიან რითმებს, აუცილებლად დადგება კითხვა: მეტყველების რომელი წესისა და შესაძლებლობის საფუძველზე გამოიყოფა სიტყვას უკანასკნელი თანხმოვანი ბგერა და როგორ ერთიანდება მომდევნო სარიტმო სიტყვასთან?

აღნიშნულ შემთხვევებში გრაფიკულად მართლაც ჩანს სტრიქონთა დაბოლოებების იდენტურობა, მაგრამ ეს შთაბეჭდილება ილუზორულია, – წარმოთქმის დროს სიტყვები მაინც ინარჩუნებენ ბუნებრივ საზღვრებს და ლოგიკურ ფუნქციას, ანუ ბგერათა გარკვეულ ერთიანობაში ჩადებულ მნიშვნელობას. თანხმოვანი ბგერა

ვერ გამოეყოფა მის მომცველ მარცვალს და წარმოთქმისას ისე ვერ მიუერთდება მეორე სიტყვას, რომ ზუსტი რითმის შთაბეჭდილება შექმნას. ხოლო თუ ძალდატანებით (გამოთქმის დროს სიტყვების შეერთებით ან ბგერების თვითნებური კომბინირებით) შევეცდებით ამის მიღწევას, მაშინ ორივე სიტყვა უაზრო გახდება. სიტყვების სემანტიკური მნიშვნელობა კი მთავარია როგორც ტაქტის, ისე რითმის აღსაქმელად და დასამახსოვრებლად. ვნახოთ ეს კონკრეტულ მაგალითზე:

სისხლმან და ცრემლმან გარევიტ ღაწვი ქმნის ღარად და ღარად;

იტყვის: “მზე ჩემგან თავისად კმა დასადებად აღარად;

მიკვირს, თუ გული აღმასი შავმან წამწამმან დაღა რად!

ვირე ვნახვიდე, სოფელო, მინდი სალხინოდ აღარად!” (705).

ამ სტროფის რითმად მიჩნეულია “**დაღარად**” (7,გვ.232).

პირველი და მესამე ტაქტების დაბოლოებანი: “და ღარად/დაღა რად” მართლაც ქმნიან ომონიმურ რითმას, მაგრამ მეორე და მეოთხე ტაქტებში ასეთივე რითმის შესაძლებლობა დასაბუთებული არაა. ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია ორი სიტყვის შეერთება და მათი ისე დამარცვლა, თითქოს ერთი სიტყვა იყოს (და-სა-დებ-ლა-და-ღა-რად). ასეთი რამ თუ შესაძლებელია, მას ფონეტიკურ-მორფოლოგიური კანონზომიერება უნდა მოეძებნოს, რაც იმის აღიარებამდე მიგვიყვანს, რომ სიტყვებს შორის მიჯნის არსებობა ყოველთვის არ ყოფილა აუცილებელი.

მეორე და მეოთხე ტაქტებში რითმას ქმნის ფონეტიკურად და შინაარსით მსგავსი სიტყვები “აღარად”. ეს რითმა ტავტოლოგიურია, მაგრამ წინ **ღ**-ს მიმატება ამას ვერ აგვაცილებს, ტაქტების აზრს კი აბუნდოვანებს და ძნელად მისახვედრს ხდის. მკითხველი და

მსმენელი გამოთქმებს “დასადებლად აღარად” და “სალხინოდ აღარად” ორ-ორ სიტყვად აღიქვამს და მათ აზრს უფრო ნათლად წარმოიდგენს, ვიდრე უმინარსო “დაღარად” ბგერათკომპლექსს. ჩვენი გაგებით, ამ სტროფში ორი რითმაა: ომონიმური “და ღარად/ დაღარად” და ტავტოლოგიური “აღარად/ აღარად”.

სხვა შემთხვევებშიც შესაძლებლად მიგვაჩნია, ვცნოთ **არაიდენტური** რითმების არსებობა: დარა/ არა (527), სრულნი/ რულნი (713), ნაროს/ აროს (758), თალი/ ალი (563), თალსა/ ალსა (517), დენითა/ენითა (746), სრულითა/ რულითა (998), სადარე/ ადარე (1201), დარებად/ არებად (1525), სალამე/ ალამე (1562) და სხვ.

რუსთველის პოემის ზოგიერთ გადამწერს შეუნიშნავს არაიდენტური რითმები და უცდია მათი გასწორება _ შელამაზება. მაგალითად, 608-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ასე იკითხება: “იბრძვის ლომი და პირად მზე, **იგი ალვისა ხენია**”. აქ ფრიდონზეა საუბარი; ტარიელის თქმით, იგი არის პირისახით მზის, ძალ-გულით _ ლომის, ხოლო ტანით ალვის ხის მსგავსი. ამ სტროფის სხვა სარიტმო სიტყვებია: ცხენია/ სიმარცხენია/ სიფიცხენია. მეოთხე ტაეპის სარიტმო სიტყვა “**ხენია**” ერთი ბგერით ნაკლებია წინა სამი ტაეპის საერთო რითმაზე (ცხენია). ამიტომ გაჩენილა ერთ-ერთ პროტოგრაფში “ალვისაც ხენია”, რაც ზოგ ხელნაწერში მოგვევლინა ასეთი კურიოზული დაწერილობით: “ალვისა ცხენია”. მხატვრული სახე: ფრიდონი _ ალვის ხე “ალვის ცხენად” გადაიქცა. მივიღეთ ზუსტი რითმა და მასთან ერთად _ სრული უაზრობა.

ზუსტი, მათ შორის ომონიმური (ე.წ. “მაჯამური”) რითმების შედგენა პოეტური ოსტატობის საზომად ითვლებოდა XVII-XVIII ს-ის ქართულ მწერლობაში. მაშინ უსაზღვრო გასაქანი მიეცა ტექნიკურ ვარჯიშს ამ მიმართულებით. ამავე პერიოდს ეკუთვნის “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერებში ჩართული ომონიმური სიტყვების

თამაშზე აგებული მრავალი სტროფი, ხოლო შიგადაშიგ თვით რუსთველისეულ რითმებსაც “ასწორებდნენ”. ასეთი თვითნებური გასწორების შედეგად მივიღეთ: სარიტმო სიტყვის **ის ხე-ს** ნაცვლად **ისც ხე** (621,4); **მარტო ასული-ს** ნაცვლად **მარტოდ ასული** (33,1); **მისისა-ს** ნაცვლად **ვიშისა** (327,1); **გამყდვენოს** ნაცვლად **გამჩივნოს** (29,1) **დაიჯერების** ნაცვლად **დაიხსოვნების** (256,2); **ვის ალის** ნაცვლად **ვირ ალი, პვირ-ალი ან კირ-ალი** (1292,2); **ხონელის** ნაცვლად **ხომელი** (1666,1) და ა. შ. (იხ. პოემის 1966 წ. და 1988 წ. გამოცემები).

ამ და ზოგ სხვა კონიექტურების შესახებ ჩვენი თვალსაზრისი მოცემულია 2004 წელს გამოცემულ წიგნში (1) და მისი გამოორება აქ აუცილებელი არაა. ის კი უნდა თქვას: რითმების ასეთ კოსმეტიკურ სწორებას იქნება სჯობდეს, ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც ავტორისეულ ტექსტშია მოცემული და არავითარ ძალდატანებასა და გამომგონებლობას არ საჭიროებს. ავიღოთ თუნდაც 4 და 5 მარცვლიანი რითმები, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილია ფიქსირებული, ზოგი მკვლევარი კი საერთოდ უარყოფს “ვეფხისტყაოსანში” ასეთი რითმების არსებობას (4). კრებულში “მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში” აღრიცხულია ერთი ხუთმარცვლიანი რითმა “სამსალებისა” (გვ.302) და 11 ოთხმარცვლიანი (გვ.56-57,305). ამათგან 7 ე.წ. მაჯამური, ანუ ომონიმური რითმაა. ანალიზისა და კვალიფიკაციის გარეშეა დარჩენილი ისეთი რითმები, რომლებიც საერთოა ორი ან სამი ტაეპისათვის და პოეტიკის თვალსაზრისით გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, **ოთხმარცვლიანი**:

ნათურქალსა/ნასუქალსა/ნაბუქალსა (სტროფი 55);

რაცა ქმარი/ დასანთქმარი/ ასაქმარი (132/133, ვუთითებთ 1966 და 1988 წლების გამოცემათა ნუმერაციით).

განა მოკლა/ გაამხოკლა/ გაამლოკლა (663/669);

ამა გზითა/ ანაგზითა (302); ხანდაზმული/ მნახა ზმული (578/584);

სასწრაფოსა/ სადაფოსა (147/148); ამად ილებს/ არ ადილებს (704/710);

გაბარულსა/ გარდასრულა (852/859); რაცა მჭირდა/ ა-ცა-ტირდა (902/910);

ამას რულად/ გაბასრულად (1063/1071) და მრ.სხვა.

დასახელებულ წიგნში (რითმების საძიებელში) მკითხველი ვერ ნახავს **ხუთმარცვლიან** რითმებს:

მით ძლიერითა/ მისმიერითა (I სტროფში); თმაგიშერისა/ მართ მიშერისა (3);

ალვა რგულია/ სავარგულია (50); სანაპიროსა/ სანადიროსა (148/149);

დავეზიდენით/ დავერიდენით (205); რა ვაჯობინო/ გავაბრჭობინო (226);

მეამებოდა/ მეარმებოდა (475/480); გამქისებული/ არღირსებული (531/536);

მარმებინე/ მახლებინე (555/560); არ აჯებითა/ დარაჯებითა (573/578);

ბანისბანითა/ თანისთანითა (1100/1108); წავა გზობასა/ ლამაზობასა (1109/1117);

ავალებინე/ გავალებინე (448/453); ვისთვის ენები/ იტყვის ენები (813/820);

დასახივარად/ და სატკივარად (1295/1303); არბარგოსანი/ ჭარმაგოსანი (1342/ 1350);

მოისმინებდა/ მოიწყინებდა/ მოილხინებდა (51);

დამეთვალვოდა/ და მემალვოდა/ გამელალვოდა (373/378);

ხანდაზმულობა/ დარაზმულობა/ ხვარაზმულობა (396/401).

როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთს შეეწყობა მთლიანი სიტყვები. მათში მხოლოდ ბოლო ორი ან სამი მარცვლის გამოყოფა, ე.ი. კლაუზულებზე მითითება, სრულ წარმოდგენას ვერ ქმნის ამ რითმების რეალურ ღირებულებაზე. მართალია, ეს რითმები აერთიანებს ორ ან სამ ტაქსს (და არა მთელ სტროფს), მაგრამ **თუნდაც ორ ტაქსში გამოვლენილი ევფონიური შეთანხმება უკვე რითმაა** და ასეთი რითმები ფიქსირებული უნდა იყოს საცნობარო ლიტერატურაში.

მათ შორის, ვინც მუშაობდა შედგენაზე კრებულისა “მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში”, ჩვენი გვარიც წერია. ჩვენ დავალაგეთ და გავაწყეთ პოემის რითმათა ერთი ნაწილი. თუ ვერ მოხერხდა რითმების უფრო სრული კლასიფიკაცია და რუსთველის მრავალმხრივი პოეტური შესაძლებლობის წარმოჩენა, ამაში ალბათ, ჩვენი ბრალიც არის. აღნიშნული უზუსტობანი ახლა მაინც, თუნდაც დაგვიანებით, უნდა გასწორდეს.

ოთხ და ხუთმარცვლიანი (2 ან 3 ტაქსში გამოვლენილი) რითმების მარაგი მხოლოდ ზემოთ მოტანილით არ ამოიწურება; მათი რაოდენობა მთელ პოემაში 150-ზე მეტია. ზოგი მათგანი აღნიშნული აქვს ა. ხინთიბიძეს. მკვლევარი მიუთითებს იმ ნაკლზე, რაც ახლავს კლაუზულისა და რითმის გაიგივებას. მისი დაკვირვებით, “ქართულ რითმას არსებითად მთლიანი სიტყვები ქმნიან” (10) და ასეთ სახელმძღვანელო დებულებას აყალიბებს: “**რითმის განმარტებისას უკუგდებულ უნდა იქნას ბგერებზე, მარცვლებზე თუ ბგერათკომპლექსებზე** მითითება. მათი ადგილი სიტყვამ უნდა დაიჭიროს. რითმად მიჩნეული უნდა იქნას ერთი და იგივე ან მსგავსი

ქლერადობის სიტყვათა განმეორება” (11). ამ პრინციპით შეადგინა მან “ვეფხისტყაოსნის” რითმათა სიმფონია” (თბ., 1972). ა. ხინთიბიძეს ცალკე გააქვს არა კონკრეტული რითმები, არამედ ტაეპთა ბოლო სიტყვები (ერთი ან ორი), ანუ ის სიტყვები, რომლების, მისი აზრით, რითმის შედგენაში მონაწილეებენ. მაგრამ “სიმფონიის” შემდგენელი არ ახდენს რითმების დიფერენცირებას მარცვალთა რაოდენობის მიხედვით და ყოველთვის არ ჩანს, ამა თუ იმ სარიტმომ ერთეულს მკვლევარი რომელ ჯგუფს მიაკუთვნებს.

ზემოთ აღძრული საკითხები იმაზე მიგვანიშნებს, რომ რუსთველის რითმის სტრუქტურისა და ეფფონიის სხვადასხვა მხარე ჯერ კიდევ მთელი სისრულით აღნუსხული და შესწავლილი არაა; ისინი უფრო ვრცელ და ყოველმხრივ განხილვას საჭიროებენ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. **არაბული გ.**, “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დადგენის პრობლემები, თბ., 2004, გვ.128-142.
2. **ბარათაშვილი მ.**, სწავლა ლექსის თქმისა, რედაქცია და გამოკვლევა ა. ხინთიბიძისა, თბ., 1981, გვ.10-11.
3. **ბერიძე ვუკ.**, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ.40-42.
4. **გაწერელია ა.**, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974. ავტორი წერს: “რუსთაველთან ოთხმარცვლიანი რითმა არ გვხვდება, არც საერთოდ ძველ ქართულ პოეზიაში” (გვ. 144).

5. **გუდაგა ტ.**, ქართული სალექსო სტრიქონის აგებულების ზოგიერთი საკითხი, ჟურ. “ცისკარი”, 1974, N7.
6. **იმნაიშვილი ი.**, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბ., 1966, გვ.71-82.
7. **მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში**, გ. წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ. 1973. (წიგნში პოემის ტექსტი დამოწმებულია 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან).
8. **წერეთელი გ.**, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, ამავე დასათაურების წიგნში, თბ., 1973, გვ.9-115.
9. **ჭიჭინაძე კ.**, [ვეფხისტყაოსნის] რითმები, _ წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, თბ., 1934, გვ.315-418.
10. **ხინთიბიძე ა.**, “ვეფხისტყაოსნის” პოეტიკიდან, თბ., 1969, გვ.46.
11. **ხინთიბიძე ა.**, პოეტიკური ძიებანი, თბ., 1981, გვ.79.

2005 წ.

თეზისები “ვეფხისტყაოსნის” ავტორის

ბიოგრაფიისათვის

ამჟამად დადგენილად ითვლება, რომ პოემა-რომანი “ვეფხისტყაოსანი” ალეგორიულად XII საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს სამეფო სახლის, კერძოდ გიორგი მესამისა და მისი ასულის, თამარის, ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს ასახავს და იმავე ეპოქაშია დაწერილი. თუმცა ჩვენამდე მოღწეულ მაშინდელ ისტორიულ ქრონიკებსა და სხვა წერილობით ძეგლებში ამ გენიალური თხზულების ავტორის შესახებ რაიმე პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება.

მხოლოდ XVI-XVII საუკუნეების მწერალთა თხზულებებში აქა-იქ გვხვდება ფრაგმენტული ცნობები, რომ “ვეფხისტყაოსნის” ავტორს შოთა ერქვა, მისი გვარი თუ წოდება “რუსთველი” კი თვით პოემის დასაწყისშია ხსენებული (პოემის ხელნაწერებიც XVII საუკუნეზე ადრინდელი არ გადარჩენილა). იმ დროის მწერლებმა და განათლებულმა პირებმა მართო ის იცოდნენ, რომ შოთა წარმოშობით მესხი აზნაური იყო, ... რომ ის ყოფილა თამარ მეფის სასახლის “მდივანი” (მწიგნობარი) და თამარისავე დავალებით დაუწერია პოემა “ვეფხისტყაოსანი”.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში საეკლესიო მოღვაწემ ტიმოთე გაბაშვილმა მოინახულა იერუსალიმში არსებული ჯვარის მონასტერი, რომელიც შუა საუკუნეებში ქართული სასულიერო ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი კერა იყო, მაგრამ იმ დროისათვის ქართველებს დაკარგული და თითქმის დავიწყებულიც ჰქონდათ. მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე ტიმოთე გაბაშვილმა ნახა მოხუცი მამაკაცის სურათი წარწერით “რუსთველი”, ხოლო მონასტრის სვინაქსარში (მოსახსენებელთა წიგნში) აღმოჩნდა ალაპის (შესანდობარი წირვის) ჩანაწერი “მეჭურჭლეთუხუცეს შოთას” სახელზე.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ მონასტრის სვინაქსარში ხსენებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი და ტაძრის სვეტზე დახატული “რუსთველი” ერთი და იგივე პირია. აღნიშნული ჩანაწერი (XIII ს-ის I ნახევარში) აღაპის დაწესების შესახებ შოთას ოფიციალური თანამდებობის – მეჭურჭლეთუხუცესობის ერთადერთი წერილობითი საბუთია.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის აღდგენის გულწრფელმა სურვილმა XIX-XX საუკუნეებში წარმოაჩინა ახალი ჰიპოთეზები და ვერსიები. 1830-იან წლებში თეიმურაზ ბაგრატიონმა (იძულებით გადასახლებული ცხოვრობდა ქ. პეტერბურგში) გამოთქვა მოსაზრება, რომ “ვეფხისტყაოსნის” ავტორი იყო ჰერეთის ერისთავი შოთა, “კუპრად” წოდებული. მის სამფლობელოში შედიოდა თბილისის ახლოს მდებარე ციხე-ქალაქი რუსთავი და ამიტომ იწოდებოდაო “რუსთველად”. ამ ჰიპოთეზის დასაბუთებას დიდი დრო და ენერგია შეაღია პავლე ინგოროყვამ, მაგრამ მისი დამტკიცება შეუძლებელი აღმოჩნდა. ასევე წარუმატებელი იყო შოთას ჩახრუხადეობის მტკიცება (ს. კაკაბაძე), თითქოს იგი “თამარიანის” ავტორის, გრიგოლ ჩახრუხადის ახლო ნათესავი ყოფილიყო.

XX ს-ში გაჩნდა ვარაუდი, რომ შოთა ქ. რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავარი –ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი იყო. ამ დებულების დასაცავად ისტორიკოსმა პროკოფი რატიანმა ვრცელი გამოკვლევა დაწერა, მაგრამ მისი არგუმენტაცია არც რუსთველოლოგებმა გაიზიარეს და არც ისტორიკოსებმა.

ახალი და ორიგინალური იყო “ვეფხისტყაოსნის” ავტორად როგორც დემნა ბატონიშვილის (თამარ მეფის ბიძაშვილის) გამოცხადება (თამარ ერისთავი), ისევე “რუსთველის” მიჩნევა სახელმწიფო მოხელის ყუთლუ არსლანის ფსევდონიმად (მარიამ კარბელაშვილი). ორივე მოსაზრება ჯერჯერობით თამამი ჰიპოთეზების დონეზე რჩება.

ამჟამად უფრო დასაბუთებულად ითვლება შოთას თორელობის ვერსია, რომელიც გულისხმობს მის წარმომავლობას მესხეთის ცნობილი თორელთა ფეოდალური სახლიდან (გვარიდან). ეს მოსაზრება პირველად მოსე ჯანაშვილმა გამოთქვა, რაც შემდეგ სხვადასხვა არგუმენტაციით საწმუნო გახადეს სარგის ცაიშვილმა, ნოდარ შოშიაშვილმა და რიმა ფირცხალაიშვილმა.

მკვლევართა ინტერესს იწვევს შოთას პირადი ცხოვრება, რის შესახებაც ჩვენამდე მხოლოდ ლეგენდებმა მოაღწია. სად და როგორ იყო იგი სახელმწიფო სამსახურის დატოვების შემდეგ? რა აკავშირებდა იერუსალიმის ჯვარის მონასტერთან და სხვ. ამ საკითხების გასარკვევად საჭირო მასალები საქართველოში აღარ მოიპოვება. სასურველია, რომ ქართველ მეცნიერთათვის გაიღოს იერუსალიმის, ბაღდადის, ქაიროს, სტამბულის, ისპაჰანის, თეირანის, ბუხარის, სამარყანდის და სხვა არქივებისა და ბიბლიოთეკების კარები. მანამდე კი შოთა რუსთველის ნამდვილი ბიოგრაფიის დაწერა შეუძლებელია. მას ცვლის ლეგენდა სამეფო კარის მედროვეთაგან ცხოვრებაგამწარებულ და განდევნილ დიდ სახელმწიფო მოხელესა და პოეტზე, ვინც სიბერეში თავი შეაფარა შორეული პალესტინის წმინდა სავანეს.

კითხვას – “არის თუ არა შოთა იერუსალიმში დასაფლავებული?” – ებრაელმა მეცნიერმა ხაიმ ვარდიმ ასე უპასუხა: “ამ ტრადიციის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს, მაგრამ ლეგენდას არ სჭირდება საბუთი, რადგან იმას, **რაც მოხდა**, იგი მოგვითხრობს ისე, როგორც **უნდა მომხდარიყო**, და მთელი ეს ისტორია საკმაოდ მომხიბვლელია, ყოველ შემთხვევაში, ქართველებისათვის, რომ ხელი არ აიღონ საფლავის ძებნაზე”.

ვრცლად იხ. წიგნში: “შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში”, თბ., 1992.

მასალები “ვეფხისტყაოსნის” კომენტარისათვის

შოთა რუსთველის პოემა-რომანი “ვეფხისტყაოსანი” შუა საუკუნეების ქართული მწერლობის უდიდესი ძეგლია არა მხოლოდ მხატვრული მეტყველებისა და ვერსიფიკაციის, ან სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების განსჯისა და გადაწყვეტის მხრივ, არამედ, უფრო ზოგადად და უმთავრესად – სამყაროს ესთეტიკური აღქმისა და ფილოსოფიური შემეცნების თვალსაზრისით. ამ გენიალურ თხზულებაში უხვად გვხვდება რუსთველის ეპოქისა და მისი წინარე პერიოდის მითოსური აზროვნების ნაკვალევი, ასტროლოგიურ და ასტრონომიულ დაკვირვებათა შედეგები და ფილოსოფიური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზით ჩამოყალიბებული მოძღვრებები და დასკვნები.

სხვადასხვა დარგის მკვლევართა მიერ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული აღნიშნული საკითხების შესწავლისა და სათანადოდ კვალიფიცირებისათვის. სასურველია, რომ ეს მონაპოვარი აისახოს “ვეფხისტყაოსნის” ახალი, აკადემიური გამოცემის კომენტარებში. ამ მიზნით გვინდა ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ საგანსა და საყოფაცხოვრებო რიტუალს, რომელნიც პრაქტიკული დანიშნულების გარდა, ღრმა მეტაფორულ-ალეგორიული ან სიმბოლური შინაარსის შემცველნი არიან.

I. ვეფხის ტყავი. თხზულების ავტორი მთავარ პერსონაჟს, ტარიელს, ვეფხის ტყავით შემოსილს წარმოგვიდგენს; სანადიროდ გასულ მეფე როსტევანსა და მის მხლებლებს პირველად მისი უცნაური ჩაცმულობა მოხვდებათ თვალში:

*“მას ტანსა კაბა ემოსა გარეთმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა”* (84₁₋₂) [1].

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი არაჩვეულებრივი სამოსის ტარება? ამის მიზეზს ტარიელი რამდენიმე წლის შემდეგ მარტივად უხსნის ავთანდილს, მაგრამ პერსონაჟის პირადი განწყობის გარდა, რუსთველი ამ ფაქტს, როგორც ჩანს, სხვა დატვირთვასაც აძლევს. აქ პარალელი ჩნდება ძველი დროის მითოსურ გმირებთან. ცხოველის ტყავით შემოსილი გმირის სახე არქაული ხატია; იგი ემყარება უძველეს ტოტემურ და მაგიურ რწმენას, რომ ცხოველის იერის მიღებით ადამიანი იმ მხეცის ძალ-ღონესა და თვისებას (სიმტკიცეს, შეუპოვრობას) იძენს. ეს მოტივი ცნობილია სხვადასხვა ხალხის მითოსურ წარმოდგენებსა და ეპიკურ თქმულებებში. მაგ., ბერძნების მითოსური გმირი **ჰერაკლე** (ზევის ძე) მისგანვე მოკლული ლომის ტყავით იმოსება [2,444]. ინდურ ღვთაება **შივას**, რომლის მთავარი თვისება ბოროტებასთან ბრძოლაა, ვეფხის ტყავისაგან შეკერილი სამოსი აცვია. ამით შივა თვითონ ემსგავსება და უტოლდება ვეფხვს [3,32]. ფირდოუსის “შაჰ-ნამეს” გმირები: **ბარამი**, **ზაალი**, **როსტომი**, **საამი** ბრძოლის დროს მხეცის (ლომის, ვეფხვის ან ჯიქის) ტყავისაგან გაკეთებულ ჯავშანს იცვამენ, რომელსაც ბაბრები ეწოდება. ეს სამოსელი მათ უძლეველობას ანიჭებს [4,]. ნართების ეპოსის ოსურ, ყაბარდოულ და აფხაზურ ვერსიებში მეომრები ბრძოლის წინ იმოსებიან ხარის ან გარეული ღორის (ტახის) ტყავით [5,514].

ვეფხისტყაოსანი ტარიელიც ამ მითოსურ და ეპიკურ გმირთა რიგში დგას, თუმცა რუსთველის პოემაში სრულიად იგნორირებულია მაგიური ფუნქცია ვეფხის ტყავისა და მისი ტარების მოტივაცია ასეა ახსნილი:

*“რომე ვეფხი შევნიერი სახედ მისად (=ნესტან-დარეჯანისად)
დამისახავს,*

ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს” (654₁₋₂).

არის სხვაგვარი თვალსაზრისიც: რუსთველოლოგი მარიამ კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ ცხოველის ტყავი იყო პირველი სამოსელი, რომლითაც ღმერთმა ადამი და ევა შემოსა სამოთხიდან

განდევნის წინ, ამიტომ ტყავის “კაბა” ცოდვილი ადამიანის სამოსელია [6,3-4].

ისიც უნდა ითქვას, რომ ტარიელს მუდმივად არ სცმია ვეფხის ტყავი; მან ეს უჩვეულო სამოსელი მაშინ ჩაიცვა, როდესაც ნესტანის პოვნის იმედი გადაეწურა, ადამიანთა საზოგადოებასთან ურთიერთობა შეწყვიტა, უდაბნოში განმარტოვდა და დევთა ქვაბში დაიდო ბინა. ეს მისი თავგადასავლის ყველაზე მძიმე პერიოდი. ესაა დრო განვლილი ცხოვრების განსჯისა და დაშვებული შეცდომების მონანიებისა, გონებისა და ნებისყოფის მოკრებისა (ავთანდილისა და ასმთის დახმარებით) და კვლავ მოქმედების წადილით ავსებისა. “ვეფხისტყაოსნობა იძულებითი მდგომარეობაა ტარიელისათვის და ეს მისი ტრაგედიაა” [7]. ნესტან-დარეჯანის გათავისუფლების შემდეგ მან გაიხადა ვეფხის ტყავი (თუმცა ეს მომენტი პოემაში საგანგებოდ აღნიშნული არაა) და მისი წოდებისა და მდგომარეობის შესაფერი ტანსაცმლით შეიმოსა.

II. ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა (843)

ასე მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად ხატავს რუსთველი “უცხო მოყმის” მათრახს, რაც კიდევ ერთი ატრიბუტია გმირის არაორდინალურობისა და რჩეულობისა.

შუა საუკუნეებში მათრახი მხედართა (მეომართა) საჭურველში შედიოდა; ის ცხენის გასარევიც იყო და საბრძოლო იარაღიც. მათრახს მეტწილად საქონლის ტყავისაგან აკეთებდნენ, ღვედისაგან წნავდნენ, რომელიც ხის ან ლითონის ტარზე მაგრდებოდა. წინამდებარე ტექსტში სიტყვა “ნაჭედი” კომენტატორებს ესმით როგორც გამოჭედილი: “კვერის ცემით შექმნილი” (ნ. ჩუბინაშვილი) [8]; ასევე თარგმნის ს. იორდანიშვილიც: “ККованная плеть” [9].

ასეთი განმარტება სადავოდ მიგვაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ კარგი მხედარი კარგ ცხენს რკინით ცემას არ აკადრებს, – “მკლავის უსხოსი” რკინის კეტის დარტყმა ცხენს ძვლებს თუ არ დაუმტვრევს, ტყავსა და ხორცს ხომ დაუჩრქვავს და დააწყლულებს?! ვფიქრობთ, რომ სადავო სიტყვას ამ კონტექსტში სხვა შინაარსი აქვს; ის **“ჭიდ”** ძირიდან უნდა მოდიოდეს, საიდანაც იწარმოება: ჭიდება, ჭიდილი, მოჭიდება, მოჭიდებული, შეჭიდება, მოჭდობა და სხვ. **“ხელთა ნაჭედი”** ჩვენ გვესმის როგორც: ხელით პყრობილი, ხელმონაჭიდი, ხელში რომ ეჭირა ... ს.-ს. ორბელიანს ლექსიკონში აქვს სიტყვა **“ნაჭერალი”** და მისი განმარტება: “რაც სჭეროდეს” ; ვფიქრობთ, ამ კონტექსტში “ნაჭედი” სწორედ “ნაჭერალის” სინონიმია. თვით “ვეფხისტყაოსანში” გვაქვს ტერმინები: **შეჭედვა** და **შეჭედილი**, მაგრამ რკინის ჭედვა არც ერთში არ იგულისხმება. ვნახოთ, როგორ კონტექსტში გამოიყენება ისინი: “მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყურნი **შემეჭედნეს!**” – ნეტავ დავყრუებულებიყავ და შენი ნათქვამი არ მომესმინაო, – ეუბნება მეფე როსტევანი ვაზირს (756ა).

ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს ეთხოვებიან:

*“ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანერთსა მოეხვივნეს,
...დიდხან დგანან **შეჭედილნი**, მკერდი მკერდსა შეარკინეს”* (946_{1,4}).

როგორც “შეჭედილი” აქ მოჭდობილს, გადახვეულს, მჭიდროდ მიკრულს ნიშნავს, ასევე “ხელთა ნაჭედი” შეიძლება ნიშნავდეს ხელით პყრობილს, საბასეულ “ნაჭერალს”.

სამ ხელნაწერსა და აგრეთვე სამ ადრინდელ (1860, 1888, 1902 წწ.) გამოცემაში იკითხება “ხელთა **ნაჭერი**”, მაგრამ ეს ფორმა გვიანდელია; რუსთველი ამ შინაარსს გადმოსცემ სიტყვებით: დაჭირული, დანამჭირი, დანამჭირები; იყენებს აგრეთვე “დაჭირვა”-ს (უპირო ფორმას) და ზმნებს: დავიჭირე, დაიჭირე, დაიჭირავს და ა. შ. ასე რომ, ვერ ვიტყვით, “ნაჭედი” არასწორი ფორმა არისო, ოღონდ მას კონტექსტის შესაფერი მნიშვნელობა უნდა შეეფარდოს.

ამ ტაეპში (და საერთოდ პოემაში) საინტერესოა მათრახის დანიშნულება და მისი პრაქტიკული გამოყენება. ცხადია, რომ ტარიელის “მკლავის უსხოსი” (მკლავზე უმსხვილესი) მათრახი არაა მხოლოდ ცხენის გასარევი, ანუ “ცხენის საწკეპი ღვედი” (როგორც საბა განმარტავს). იგი მითოსური გმირებისა და წარმართულ ღვთაებათა აღჭურვილობის ასოციაციას იწვევს. მაგალითად, ქართულ მითოლოგიურ თქმულებებში მათრახი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო, აქვს კვირიას (კვირავს) “ხმელთა მოურავს” [10,41-42].

“მათრახიანი” ეპითეტია წმიდა გიორგისა, რომელიც “ნერგის ანგელოზად” იწოდება (ხევსურეთი, ლიქოკის ხეობა, ნასოფლარი შუბანი) [11,58]. ლაშარის ჯვარს (ფშავი) “ხელში უჭერავ ლურჯაი, ფეხს უკრავ ოქროს ნალია, მხარზე ჰკვიდავის მათრახი შვიდ ადლი, შვიდი მხარია” [12,586].

ერთ-ერთი თეოგონური მითის მიხედვით, “მორიგე ღმერთმა” ღვთაებანი “დასახა” (=შექმნა) და აღჭურვა ისინი სათანადო სამოსითა და აბჯრით, მათ შორის, ღვთაება თერგვაულს მისცა “ცხრაკუთხიანი მათრახი”, ბერ ბაადურს – მათრახი “სენ-სამსალით გაფერული”, ანუ საწამლავში ამოვლებული [13,127].

ხალხის წარმოდგენით, მითოსურ გმირებს ედრება მეფე თამარიც, რომელსაც ხელთ მათრახი უპყრია; ქვესკნელს პყრობილობიდან თავდახსნილი, დევებთან მებრძოლი გმირი იახსარი ამბობს:

“პირდაპირ ჩამამდგომიყვა თამარი დედუფალიო,

ხელშიგ ეჭირა მათრახი შვიდ-კეცი, შვიდი მხარიო”[12,576].

“მხარი” სიგრძის საზომია, **შვიდი მხარი** დაახლოებით შვიდ მეტრს უდრის. ამხელა მათრახი, რა თქმა უნდა, დაკეცილი ან რგოლად დახვეული უნდა იყოს; **“შვიდ-კეცი”**, ალბათ, შვიდჯერ

მოკეცილს ნიშნავს, ან შვიდწვერად დაწნულს. ასეთი მათრახის ტარება მართლაც მეფეებსა და გმირებს შეჰფეროდა, ხოლო ტარიელი თუ როგორ იყენებს თავის მათრახს, ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ მისი იძულებითი (თავდაცვის მიზნით) ხელის გამოღება როსტევან მეფის ყმებთან ან მონადირე თურქებთან, რომელთაც შეპყრობა და ცხენის წართმევა დაუპირეს (იხ. სტრ. 91-94 და 201-206).

III. დევი. ეს სიტყვა-ცნება პოემაში შვიდჯერ გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში. ტერმინი სანსკრიტული ენიდან მოდის, სადაც ის ზოგადად დემონის აღმნიშვნელი იყო. ირანულ ხალხებში დევი ბოროტ არსებად, დემონური ძალის განსახიერებად ითვლებოდა. ძველ ქართულ ტექსტებში დევი ეშმაკს, ავსულს ნიშნავს, რომელიც ადამიანს მტრობს და აცდუნებს სულის მავნებელი მოქმედების ჩასადენად [14,131-132].

ხალხის ფანტაზიამ დევის სახით შექმნა გიგანტური ტანისა და დიდი ფიზიკური ძალის მქონე, ადამიანის მსგავსი არსება, რომლის ფეხის ტერფები შებრუნებულია, ერთი თვალი შუბლზე აქვს, მეორე – კეფაზე, ხოლო თავზე რქები ადგას. ხალხურ მეზღაპრეთა ფანტასტიკას ეკუთვნის კანიბალური თვისებების მქონე, თეთრი, შავი, წითელი და ცხრათავიანი დევებიც.

“ვეფხისტყაოსანში” ჩანს ხალხში გავრცელებული რწმენის ანარეკლი, რომ დევს შეუძლია სწრაფად და კვალის დაუტოვებლად გაუჩინარება:

“კვალი ძებნეს და უკვირდა ვერპოვნა ნაკვალევისა,

აგრე კვალწმიდად წახდომა კაცისა, ვითა დევისა” (97¹⁻²).

ძირითადად კი რუსთველის თხზულებაში ხსენებული დევები კაცის მსგავსი არსებანი არიან, თუმცა ადამის მოდგმასთან მუდმივად

დაპირისპირებულნი და განცალკევებით მცხოვრებნი. ისინი ისეთსავე საბრძოლო იარაღს ხმარობენ, როგორსაც ადამიანები, არსებობენ ნანადირევით. დევებს დაგროვილი აქვთ უამრავი სიმდიდრე: აბჯარი, ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი (იხ. სტროფები 1359-1365), რაც მათგან, ფაქტობრივად, გამოუყენებელია, ვინაიდან დევები არც მეურნეობას მისდევენ და არც ვაჭრობას.

IV. ფრიდონმა ტარიელს საუკეთესო ცხენი აჩუქა, რომელიც საიმედო შემწე გახდა მიჯნურობით შლეგი მოყმესათვის მისი ხიფათიანი თავგადასავლის უმძიმეს პერიოდში. ამ ცხენის არაჩვეულებრივი თვისებები ცალკე მსჯელობის თემაა, ამჯერად კი გვინდა შევხვთ ერთი სტროფის შინაარსს, ცხენის ჩუქების მომენტს რომ ასახავს:

მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძლუჴნა ესე ჩემი ცხენი,

მითხრა: “ხედავ პირი მზისა, თქუჴენ საროსა ეგეც ხენი,

ვიცი, მეტი არა გინდა, ძლუჴენნი რადმცა გავკიცხენი?”

თუით ამანვე მოგაწონნეს საკედრობა – სიფიცხენი” (645).

ეს ტექსტი მიიღო “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური გამოცემის მთავარმა რედაქციამ და მისი შინაარსი ასე გადმოსცა: მერმე ფრიდონმა მოიყვანა ეს ჩემი ცხენი და მაჩუქა, მითხრა: “ხედავ შენ, მზისსახიანი, თქვენ, საროს, ეგეც ხე (ხესავით მაღალი, დიდი)! ვიცი, რომ მეტი არაფერი გინდა, ძღვენი რატომ გავაცუდო (გავაწილო)? თვით ამან (ცხენმა) მოგაწონოს ტარება და სისწრაფე” [15,186-187].

აქ დაეჭვების საბაზს იძლევა მეორე ტაეპის სარითმო სიტყვები და ამ ტაეპთან რედაქციის მიერ წარმოდგენილი “შინაარსის” აზრობრივი შეუსაბამობა. გასაგებია, რომ მთავარმა რედაქციამ თავიდან აიცილა ტავტოლოგიური რითმა, რასაც ქმნიდა ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში დაცული წაკითხვა **ეგე ცხენი** და უმჯობესად

მიიჩნია, ჩუქების ობიექტი (ცხენი) წარმოდგენილი ყოფილიყო მეტაფორით “საროს ხე”: ხედავ შენ, მზისსახიანი, [რომ ძღვნად მოგართვი] ეგ საროს ხე [=საროს მსგავსი, საუკეთესო ცხენი]. რედაქციისეულ “შინაარსში” კი სიტყვა “საროს” მძიმეებით არის გამოყოფილი, ამის გამო ის ტარიელის ეპითეტი გამოდის: “შენ, საროს, მოგიძღვნე ეგ ხე”...

თარგმანის უზუსტობას რომ შევეშვათ, ასეთ გაგებას რამდენიმე დაბრკოლება მაინც ახლავს:

1. ტაეპის მეორე ნახევარს, ანუ დამოკიდებულ წინადადებას შემასმენელი აკლია, რის გამოც აზრი ბუნდოვანია; აუცილებელი ხდება სიტყვების დამატება: “ხედავ ... [რომ მოგიძღვნე] ეგ საროს ხე”.

2. სპარსული “სარო” ის ხეა, ბერძნულად “კვიპაროსი” რომ ეწოდება. **სარო**, თუნდაც სხვა რომელიმე **ხე** “ვეფხისტყაოსანში” და, საერთოდ, ქართულ მწერლობაში ცხენის ეპითეტად ან მეტაფორად არ გამოიყენება. ცხენი შეიძლება დახასიათებული იყოს: ტანადობით, ღონიერებით (გამძლეობით), სისწრაფით, მოხდენილობით, ან გონიერებითა და პატრონის ერთგულების ნიშნით. ცხენის ამ ნიშან-თვისებათაგან **ხე** არც ერთს არ გამოხატავს, ამიტომ ცხენის ეპითეტად ან მეტაფორად მისი გამოყენება აზრობრივად შეუფერებელი და მხატვრულად არაეფექტურია.

3. ტაეპის შინაარსი როგორც არ უნდა გავიგოთ, ჩვენებით ნაცვალსახელს (ეგე) დართული **ც** ნაწილაკი აზრობრივად ზედმეტია. ჩვენი ვარაუდით, ის მიმატებულია მაჯამურ რითმებზე შეყვარებული გადამწერის მიერ კლაუზულის სიზუსტისა და ეფფონიის შესაქმნელად. აქვე აღვნიშნავთ, რომ დაწერილობას “ეგეც ხენი” იცავს მხოლოდ ორი ხელნაწერი (A^4A^9), სხვა გადამწერებს კი იმდენად უხერხულად მიუჩნევიათ ეს შესიტყვება, რომ ტავტოლოგიურ რითმას არ მორიდებიან და მეორე ტაეპის ბოლო სიტყვადაც “ცხენი” დაუწერიათ (ეგე ცხენი). სამწუხაროდ, ტავტოლოგიას ვერც ამ

ნამალადევი დაწერილობით (“ეგეც ხენი”) ავცდებით, მით უმეტეს თუ ხე-ში ცხენს ვიგულისხმებთ; მკითხველისა და მსმენელის ცნობიერებაში პირველი და მეორე ტაეპების კლასიფიკაციაში “ცხენი” ფიგურირებს ორთოგრაფიულადაც და აზრობრივადაც. ამიტომ ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება შეველიოთ ხელოვნურად შექმნილ ზუსტ რითმას და დავწეროთ ბუნებრივი გამოთქმა “საროსა ეგე ხენი”, რომელიც დასტურდება $A^{11}B^5D^3D^4$ ნუსხებში, ტაეპის შინაარსი კი მივიღოთ ისე, როგორც ვ. ნოზაძესა და ნ. ნათაძეს ესმით: მათ მიაჩნიათ, რომ ამ ტაეპის ორივე ტროპული სახე – “პირი მზისა” და “საროს ხე” ტარიელს მიემართება; ფრიდონმა უთხრა: “ხედავ შენ, პირად მზისა და ტანად საროს ხის მსგავსი, [ჩემეული ძღვენი სწორედ ისეთია, შენ რომ გეკადრება და გჭირდება კიდევ], ვიცი, სხვა არაფერი გინდა და ტყუილად რად გაჩუქო ის, რაც არ მოგეწონება! ეს კი თვითონ მოგაწონებს თავს ტარებითა და სისწრაფით”.

“სახედარი” ძველ ქართულში ნიშნავს სამგზავრო (შესაჯდომ) ცხოველს. **სახედრობა** აქ შესაჯდომად ვარგისობაა (იგულისხმება თვინიერება, კარგი ტარება მხედრისა და ამტანობა, გამძლეობა).

დამოწმებული ლიტერატურა:

1. შოთა რუსთველი, “ვეფხისტყაოსანი”, თბ., “მეცნიერება”, 1988. პოემის ტექსტი ყველგან დამოწმებული იქნება ამ გამოცემით.
2. Энциклопедический словарь, изд.: Брокгауз и Эфронъ, т. VIII, С.-Петербургъ, 1892, გვ. 444.
3. ნ. კენჭოშვილი, “ინდოეთის” საკითხისათვის “ვეფხისტყაოსანში”, თბ., 2006.
4. ფირდოუსი, “შაჰ-ნამე”, ქართული ვერსიები, ტ. I, ტვ., 1916.

5. **ვ. აბაევი**, შოთა რუსთველის პოემის “ვეფხისტყაოსნის” ფოლკლორული საფუძვლის შესახებ, – კრებ. “რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში”, III, თბ., 1988.
6. **მ. კარბელაშვილი**, “ვეფხისტყაოსანი” როგორც მეტაფორა, – გაზ. “მამული”, 1996, ოქტომბერი, გვ. 3-4.
7. **რ. სირაძე**, “ვეფხისტყაოსანი” და ვეფხისტყაოსნობა, – გაზ. “ჩვენი მწერლობა”, 2003.
8. **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.
9. **Руставели Шота**, Витязь в тигровой шкуре. Подстрочный перевод с груз. С. Иорданишвили, Тб., 1966.
10. **თ. ოჩიაური**, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.
11. **ვ. ბარდაველიძე**, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, 1, თბ., 1982.
12. **ა. შანიძე**, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931.
13. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვეთი პირველი, თბ., 1972.
14. ქართული ფოლკლორი, მასალები და გამოკვლევები, IV, ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, თბ., 1974.
15. ჟურნ. “მაცნე”, ელს, თბ., 1978, N 1.

ვაჟა-ფშაველა – მწერალი და მამულიშვილი

(დაბადების 140 წელი)

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი) 140 წლის წინათ დაიბადა არაგვის ხეობის სოფელ ჩარგალში. იგი იზრდებოდა მღვდლის, პავლე რაზიკაშვილის ოჯახში მრავალრიცხოვან და-ძმებს შორის, რომელთაგან ორნი, ნიკო და თედო, შემდეგ ცნობილი მწერლები და პედაგოგები გახდნენ.

ლუკა (მისი ნათლობის სახელია) სწავლობდა თელავის სასულიერო და თბილისის სამოქალაქო სასწავლებლებში, შემდეგ – გორის საოსტატო (პედაგოგიურ) სემინარიაში. ერთი წელი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი იყო. დაახლოებით ორ წელიწადს მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ კი, სიცოცხლის აღსასრულამდე, ერთდროულად ეწეოდა სოფლის მეურნისა და მწერლის, პუბლიცისტის მძიმე უღელს. ზამთარ-ზაფხულ ფიზიკურად შრომობდა, რათა მრავალსულიანი ოჯახისთვის “პური არსობისა” მოეპოვებინა. ამავე დროს ბევრს წერდა და აქვეყნებდა: ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, დრამებს, ლიტერატურულ, კრიტიკულ და თეორიულ წერილებს. თუმცა არა მატერიალური ანაზღაურების მიზნით, – ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან მიღებული ჰონორარი ძალიან მცირე იყო, – წერდა იმიტომ, რომ ეს საქმიანობა მის სულიერ მოთხოვნილებას შეადგენდა.

როგორც ვიცით, ვაჟა-ფშაველამ ფართო კლასიკური განათლება ვერ მიიღო, მაგრამ ამ დანაკლისს ინაზღაურებდა მუდმივი კითხვით, თვითგანათლებით, რითაც, საბოლოოდ, ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის საფუძვლიან

ცოდნას მიაღწია. მისი, როგორც შემოქმედის, პიროვნება სამი კეთილი საწყისის მთლიანობას წარმოადგენდა. ესენი იყო: 1) მემკვიდრეობით თანდაყოლილი ნიჭი გარემოს შეცნობის და მხატვრული გარდასახვისა; 2) ღრმა ცოდნა ქართული და მსოფლიო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებისა; აგრეთვე – ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიის, მითოლოგიის, ხალხური სიტყვიერების, სამართლისა და სოციოლოგიისა; 3) მტკიცე ზნეობრივი მრწამსი, სულიერი მოწოდება მშობელი ერისა და ქვეყნის სამსახურისა.

ამ თვისებათა თავმოყრამ ერთ პიროვნებაში დიდი და სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. ვაჟამ 54 წელი იცოცხლა ამ ქვეყნად. აქტიური ცხოვრების უმეტესი დრო ფიზიკურ შრომას შეაღია, მაგრამ მაინც მდიდარი და მრავალფეროვანი სამწერლო შემოქმედება დაგვიტოვა.

ამასთან ერთად ვაჟა-ფშაველა უშუალოდ მონაწილეობდა ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერია, რომლის შემადგენელი ნაწილი საქართველოც იყო, დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრების მოლოდინშია; იქმნება ახალ-ახალი თეორიები და პოლიტიკური მოძღვრებები. საქართველოს განათლებულ საზოგადოებაში ვრცელდება ჯერ ნაროდნიკული, შემდეგ – სოციალ-დემოკრატიული, მარქსისტული იდეები.

ვაჟა-ფშაველა კრიტიკულად უყურებდა ამ ახალ თეორიებსა და მიმართულებებს, მან დროულად უარჰყო როგორც ნაროდნიკების გულუბრყვილო ილუზია გლეხური სახელმწიფოს შექმნისა, ასევე სოციალ-დემოკრატების კოსმოპოლიტური მოძღვრებაც “დემოკრატიული ცენტრალიზაციისა”. მაშინ ვაჟა წერდა: “ყველა თავის ცეცხლს უკეთებს და თავის კერძს ჩასცქერის, სხვისი ხეირი იმდენად უნდა, რამდენადაც თავადაც გამოადგება იგი. მხოლოდ

ერთს ნაწილს ქართველებისას არა სწამს, რომ ეს ასეა და ესენი გახლავან “დასელები”, რომელნიც ქადაგებენ: სხვა გავაბედნიეროთ, გავაძლიეროთ და ამით ჩვენც ძლიერი შევიქნებითო... გაძლიერებული რუსეთისაგან ისინი მოელიან წყალობას. აბა საიდან სადა!... ნუთუ ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება დამონებული მცირე ერებისა შეუმცირდება გაძლიერებულს რუსეთს?” (ტ.X,გვ.117).

1910 წელს ამავე საკითხზე დაწერილი ფრაზები საბრალდებო დასკვნასავით ჟღერს: “ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავის ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე – ტერიტორია გახადონ სამშო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე” (ტ.IX,გვ.290). ისინი, ვისი მისამართითაც ეს სტრიქონები დაიწერა, იმ დროისათვის ცნობილი პიროვნებები იყვნენ და მცირე ხნით ქვეყნის მეთაურობაც კი ხვდათ წილად, მაგრამ მათი გამრუდებული აზროვნებიდან ერისათვის სასიკეთო საქმე არ გამოვიდა.

ვაჟას თვალსაზრისი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის მიერ გაკვალული გზის გაგრძელებაა. იგი იმ დროისათვის შესაძლებელი და მისაღები ფართო პოლიტიკური ავტონომიის მომხრე იყო. ვაჟას აუცილებლად მიაჩნდა, წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება, ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის მოსპობა და ისეთი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც ყველა თავისი შრომით იცხოვრებდა.

თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მწერალმა გამოთქვა პუბლიცისტიკაში: “წერილები მეგობართან” (1889-93); “ფიქრები” (1902); “კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი” (1905); “სხვათა შორის” (1910); ლექსებში: “ილია ჭავჭავაძის სახსოვრად” (1907); “თმაგრძელა ჭკუათხელა” (1909) და სხვა. საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობის პრობლემა ალეგორიულად ასახა ვაჟამ პოემაში “მთათა ერთობა” (1909), რომელშიც განსჯის საგანია იმ დროისათვის

პოპულარული მომღვრება სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის შესახებ, რაც “ერთობის” სახელით იყო ცნობილი.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთი თემაა **ადამიანის ღირსება**, მისი სიცოცხლის აზრი და დანიშნულება. ამ პრობლემას არაერთგზის უბრუნდება პოეტი და სხვადასხვა კუთხით განიხილავს პოემებში: “გოგოთურ და აფშინა”, ძალლიკა ხიმიკაური”, “სტუმარ-მასპინძელი”, “ალუდა ქეთელაური”, “ზახტრიონი”, “გველის მჭამელი”, დრამაში “მოკვეთილი” და სხვა.

ვაჟასთვის ღირსეული პიროვნება ისაა, ვისაც სხვისი ღირსების დანახვა შეუძლია, ვინც სხვის კაცობას ისევე სცემს პატივს, როგორც ამას ქისტი მუცალი და ხევსური ალუდა აკეთებენ; ვინც ჯოყოლასავით შეუპოვარი იქნება ოჯახის სახელისა და სტუმრის დასაცავად; ვინც ცხოვრებას, ლუხუმსა და ზეზვასავით, ბრძოლებში გალევს, ან კვირიასა და ლელას მსგავსად, ბუნების უძვირფასეს განძს – სიჭაბუკეს უმურველად მიიტანს მამულის სამსხვერპლოზე.

ადამიანის პიროვნული ღირსება სამშობლოსთან, საზოგადოებასთან ურთიერთობაში იკვეთება და მჟღავნდება. ამას მხატვრული განზოგადების გარეშე, პირდაპირ გვიჩვენებს ვაჟა ლექსში “კაი ყმა”, რომელშიც რიტორიკული სტილით ჩამოთვლილია ღირსეული კაცის თვისებები, მოქმედებისა და ქცევის გამოვლინების ფორმები, დახატულია ეთიკური სახე ვაჟკაცისა:

*ვინც მიეგებოს მტერს წინა, წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე-სისხლგადამდინარი ტკივილს არ გამოიტყოდეს.
...პირველად ომის დამწყები ბრძოლის ველს ბოლოს წირავდეს,
სხვანი იყოფდენ ნადავლსა, ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს,
მიძღვნილსა საუფროსოსა, ამხანაგებსვე სწირავდეს.
...სხვისა იუბნოს სახელი, თავის გარჯასა მალავდეს...*

პიროვნული მოვალეობის საკითხი დააყენა ვაჟამ ერთ-ერთ საუკეთესო პოემაში “გველის მჭამელი”. ეს თხზულება ალბათ ყველაზე რთულია მის ნაწარმოებთა შორის. მასში მოქმედება პარალელურად ვითარდება რეალურ და მითოსურ გარემოში. “რეალურსა და მითოსურს შორის საზღვრის წაშლით ვაჟა პოემის მრავალი ასპექტით წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის” (რ. სირაძე). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოემის ალევორიულ-სიმბოლური გააზრების ამოხსნა. ამიტომ იქცა იგი ქართული ლიტერატურული კრიტიკის საჯილდაო ქვად.

კრიტიკოსები, მათი განათლების დარგის, რელიგიური მრწამსის, ესთეტიკური შეხედულებისა და შემოქმედებითი განწყობის შესაბამისად, მათთვის საინტერესო ან სასურველ პრობლემასა და იდეურ გააზრებას ხედავდნენ ამ თხზულებაში. თითოეულს თავისებურად ესმოდა ნაწარმოების თემა და დედააზრი, მოქმედი პირობის ხასიათი და სხვა საკითხები.

პოემაში ერთი მთავარი გმირია – ბრძენი მინდია, ბუნების ძალთა საიდუმლოს მცნობარი და ხალხის მიერ მეთაურად არჩეული. მკითხველი ეცნობა მისი სულიერი აღმავლობისა და შემდეგ უკუსვლის, “ცოდნის” დაკარგვისა და ფიზიკური აღსასრულის გზას. მაგრამ “გველის მჭამელი” უფრო მეტია ვიდრე ერთი ადამიანის ტრაგედია. მისი ავტორის მიზანდასახულობა სცილდება ერთი პიროვნების აღზევებისა და დაცემისა ჩვენებას, ის გაიაზრება როგორც ტრაგედია მთელი ხალხისა, ვინაც თავისი ბედი და მომავალი რჩეული კაცის, მეთაურის, უკვე არარსებულ შესაძლებლობას დაუკავშირა; მთლიანად მიენდო კაცს, რომელსაც დაკარგული ჰქონდა საზოგადოებრივ მოვლენებზე ზემოქმედების უნარი. ამას მოჰყვა საერთო სახალხო უბედურება.

თხზულების ტრაგიკული ფინალი იმ აზრს ჩაგვაგონებს, რომ ნებისმიერი იდეა, თუნდაც მეტად მომხიბლავი და საინტერესო, თუ ის არ ეთანხმება ცხოვრების ბუნებრივი განვითარების

კანონზომიერებას, თუ არ შეეფერება ხალხის ფსიქიკურ წყობასა და საარსებო გარემოს, განუხორციელებელი დარჩება, ან საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდება.

ვაჟა-ფშაველას ხშირად უწოდებენ “ბუნების მგოსანს” ან “ბუნების მესაიდუმლეს”. ეს სწორიც არის და არც არის... ასეთი ეპითეტები მკითხველის ზერელე შთაბეჭდილებას, მის ემოციურ განწყობას გამოხატავს, ობიექტურად კი ვაჟას შემოქმედების ცალმხრივად გაგებას, მისი თვალსაწიერისა და თემატიკის შეზღუდვას ნიშნავს.

ბუნების საიდუმლოთა შეცნობა პოეტისა და ბელეტრისტის საქმე არაა; ამას მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები აკეთებენ. მწერალს ცალკეული პიროვნების ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის (კლასის, პროფესიული წრის) ცხოვრება, მათი ურთიერთობა აინტერესებს, იგი აკვირდება და აღწერს ადამიანების ტანჯვასა და სიხარულს, მათს ზნეობრივ-ეთიკურ მრწამსს, ცოდვასა და მადლს, სასოწარკვეთასა და იმედს.

მაგრამ ადამიანი დედამიწაზე ცხოვრობს, ბუნება მისი საარსებო გარემოა. ამდენად ეს გარემოც, მისი ცოცხალი არსებებითა და უძრავი საგნებით, მწერლის თვალთახედვის არეალში ექცევა. იგი მათ აღიქვამს და შეიმეცნებს ესთეტიკურად, როგორც პერსონაჟებთან დაკავშირებულთ, ან სხვადასხვა ემოციური შეგრძნებების გამომწვევ საგნებსა და მოვლენებს. ვაჟა ისე ახლოს იყო ბუნებასთან, რომ თამამად შეეძლო ეთქვა:

*“მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა: მთაში_მთა, ბარად_ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან, ცას _ ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი, ღამის გუშაგი მთვარია,
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი, ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ჟინჯლი, ცის ქცევა, ცა მოწმენდილი, დარია,
...კლდის თავს გაშლილი პირიმზე _ მთის სასახელო ქალია,*

*მარგალიტივით მდებლოზედ ბჭყვრიალა დილის ცვარია,
ზამთარის _ ზვავების ქუხილი, გაზაფხულს _წვიმის ღვარია,
იქ _ ჯოჯოხეთი , სამოთხის თუ დამიკეტეს კარია”.*

ეს სამყაროსთან თანაზიარობის პოეტური განცდაა. შემოქმედი თავს მის განუყოფელ ნაწილად წარმოიდგენს და მისთვის სულ ერთია, რა სახით გამოვლინდება ამ უსაზღვროებასა და მრავალფეროვნებაში:

*“რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმადა?
რომ ვყოფილიყავ მუდამა ღრუბელთ გულ-მკერდის მძივადა,
მიწაზე გადმოსაგდებად ცვარად ან თოვლად ცივადა?”*

დიდი მგოსნისთვის ბუნება სამშობლოს ერთ-ერთი საგნობრივი სახეა. ვაჟას უყვარს მთებთან სიახლოვე, რადგან ეს მთები მას დარბაისლობის, სიმტკიცის, უძლეველობის სიმბოლოდ ესახებიან (გავიხსენოთ ლირიკული მოთხრობა “მთანი მაღალნი”). მთებისაგან იღებს პოეტი სასიცოცხლო ენერგიას და ამაყობს კიდევაც ამით:

*“თქვენგანა გულობს ეს გული, შიგ გრძნობა უდულს ღვთიანი,
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ, ღალიან-ბარაქიანი”.*

აი, ერთი კონკრეტული სურათი მთების საუფლოდან:

*“გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად, მუხა-იფნებით ფარული,
იქ ჰყრია დიდი ლოდები, შავფერი, ციხის-კარული,
ლიბო-დათხრილი კოშკები, უმზეოდ ჩამოგვალოული”.*

ეს არაა საამო, თვალსასეირო პეიზაჟი, მაგრამ ეს მწერლის სამშობლოს ნაწილია, მისი ხალხის მძიმე წარსულის ნაშთია. აქვეა ამ მიწის დამცველთა საძვალეც:

*“რამდენი სიპები აწყვავ! მოსჩანს აკლდამის პირები.
გმირთა სამარეს, როგორც ხატს, სამთხვევლად დაველირები”.*

მგოსანი მუხლს იყრის სამშობლოს დამცველთა აკლდამასთან და ამით უფრო ღრმად გვინერგავს პატივისცემას ამ წმინდა

ადგილისადმი, რომელიც “ბაქტერიონის” გმირების მოქმედების ერთ-ერთი ორიენტირი უნდა იყოს.

საყურადღებოა ვაჟას თხზულებებში “პერსონიფიკაციის”, ანუ მხატვრული გაპროვინების ხერხის გამოყენება. ამ გზით მწერალი ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებსა და სხვა უსულო საგნებს ადამიანის თვისებებს მიაწერს, მათ მეტყველების, ფიქრისა და განსჯის უნარს ანიჭებს. მხატვრული გაპროვინების საუკეთესო ნიმუშებია ლექსში “ღამე მთაში”, სადაც სამყაროს განსაცვიფრებელი სურათის აღწერას პოეტი ცის თაღით იწყებს. “დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდენ, დასხდენ ცაზედა”, მალე მთვარეც “შემოჯდება გორის ფხაზე” და სხივებს “ჩაგზავნის” ხევის წყალზე “პირის საბანად”, მანამდე კი “მთებს ჩაუცვიათ შავები, ჭმუნვით დასცქერენ ხეებსა”. “წყალი სჩქეფს, ხვეი ჩატირის, განა ერთი და ორია... ლამაზის მთების ასულთა ხმა ხმისთვის შაუწონია”.

გაპროვინების ხერხით პოეტი “ნამტირალევ” და “მმინარე” ნისლსაც დაგვანახებს:

*“დილაზე ფრთა-დაკეცილთა, ნამტირალევთა ღამითა,
მთებზე ეძინათ ნისლეგსა, მიტკლით შაკრულის თავითა”.*

მწერალს მკითხველი შეჰყავს “უენპირო” ბუნების წიაღში, სადაც თავიანთ გასაჭირზე “გვესაუბრებიან”: შვლის ნუკრი, მუხის ფესვები, პატარა ნაკადული, ყვავილები _ ია და პირიმზე; იქ კლდე “ოხრავს”, ხანდახან კიდევ “ტირის”, ხოლო მთები “გადმოხრილიყვნენ, ხელ-პირს იბანდენ წყალზედა”.

მაგრამ უნდა გახსოვდეს: ეს მხატვრული სახეები ვაჟას პოეტური ენისათვის დამახასიათებელი ფრაზებია და არ უნდა მივიჩნიოთ ისინი ავტორის ანიმისტობის ან პანთეისტობის მაჩვენებლად. ვაჟამ იცის, რომ ადამიანის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად, ბუნებაში ესთეტიკური და ეთიკური კრიტერიუმები არ არსებობს; ბუნების სტიქიური ძალები ან

ცხოველები და ფრინველები სიკეთისა და ბოროტების ცნებებს არ იცნობენ და მათი მიხედვით არ მოქმედებენ. “ავი” და “კარგი”, “მშვენიერი” და “მახინჯი” დანახულია ადამიანის თვალთ და მხოლოდ მის ცნობიერებაში მოიაზრება.

სულ სხვა რიგისაა ბუნების გასულიერების ისეთი შემთხვევები, სადაც მწერალი უსულო საგნებზე ან ცხოველებზე ადამიანის თვისებების გადატანას იყენებს ისევ ადამიანების დახასიათებისათვის, მათში არსებული დადებითი თუ უარყოფითი თვისებების ჩვენების ან სოციალური და ეროვნული უსამართლობის მხილებისათვის. ეს **ალეგორიის** ხერხის გამოყენებაა. ალეგორიულია ვაჟას ლექსები: “არწივი”, “კლდე და მდინარე”, “ზაყაყის სიმღერა”, “სიზმარი”, “ამაო ომი”; მოთხრობები: “მთის წყარო”, “ხმელი წიფელი”, “ირემი”, “ყორანი”, “მთანი მალაღნი” და მრავალი სხვა.

ავტორი ალეგორიის ხერხს იყენებდა ცენზურის თვალის ასახვევად. დასახელებულ ნაწარმოებთა უმრავლესობას პოლიტიკური შინაარსი აქვს და ისეთ საკითხებს ეხება, რომელთა შესახებ პირდაპირ, შეუფარავად ლაპარაკი და წერა არ შეიძლებოდა. მაგალითად, **“ზაყაყის სიმღერა”** გამოხატავს ობივატელის კმაყოფილებას, რომელიც არ იდარდებს, თუნდაც ქვეყანა დაიქცეს, თვითონ თუ მაძლარი იქნება. **ხმელი წიფელი** დაჩაგრული, დასუსტებული ქვეყნის სიმბოლოა, ხოლო ხალხისაგან მოსაკლავად გამეტებული **ირემი**, რომელიც ხმელეთზე თავშესაფარს ვერ ჰპოვებს, დევნილ სათნოებასა და სამართალს განასახიერებს. **“მთანი მალაღნი”** სიმბოლური სახეა ქართველი ერისა, მისი მძიმე მდგომარეობითა და მომავალზე მუდმივი ფიქრით. **“ყორანში”** ვხედავთ ძალმომრეობის პარპაშსა და მის გამართლებას იმათგან, ვინც ნადავლითა და ნაოხრალით იკვებება.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ძლიერად და სრულყოფილად გამოვლინდა ქართველი ხალხის

როგორც გონებრივი და ზნეობრივი სიმაღლე, ისე მისი მისწრაფება სიკეთის, სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ.

ვაჟა, სახელოვანი მწერალი და ერის ერთ-ერთი იდეური წინამძღოლი, ცდილობდა გამოეფხიზლებინა და სწორი გზით წაეყვანა საზოგადოება, რომელიც გადააგვარა მონობამ, სხვისი ხელის შემყურედ და სხვისი ნების აღმსრულებლად ყოფნამ. ჩააგონებდა, რომ არ უნდა დაშრეტილიყო დიდგორზე, ბასიანში, მარაბდასა და კრწანისში დაღვრილი მოწამეობრივი სისხლის მადლი.

ვაჟა-ფშაველა ფხიზელ და საიმედო დარაჯად ედგა თავისი ქვეყნისა და ხალხის სინდის-ნამუსს, მის სანუკვარ მიზნებს. იგი დღესაც ჩვენს გვერდით დგას, როგორც მეტრძოლი და ბრძენი მოძღვარი.

გაზ. “სიტყვა ქართული”, 2001, N37.

“ვისაც მტერობა მასწყურდეს...”

ვაჟა-ფშაველას პოემა “ალუდა ქეთელაურის” მეორე თავში არის ერთი მონაკვეთი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მთავარი პერსონაჟის ეთიკური მრწამსის, ისე ავტორის მსოფლმხედველობისა და ნაწარმოების დედააზრის განსაზღვრისათვის. საუბარი ეხება ამ ადგილს:

*“ვისაც მტერობა მასწყურდეს, გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითონაც შიგვე მდგარია...”*

მაგრამ ამ ადგილის მთლიანად გაცნობამდე და გაანალიზებამდე უნდა გავიხსენოთ პირველ თავში მომხდარი ამბები. ეს აუცილებელია აღნიშნული მონაკვეთის აზრის სრულად და სწორად გაგებისათვის.

პოემა თავიდანვე მძაფრად, ამადლებულის ტონით იწყება. ავტორი მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს ხარჯავს უცაბედად შექმნილ სიტუაციაში გასარკვევად: ქისტებმა გაიტაცეს ხევსურების ცხენები. საჭიროა კვალზე მიყოლა და ძალით წართმეულის ძალითვე დაბრუნება. ვინ წავა მდევრად? – ალუდა ქეთელაური! ის მამაცი და მარჯვე მებრძოლია (“ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი”), ამასთან ერთად “დავლათიანია”, ჭკვიანი და სწორად განმსჯელი (“საფიხნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი”).

ალუდამ იარაღი აისხა და წავიდა. გათენებისას დაეწია ყაჩაღებს. ისინი ორნი ყოფილან. ერთი პირველი ნასროლით ჩამოაგდო ცხენიდან. მეორეს ნადავლის დატოვება და გაქცევა არ უცდია, შეუპოვარი ებრძოლი აღმოჩნდა, უშიშრად დაუხვდა ალუდას. ორივეს კაჟიანი თოფები აქვს და რიგ-რიგობით ესვრიან, თან “რჯულს” უგინებენ ერთიმეორეს. ამ ორაბრძოლაში მკითხველი თანდათან ეცნობა მათს ხასიათს და ვაჟკაცურ შემართებას. ორივემ იცის, რომ ერთ-ერთი უნდა მოკვდეს, ამიტომ ბრძოლა უკომპრომისოა. ბოლოს უფრო ზუსტი ალუდას ნასროლი აღმოჩნდება, რასაც ქისტის სიტყვები ადასტურებს: “გულში მჭრის, გულში, რჯულმაღლო, ვახ, ცდასა მუცალისასა! ძმაც ხომ მამიკალ, მეც მამკალ, რა ვუთხრა მადლსა ღვთისასა?”

შემდეგ უფრო მოულოდნელი რამ ხდება. მკითხველი ხედავს მუცალის აქამდე უჩინარ სულიერ თვისებას: “

“მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,

მაჰგლეჯს, დაიფევეს წყლულშია მწვანეს ბალახსა მთისასა.

ერთიც ესროლა ალუდას, ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.

თოფიც ალუდას გადუგდო, ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:

– ეხლა შენ იყოს, რჯულმადლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა”.

მუცალის ამ მოქმედებამ სრულიად შეცვალა ალუდას საბრძოლო განწყობილება. იგი სინანულმა მოიცვა, რომ ასეთი კარგი ვაჟკაცის მოკვლა მოუხდა. “ალუდას თოფი არ უნდა, ატირდა როგორც ქალიო, არ აჰყრის იარაღებსა, არ ეხარბება თვალიო...” ალუდამ არც ხელი მოაჭრა მოკლულს, რაც მისი გამარჯვების დამადასტურებელი ნიშანი იქნებოდა. მუცალის ცხედარს მისივე ნაბადი გადააფარა და გულდარდიანი დაბრუნდა შატილისაკენ.

*“ყმა მოვიდოდა გორი-გორ, არ ეწონება თავია;
პირს დასწოლია ნისლები, გულით ნადენი, შავია...
მეება ჭიუხიანსა, სადაც იმედას ქავია”.*

“იმედას ქავი” კიდევ უფრო მტკივნეულ ფიქრებს აუშლის ალუდას. ეს ციხესიმაგრე თითქოს ხევისურეთის მოუსვენარი ცხოვრების სიმბოლოა:

*“ბევრჯელ მასწრო დელომამა, ჰყეფთა ყორანი შავია...
ვერვინ მაჰრივა იღბალი, ვერავინ უყვა ავია.
ურჯულოს ხელებსავ ადნობს ზედ მზის სხივები მწვაავია...
რა უყვათ, ბევრი უნახავ, ულვაშაშლილი მკვდარია!
ბევრჯელ წასულა საჭალოდ დახოცილთ სისხლის ღვარია,
შაულებია წითლადა ავი არდოტის წყალია”.*

ამ სტრიქონებს მოსდევს წერილის დასაწყისში ნახსენები:

*“ვისაც მტერობა მასწყურდეს, გაალოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუმოს კერაში, თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლოევდეს, პურადაც მოსახმარია.*

პირჯვარი დაიწეროდეს, მითამ საყდარში არია.

სისხლშია ჰქონდეს ქორწილი, იქ დაიწეროს ჯვარია...

სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაიწვინოს ცალია.

ბევრი იყოლოს შვილები, ბევრი ვაჟი და ქალია.

იქვე საფლავი გათხაროს, იქ დაიმარხოს მკვდარია”.

ამ მონაკვეთს კრიტიკოსები რატომღაც ყურადღების გარეშე ტოვებენ. მხოლოდ თამაზ ჩხენკელმა განიხილა იგი როგორც ალუდას ზნეობრივი გარდაქმნის გარკვეული საფეხური (“ტრაგიკული ნიღბები”, 1971, გვ.174-179) იხ. აგრეთვე როსტომ ჩხეიძე, შურისძიება, (“ცისკარი”, 1992, N12, გვ.138-139).

ვის ეკუთვნის მასში გამოთქმული აზრი, პოემის ავტორსა თუ პერსონაჟს? ფორმალურად ეს მსჯელობა ავტორისაა, რამდენადაც იგი პირდაპირ (რაიმე შენიშვნის ან ინტერვალის გარეშე) მიჰყვება მანამდე მომხდარი მოვლენების თხრობას. პოეტი აღწერს, ალუდა როგორ ეპყრობა მუცალის ცხედარს და როგორი განწყობილებით ბრუნდება უკან; რა სურათებს ხედავს გზადაგზა: სვავები სანადიროდ აშლილან, ყორანი კი ყრანტალით მიემურება ამდილანდელი ბრძოლის ადგილისაკენ. ყორანი, საერთოდ, უბედურებისა და სიკვდილის მაცნეა. ამ ეპიზოდში მისი გამოჩენა ალუდას შეახსენებს ცხოვრების უსამართლობასა და უკუღმართობას, რაც მის გულს უფრო ამძიმებს. ყორანმა ახლა მუცალის ცხედარი უნდა დაკორტნოს, მაგრამ რამდენიმე საათის წინ არსებობდა იმის ალბათობა, რომ ალუდას სხეული გამხდარიყო ყვავ-ყორნის საჯიჯგნად.

ამას მოსდევს აღწერა-დახასიათება “იმედის ქავისა”, რომელიც ძველებურად ამაყად და მტკიცედ დგას. მაგრამ ეს უკვე ალუდას თვალთ დანახული, ალუდას მიერ თითქოს ახლად აღმოჩენილი

“იმედას ქავია”. ალუდას სხვა დროს არ მოხვდებოდა თვალში ციხის კედლებზე დამდნარი “ურჯულოს” ხელები, არც წითლად შეღებილი არდოტის წყალი გაახსენდებოდა ასე მტკივნეულად.

მუცალის სიკვდილის შემდეგ ალუდამ სხვა თვალთ დაინახა საკუთარი და მის ირგვლივ მყოფთა ცხოვრება და მოქმედება, შეიგნო არსებული მდგომარეობის ტრაგიკულობა. ახლა გაიცნობიერა, რომ “იმედას ქავის” კედლებთან დაცემული “ულვაშამილილი” ჭაბუკების სახით ხალხის სასიცოცხლო ენერჯია დაიხარჯა; რომ მთიელი ტომების ცხოვრება შეუწყვეტელი სისხლისღვრაა, დაბადებიდან სიკვდილამდე მუდმივად სისხლის გუბეში დგომა; რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული არავინ იქნება (“შენ რომ სხვა მაჰკლა, შენც მაგკვლენ...“).

ამიტომ პირადად მე, როგორც რიგითი მკითხველი, ამ ადგილს (“ვისაც მტერობა მასწყურდეს...”) ვკითხულობ როგორც ალუდას მონოლოგს, სადაც გამოხატულია მისი გაღვიძებული გონების პროტესტი არსებული სინამდვილის მიმართ, სადაც გამოთქმულია გმობა, საერთოდ უარყოფა მტრობისა და მკვლელობისა. აქ ზუსტად ემთხვევა ერთიმეორეს ავტორისა და პერსონაჟის შეხედულებები და პოეტი მის მიერ შექმნილი გმირის ფიქრის მოზიარე ხდება.

ალუდას შეგნება რომ შეცვლილია, უფრო ჰუმანური და ამალღებულია, ამას შემდგომი მოვლენებიც ადასტურებს: შატილში დაბრუნებული ალუდა მუცალს “ცხონებულს” უწოდებს. ხოლო თანასოფლელთა შენიშვნაზე – ურჯულოს ცხონება როგორ იქნებაო, – საკუთარი მრწამსის სისწორეში დარწმუნებული უკვე დაბეჯითებით ეუბნება:

“ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი;

ჩვენა ვცხოვრდებით, ურჯულოთ კუპრში მიელის ქშენანი.

ამის თქმით ვწარა-მარაობთ, ღვთის შვილთ უკეთეს იციან...”

ამ ნათქვამს იმავე დამეს ნანახ სიზმარსაც თუ დავუმატებთ, ნათელი იქნება, როგორ აფორიაქებული და შეძრწუნებულია ალუდას გული და გონება. მას სიზმარში მუცალი გამოეცხადება წინადლის ბრძოლის ნიშნით – ნატყვიარ მკერდში ბრძამის საფევით და აყვედრის სისხლით გაუმაძღრობას (“თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა, დაძელით, ხევსურთ შვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა”). შემდეგ ალუდას სუფრაზე მართმევენ კაცის ხორცით შემზადებულ საჭმელს:

“დავჯე, ჯამ ვინამ დამიღვა, კაცის ხორცს იყო წვნანი,

ვჭამდი, მზარავდა თუმცალა კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.

რასა ვსჩადიო, – ვჯავრობდი, – უმსგავსი, შაჩვენებული...”

ამის შემდეგ ალუდა ვერ დარჩებოდა იმ პიროვნებად, რაც მანამდე იყო. შეიცვალა მისი შეგნება და მსოფლმხედველობა. იგი გამოხს საზოგადოებრივ ეთიკაში, ზნეობაში, რელიგიურ რწმენაში არსებულ უარყოფით ჩვევებსა და დოგმებს, რომლებიც ხალხთა ურთიერთობას შეეხება. ამაშია განსხვავება ალუდასა და მის თანამემამულეთა შეხედულებებს შორის, იგივეა მათი დაპირისპირებისა და ალუდას გამეგების მიზეზი და არა მოკლული მტრისათვის ხელის მოუჭრელობა, რაც თავისთავად, ეთიკური აზრით მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი მცირე დეტალია მთიელთა ცოდვა-ბრალით სავსე ცხოვრებისა.

მოკლულისათვის ხელის მოჭრა, უძველესი რწმენისა და ჩვეულების გადმონაშთი თუ პიროვნების ზნეობის დამახასიათებელი ფაქტი – ცალკე მსჯელობის საგანია და მას აქ ვერ განვიხილავთ.

ამჟამად ყურადღების მიქცევა გვინდოდა მწერლობაში არსებულ სტილურ ხერხზე, როცა მხატვრულ ნაწარმოებში ან მის ერთერთ ეპიზოდში ერთდროულად გადმოიცემა მწერლისა და პერსონაჟის აზრი, ანუ თხზულებაში მოცემული დებულება ან მსჯელობა შეიძლება თანაბარი უფლებებით ავტორსაც მიეწეროს და პერსონაჟსაც. ზემოგანხილულ მონაკვეთში სწორედ ასეთი შემთხვევა გვაქვს. სინტაქსის ან სტილისტიკის მიხედვით, ეს მონაკვეთი ავტორის ლირიკული გადახვევაა, რითაც ვაჟა-ფშაველა საკუთარ პოზიციას გამოხატავს ძალადობაზე, რბევა-ტაცებასა და მკვლევლობაზე დამყარებული ყოფა-ცხოვრების მიმართ.

მეორე მხრივ, იგივე მონაკვეთი ალუდას ფიქრის, მისი შინაგანი, გონებისმიერი (უსიტყვო) მონოლოგის გარგძელებაა, მისი შეგნების განათების, სულიერი ამაღლების ახალი საფეხურია. ამიტომ ენიჭება მას განსაკუთრებული მნიშვნელობა პოემა “ალუდა ქეთელაურის” იდეური მხარისა თუ პოეტური სტილის დახასიათების დროს.

ცხადია, ეს მხოლოდ ვაჟა-ფშაველას მხატვრული სტილის თავისებურება არ არის. გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის “მერანი” და მისი ორმაგი აზრი.

“მერანი” აღიარებულია არა მარტო ნ. ბარათაშვილის, არამედ მთელი XIX საუკუნის ლირიკული პოეზიის შედეგად. ამას განაპირობებს, პირველ რიგში, მისი ჰეროიკული სულისკვეთება, თავისუფლებისადმი სწრაფვა და ამ გზაზე ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვის უსაზღვრო სურვილი. (არაფერს ვამბობ ლექსის მხატვრულ მხარეზე, სტილზე, ორიგინალურ ინტონაციაზე, მეტრსა და რიტმზე).

“მერანის” პათოსი თანამედროვე მკითხველს ესმის როგორც ავტორის დამოკიდებულების გამოხატვა გარემომცველი სინამდვილისადმი, მასთან შეურიგებლობა, ბრძოლის აუცილებლობა და ამ ბრძოლით მისი დაძლევის ცდა. “ბარათაშვილის სულიერ დრამაში “მერანი” კვანძის გახსნას მოასწავებს. აქ საბოლოოდ გახსნილია ის დახშული წრე, ის წყეული რკალი, რომლის გარღვევას პოეტი სიყრმის წლებიდან ცდილობდა” (გ. ასათიანი).

ზოგი მკვლევარი უფრო განაზოგადებს ლექსის შინაარსს და მას რომანტიზმის ეპოქის მეგრძოლი აზრის, კაცობრიობის სასუკვარი სურვილებისა და ოცნებების გამოხატულებად მიიჩნევს: “მერანის” ლირიკული გმირის ლტოლვა და მისწრაფება – ეს კაცობრიობის საუკეთესო ადამიანების ლტოლვისა და მისწრაფების გამოხატულებაა; მისი თავგანწირვა და ზრუნვა საზოგადოებისათვის – ეს მოწინავე, უშიშარი, მეგრძოლი ადამიანების თავგანწირვისა და ზრუნვის გამოხატულებაა” (გრ. ბარამიძე).

ამ მხრივ არაერთხელ უძებნიათ ლექსის აზრობრივი პარალელები მსოფლიოს უდიდეს მწერალთა თხზულებებთან და “მერანის” ლირიკული გმირი შეუდარებიათ სახელგანთქმულ ფაუსტთან, მანფრედთან, ჩაილდ-ჰაროლთან, ფარისთან ან შავ რაშზე ამხედრებულ, ვეფხისტყაოსან ტარიელთან. “იგი, დიახაც, მათი ბადალია. ერთიანად დაჰყრობილია მსოფლიო სევდით, კაცობრიული მისწრაფებების მასშტაბებით, იგი მოწოდებულია გაიყვანოს ადამიანის ფიქრი დახშული წრის იქით და მოუპოვოს ახალი სივრცეები” (ჯ. ღვინჯილია).

მართლაც იძლევა ასეთი ფართო განზოგადების საბაზს ამ გენიალური ლექსის სტრიქონები:

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარებელის სამძღვარი,

*თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყო ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე
საიდუმლო!
ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.*

“მერანის” შესახებ აქ რაც ითქვა, ესაა ამ პოეტური შედეგის ზოგადი, საყოველთაოდ აღიარებული გააზრება. მაგრამ მოვიგონოთ, რას ამბობდა მის შესახებ თვით ავტორი. 1842 წლის 2 მაისით დათარიღებულ წერილში დედიძემას, გრიგოლ ორბელიანს, ნ. ბარათაშვილი აცნობებს უმცროსი ბიძის ილია ორბელიანის დადესტანში დატყვევების დეტალებს, ცდილობს, სანუგეშო რამ უთხრას და ასე სწერს: “ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის ცხოვრებაში. ეს არის რომ, იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა... აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებ” (იქვე ურთავს ლექსს მთლიანად: მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი..), შემდეგ აგრძელებს წერილს: “ არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამ წაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ **ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე,** _ ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შეეწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, რომ მით არა ენუგეშოს რა”.

ე. ი. სადავო არ არის რომ “მერანი” დაიწერა სრულიად კონკრეტული შემთხვევის გამო. პოეტმა წარმოიდგინა მისი ნათესავისა და მეგობრის ილია ორბელიანის მდგომარეობა ტყვეობაში, რაც არც ისე უწყინარი და სასიამოვნო იყო, როგორც ნ. ბარათაშვილი გრიგოლს ანუგეშებს (ილიამ რვა თვე გაატარა ტყვეობაში, მეტი წილი – ბნელ ხაროში, მშიერმა და ხელ-ფეხ დაბორკილმა). იქედან მისი დახსნა მხოლოდ სასწაულს შეეძლო, ან მართლაც ისეთ მერანს, რომელიც ფრენით გადალახავდა საჩაჩნოსა და დაღესტნის ხევებსა და კლდეებს.

შემთხვევითი არაა, რომ ერთერთ ავტოგრაფში პოეტს ამ ლექსისათვის სათაურად “თავგანწირული მხედარი” მიუცია. მართლაც თავგანწირულია ამ ლექსის ლირიკული გმირი. მას გამარჯვების იმედი არა აქვს, მაგრამ არც ბედთან შერიგება სურს და არსებულ აუტანელ ყოფას ის ურჩევნია, რომ თავისუფლებისადმი სწრაფვას შეეწიროს: “დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი! ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!”

ამრიგად, ავტორის რემარკა – განმარტება: “აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებ”, ან: “ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე”, – უეჭველად ადასტურებს, რომ პოეტმა “მერანში” გადმოსცა ილია ორბელიანის განწყობილება და მისწრაფება, მისი ოცნება ტყვეობიდან თავის დაღწევის გზებსა და საშუალებებზე.

მაგრამ, ამასთან ერთად, მკითხველი ან მკვლევარი განა მართალი არ არის, როდესაც ამ თხზულების ლირიკულ გმირად თვით ავტორს, ნოკოლოზ ბარათაშვილს წარმოიდგენს? პოეტის მთელი შეგნებული ცხოვრება ხომ მუდმივი ტყვეობის ტოლფასი იყო. პროტესტი მისთვის მიუღებელი, სულის შემხუთველი მდგომარეობის გამო პირად წერილებსა თუ ლექსებში ისე ხშირად და ისე მკაფიოდ

მჟღავნდება, რომ მას აუცილებლად უნდა დაეწერა ისეთი პოეტური თხზულება, სადაც მისი სულიერი ამბოხი ასეთ განზოგადებულ სახეს მიიღებდა და პიროვნულთან ერთად ეროვნულსა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას შეიძენდა. და რომ არ მომხდარიყო ილია ორბელიანის დატყვევება, მაშინ სხვა რამ შემთხვევა გახდებოდა ასეთი შედეგის შექმნის საბაზი.

როგორც ვხედავთ, ორივე პოეტი ერთნაირ სტილისტურ ხერხს მიმართავს: საკუთარ სათქმელს პოეტური თხზულების გმირს ათქმევინებს და ამით მხატვრულ ტექსტს ორმაგ დატვირთვას ანიჭებს. ოლონდ ნ. ბარათაშვილს ჰქონდა საბაზი, აღენიშნა: “ამას ამბობს ილია ტყვეობაში...” ვაჟამ საჭიროდ არ ჩათვალა განმარტების დართვა. მკითხველი თვითონ უნდა მიხვდეს, რომ უკუღმართი ცხოვრების ის გმობა და რისხვა ალუდას გულის ძახილია, მისი მშფოთვარე გონების ფიქრია და მას ავტორიც მთლიანად იზიარებს.

ღრმა აზრის ასე მარტივად გამოხატვა, დიდი სათქმელის ასე მოკლედ და გასაგებად თქმა, მხოლოდ ნამდვილ პოეტებს შეუძლიათ, მათ, რომელნიც სრულყოფილად ფლობენ მხატვრულ სტილსა და კომპოზიციის რთულ ხელოვნებას.

ალმანახი “პირიმზე”, N3, 1998 წ.

მძიმე ტვირთი

ახალი კანონი სახალხო განათლების შესახებ საშუალო ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლის მთავარ ამოცანად თვლის, სხვათა შორის, შემდეგს:

“შეაიარაღოს მოსწავლენი მეცნიერული საფუძვლების დრმა და მტკიცე ცოდნით, გამოუმუშაოს მათ ცოდნის გამუდმებით სრულყოფისადმი სწრაფვა, მისი დამოუკიდებლად შევსებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი. (...) ჩაუნერგოს მოსწავლეებს მაღალი ზნეობრივი თვისებები.

უზრუნველყოს მოსწავლეებისა და მათი კულტურის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება; განამტკიცოს მათი ჯანმრთელობა, აღზარდოს ისინი ესთეტიკურად და ფიზიკურად.

მოამზადოს მოსწავლენი აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის”. (კარი IV, მუხლი 28).

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი საშუალო სკოლები ამ მოთხოვნებს სათანადოდ ვერ ასრულებენ. ხშირად ისმის ჩივილი და წუხილი იმის გამო, რომ სკოლადამთავრებული ახალგაზრდების ცოდნისა და განათლების დონე საჭიროზე დაბალია. რაც იციან, ის ცოდნაც წმინდა თეორიულია, არ შეუძლიათ პრაქტიკულად ხელი მოჰკიდოდნ რაიმე საქმეს (იგულისხმება, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს მათი დასპეციალება უმაღლეს, საშუალო სპეციალურ ან პროფესიულ სასწავლებლებში). დაბალია აგრეთვე სკოლადამთავრებულთა ესთეტიკური განათლება და გემოვნება, ვიწრო და გაურკვეველია სულიერ ინტერესთა სფერო, ადვილად ცვალებადი ან საჩოთიროა მათი ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები. ჩვეულებრივი მოვლენაა მოსწავლეთა და სტუდენტთა

მიერ წესრიგის დარღვევა, სწავლისადმი გულგრილობა, მასწავლებელთა მიმართ უპატივცემულობა, უხეშობა.

მანც რატომ არის ასე? ამის გამო ხშირად იმართება თათბირები, პლენუმები, მშობელთა და მასწავლებელთა შეხვედრები, კამათი... წლების მანძილზე მეორდება ერთი და იგივე მოსაზრებები, რეკომენდაციები, ბრალდებები. მაგალითად, მშობლები მასწავლებლებს ადანაშაულებენ, რომ ისინი მათ შვილებს კარგად არ ასწავლიან ან არაობიექტურად უფასებენ ცოდნას. მასწავლებლები, პირიქით, მშობლებს სდებენ ბრალს, რომ საკმაო ყურადღებას არ უთმობენ შვილების აღზრდას. განათლების სამინისტრო კი ორივე მხარეს ტუქსავს, უფრო მეტად კი მასწავლებლებს საყვედურობს უპასუხისმგებლობისა და სუსტად დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამო.

ასეთი დიალოგი გრძელდებოდა დიდხანს (ნაწილობრივ ახლაც გრძელდება). ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა ნამდვილი მიზეზი და სკოლის დიდი სატკივარი კი გვერდზე რჩებოდა ყოველთვის. ამ ბოლო წლებში, საბედნიეროდ, მსჯელობა უფრო კონკრეტულად წარიმართა. ჩვენმა პედაგოგებმა და სკოლის ავ-კარგით დაინტერესებულმა მწერლებმა, მეცნიერებმა ბოლოსდაბოლოს დაასახელეს მთავარი მიზეზი; თქვეს, რომ ეს არის **სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მეტისმეტად გადატვირთვა და გართულება**. ამის შესახებ საკმაოდ დასაბუთებულად ითქვა მწერალთა კავშირის პლენუმზე (1975 წ. თებერვალში) და “ლიტერატურულ საქართველოსა” და “ახალგაზრდა კომუნისტში” დაბეჭდილ წერილებში.

არავინ უარყოფს იმას, რომ მასწავლებელი განათლებული, ობიექტური და ტაქტიანი უნდა იყოს. მაგრამ მრავალტომიანი სახელმძღვანელოების **მიმე ტვირთს** ვერც მასწავლებლის კვალიფიციურობა და ვერც მშობლის გულისხმიერება ვერ ამსუბუქებენ იმდენად, რომ იგი მოსწავლისათვის ასატანი გახდეს.

ბევრჯერ ითქვა, სავსებით მართებულად, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უარავ ცნობასა და ინფორმაციას მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, მაგრამ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა სწავლობს ძალიან ცოტას და ვერც ერთ დარგში ვერ ამყდვენებს საჭირო ცოდნასა და ინტერესს. ვფიქრობთ, დადგენილია რომ სახელმძღვანელოების გაზრდამ და გართულებამ, მოსწავლეთა ცოდნის გაზრდის ნაცვლად, უფრო ძირს დასწია როგორც სავალდებულო საგნების ცოდნა, ისე მოსწავლეთა ჰუმანიტარული განათლება და სულიერი კულტურა.

არავის გაუკეთებია ეს განგებ და ბოროტი განზრახვით. პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემდგენელთ ფრიად კეთილი სურვილი ჰქონდათ, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა არ ჩამორჩენოდა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ესწავლა, რაც შეიძლება, მეტი მეცნიერების ყველა დარგში. მაგრამ ეს სუბიექტურად კეთილი განზრახვა სინამდვილეში მრავალმხრივ საზიანო შედეგს იძლევა. რომ დავინახოთ, თუ როგორ ხდება ეს, ამისთვის თვალი უნდა მივადევნოთ ბავშვის სწავლა-აღზრდისა და დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბების გზას.

ყველა ბავშვი პირველ (ან მოსამზადებელ) კლასში მძაფრი განცდით მიდის: ზოგი _ სიხარულით, ზოგი _ მღელვარებით, ზოგიც _ გაურკვეველი შიშით. მაგრამ ყველა მოელის სკოლისაგან რაღაცას ახალს, გრძნობს, რომ მის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დგება. ბავშვისთვის სკოლა წმინდა ადგილია, ხოლო მასწავლებელი _ გამორჩეული ადამიანი, ყველაფრის მცოდნე, კეთილი და სამართლიანი. მოსწავლე მის ყოველ სიტყვას იჯერეს და ყველა დავალებას ასრულებს. ასეთი რწმენითა და მოვალეობის გრძნობით სწავლობს უმეტესობა 2-3 წლის მანძილზე მაინც. მაგრამ აი, გადავიდნენ ბავშვები მეოთხე კლასში, მოემატათ ახალი საგნები, გადიდდა საშინაო დავალებები. 10 წლის ბავშვი მშობლიური და

რუსული ენების გარდა სწავლობს “მათემატიკას”, “ბუნებას” (რომელიც მოიცავს ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და ფიზიკის ელემენტებს). ეს საგნები ასე თუ ისე დასაძლევია მოსწავლისათვის. მაგრამ რა ქნას მე-4 კლასელმა “ისტორიაში”? ბავშვს, რომელსაც ჯერ საკუთარი რესპუბლიკის გეოგრაფიასა და ისტორიაზეც არა აქვს წარმოდგენა, ვთავაზობთ თარიღებით, უცხო სახელებითა და ისტორიული მოვლენებით სავსე 245 გვერდიან წიგნს. არაერთხელ ითქვა, რომ ეს სახელმძღვანელო სრულიად შეუფერებელია ათი წლის ბავშვის გონებრივი ჰორიზონტისათვის. ითქვა, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

ერთი წლის შემდეგ შესასწავლ საგნებს კიდევ სამი ახალი საგანი ემატება, ხოლო მე-6 კლასში უკვე 12 საგანს სწავლობენ. VII-ში _ 14-ს, VIII-ში _ 17 საგანს და ა.შ.

ამ წერილში შეუძლებელია იმის ჩვენება, თუ რამდენად რთული და რამდენად ვრცელია თითოეული საგნის პროგრამა, მაგრამ ზემოთ ნათქვამი უპასუხისმგებლო განცხადებად ან ჩვენი მოსწავლეების უნარის შეუფასებლობად რომ არ ჩამომართვან, ზოგადი წარმოდგენისათვის საერთო მოცულობის მაჩვენებელ რიცხვებს მაინც მოვიტან. მაგალითად, **მათემატიკაში V-X კლასებში შესასწავლი 11 წიგნი შეიცავს 2572 გვერდს.** ყველას მოეხსენება, მათემატიკა მოთხრობებისა და რომანებისგან არ შედგება, რომ მოსწავლემ წაიკითხოს და მოკლე შინაარსი დაიმახსოვროს. ეს არის წესებით, თეორემებით, განტოლებებითა და ამოცანებით გაჭედილი გვერდები. ფიზიკაში _ 6 წიგნი, 1725 გვერდი; გეოგრაფიაში 7 წიგნი _ 1927 გვერდი; ისტორიაში (IV კლასის სახელმძღვანელოსა და საზოგადოებათმცოდნეობის კურსის ჩათვლით) _ 12 წიგნი, 4000 გვერდი; ბიოლოგიაში _ 4 წიგნი, 1311 გვერდი და ა.შ.

ამ რიცხვებში წიგნებად აკინძულ უამრავ ქაღალდის ფურცელს წარმოვიდგენთ, იმას კი საგანგებო ანალიზი უნდა, თუ რა წერია ამ ქაღალდზე, რამდენი დრო და ენერგია სჭირდება მის

შესწავლას, ან რამდენად აუცილებელია ყველაფრის ამის ცოდნა ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის.

შედარებისათვის მოვიტანოთ, რომ ქართული სკოლების V-X კლასებში შესასწავლი ქართული ლიტერატურა (ქრესტომათიები) შეადგენს 2137 გვერდს, ე.ი. წმინდა ჰუმანიტარული მასალის (ლექსები, მოთხრობები, რომანები) მოცულობა უფრო ცოტაა, ვიდრე ალგებრის ფორმულა-ამოცანებისა და გეომეტრიის თეორემებისა. ასევე ცოტაა რუსული ენისა და ლიტერატურის მასალა _ 1560 გვერდი, და უცხო ენისა _ 925 გვერდი.

ახლა შევადაროთ ერთმანეთს ის დრო, რაც ამ საგნების შესასწავლად არის გათვალისწინებული. უკანასკნელი წლების პროგრამებით, V-X კლასებში ქართული ლიტერატურის შესწავლას ეთმობოდა 560 აკადემიური საათი, მათემატიკას _ 1225 საათი, ფიზიკას _ 560, გეოგრაფიას _ 448, ისტორიას _ 630, ბიოლოგიას _ 385, რუსულ ენასა და ლიტერატურას _ 875 საათი. თუმცა მათემატიკას ყველაზე მეტი დრო ეთმობა, შესასწავლი მასალა იმდენად ბევრია, რომ თითო გაკვეთილზე საშუალოდ მოდის წიგნის 2 გვერდზე მეტი, წესებითა და ამოცანა-განტოლებებით სავსე. ფიზიკაში თითო გაკვეთილზე მოდის წიგნის 3 გვერდი, ბიოლოგიაში 3-4 გვერდი, ისტორიაში _ 6 გვერდი, ქართულ ლიტერატურაში _ 5-6 გვერდი, რუსულ ენასა და ლიტერატურაში _ 2 გვერდი, გეოგრაფიაში _ 4 გვერდზე მეტი. ამას მივუმატოთ თითოეულ საგანში წერილობით შესასრულებელი საშინაო დავალებები და წარმოვიდგინოთ, რამდენი მასალის დამუშავება და ათვისება უხდება ბავშვს, რომელიც ყოველდღიურად 5-6 გაკვეთილს ამზადებს (აიღეთ საგნების ნებისმიერი კომბინაცია).

მოსწავლემ ყველა დავალება რომ შეასრულოს, ალბათ ძილისთვისაც აღარ დარჩება საკმარისი დრო. მისთვის აღარ უნდა არსებობდეს არც გართობა და დასვენება, არც კინო და თეატრი; იგი

ვერც მხატვრულ ნაწარმოებს წაიკითხავს, ვერც მშობლებსა და დამეებს დაელაპარაკება.

ასეა არა ერთ და ორ დღეს, არამედ სწავლის მთელ მანძილზე, და იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, მომავალ ცხოვრებაში როგორ გამოადგებათ ახალგაზრდებს ასეთი სიმწრით მიღებული ცოდნა, რა გამართლება ექნება 10 წლის კატორღულ შრომას?

პასუხად ალბათ გვეტყვიან (და მოსწავლეებსაც ასე ეუბნებიან): ვინც კარგად ისწავლის, მისთვის ღია იქნებაო უმაღლესი სასწავლებლის კარი; დაე ყველამ მოინდომოს, გაიჭიროს და ბედნიერი მომავალი განაღდებული ექნება, ყველა გახდება ექიმი, ინჟინერი ან მეცნიერი-მკვლევარი და ა.შ. მაგრამ ეს არ იქნება მართალი. უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად დებულობენ მხოლოდ იმდენ აბიტურიენტს, რამდენი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტიც სჭირდება ჩვენი სახალხო მეურნეობის, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

თვალსაჩინოებისათვის კვლავ უნდა მოვიტანოთ რამდენიმე ციფრი. მომავალ ხუთწლეულში ჩვენს რესპუბლიკაში, სახალხო განათლების პერსპექტიული პროგრამის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას ყოველწლიურად დაამთავრებს **70 ათასამდე** მოსწავლე. მათგან უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხება **15 ათასი**, საშუალო სპეციალურ ტექნიკუმები მიიღებენ 17-18 ათასამდე, ხოლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები _ 10 ათასამდე მოსწავლეს.

კიდევ რჩება ყოველწლიურად 27 ათასი სკოლადამთავრებული, ვისთვისაც არც ერთ სასწავლებელში ადგილი არ არის. რა უნდა ჰქნან მათ? ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა განათლების მინისტრის მოადგილე: “ბევრი მათგანი, მხედველობაში გვყავს ქალიშვილები, საოჯახო საქმიანობას მოჰკიდებენ ხელს და შეასრულებენ ყველაზე მეტად საპატიო მოვალეობას _ დედობას, და სოფლად, შემღობისდაგვარად, საკოლმეურნეო შრომაშიც ჩაებმებიან.

ვაჟები სოფლად სასოფლო-სამეურნეო შრომას მოჰკიდებენ ხელს. ქალაქად მცხოვრები ვაჟებიდან და ქალიშვილებიდან – ზოგი საყოფაცხოვრებო საქმიანობას მოემსახურება, მსუბუქი მრეწველობის საწარმოში იმუშავებს, ზოგიც საქმისწარმოებასა და მანქანაზე ბეჭდვას ისწავლის და სხვ”. (ჟურ. “სკოლა და ცხოვრება”, 1975, N9, გვ.59).

არაფერს ვიტყვი ტექნიკუმებსა და პროფ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხულებზე (თუმცა მათ: მომავალ ხარატებს, დურგლებს, ზეინკლებს, მეტალურგებს, ავტომექანიკოსებს, ელექტრომონტიორებს, ექთნებს, გამყიდველებს, ფეიქრებს, ბებიქალებს და სხვებს – საეჭვოა, რომ გამოადგეთ სკოლაში ნასწავლი ოცამდე საგნის თუნდაც ნახევარი). ყოველწლიურად ბედის ანაბარად დარჩენილი **27 ათასი** ახალგაზრდის მდგომარეობა კი ნამდვილად დამაფიქრებელია. თურმე მათემატიკაში (დაწყებითი განათლების ჩათვლით) 15 წიგნის, ისტორიაში – 12 წიგნის, გეოგრაფიაში – 7 წიგნის და ასეთივე მოცულობით სხვა საგნების შესწავლა იმისათვის ყოფილა საჭირო, რომ ფაბრიკაში დამხმარე მუშად მოეწყოს, დამლაგებლად და მრეცხავად იმუშაოს, ან მეღორისა და მეცხვარის საგზური მიიღოს. აბიტურიენტად გაზრდილი ახალგაზრდა ძალიან ძნელად შეეგუება ასეთ მოულოდნელ სამუშაოს.

ამაშიც ჩანს ჩვენი განათლების სისტემის ერთი ნაკლი. **სკოლა ვერ ამზადებს მოსწავლეებს ცხოვრებისათვის, შრომითი საქმიანობისათვის.** სწავლის 10-11 წელი ისე გადის, რომ საშუალო სკოლა **არჩევანსაც კი ვერ სთავაზობს მოსწავლეს.** იგი ხომ ერთნაირი საზომით უდგება ყველას: მომავალ ასტრონომსა და მეჯოგეს, ექიმსა და კალატოზს, კინორეჟისორსა და ჩაის მკრეფავს...

მოსწავლემ არ იცის რა გამოვა, სად იქნება მისი ადგილი ამ მრავალფეროვან სამყაროში. მაგრამ მან ერთი რამ იცის: ყოველდღიურად ამდენი გაკვეთილის სწავლა მომბზებურებელი და

აუტანელიც კია. სკოლაში და სახლში გაუთავებელი მეცადინეობის გარდა მას უნდა გართობა, თამაში, დასვენება, საინტერესო წიგნის წაკითხვა, კინოში ან თეატრში წასვლა. როდის და როგორ მოახერხოს ეს? იგი ეძებს გამოსავალს. გვერდზე გადადებს მომაბეზრებელ სახელმძღვანელოს და გარბის ეზოში ან – საითაც გული მიუწევს. მეორე დღეს მან გაკვეთილები არ იცის. ღელავს, რცხვენია, ერიდება მასწავლებლისა. არცოდნის ნამდვილ მიზეზს ვერ იტყვის, – რომ საგანი ძალიან რთულია და მის სასწავლად ნებისყოფა და ენერჯია არ ჰყოფნის (ეს მიზეზი იქნებ არცა აქვს შეცნობილი). მას გაკვეთილის, ვთქვათ გეოგრაფიის, სწავლას ახალი ფილმის ნახვა ან რადიომიმღების აწყობა ერჩია, მაგრამ ვერც ამას იტყვის. ეს მეტისმეტი თავხედობა იქნება და ხომ გადაირია მასწავლებელი! სხვა რა გზაა, უნდა იცრუოს, თქვას, რომ ავად იყო ან რაღაც ამდაგვარი. ჟურნალში და დღიურში ჩაიწერება ორიანი ან უკეთეს შემთხვევაში, მოწაფე მიიღებს გაფრთხილებას და მასწავლებელი დაიბარებს მის მშობელს. საჭირო გახდება კიდევ სიცრუე ან თავის მართლება მშობელთან.

ბავშვს მშობლის ხათრი და პატივისცემა აქვს, ხშირად – შიშიც. მაგრამ იძულებულია მასაც გაუტეხოს ხათრი. ასე ჩნდება ბზარი მშობლისადმი პატივისცემაში. ასე მოხდება მეორედ, მესამედ, მეათედ და თანდათან გაადვილდება ტყუილის თქმა მშობელთანაც და მასწავლებელთანაც. დამუშავდება სიცრუის, თვალთმაქცობის ტექტიკა. თუ მასწავლებელი ან მშობელი აუხირდა, ზოგი მოსწავლე ყურის მოყრუებით ან მოჩვენებითი ტირილით მოიგერიებს მკაცრ მიმართვას ან დამამცირებელ დახასიათებას (“შე ზარმაცო, უნიჭო, უქნარა, შტერო!”...) იმათ კი, ვინც ასეთ ეპითეტებს ვერ ითმენენ, უვითარდებათ საპასუხო რეაქცია, რათა სამაგიერო გადაუხადონ მასწავლებელს “შეურაცხყოფისათვის”. განგებ აზრაზებენ და აღიზიანებენ მას და ბოლოს სულაც არ ესწრებიან გაკვეთილზე. ასე გახდება ერთ დროს კარგი ბავშვი და ბეჯითი მოსწავლე თვალთმაქცად, პირფერად, ან თავხედად და ძნელად

“აღსაზრდელად”. ის პატარა ბზარი, რომელიც შეუმჩნევლად გაჩნდა მოსწავლის მოკრძალებასში, პატივისცემაში მასწავლებლისადმი ან მშობლისადმი, სკოლის დამთავრებამდე უფსრკულად იქცევა, რაც შეუძლებელს ხდის მათ გულითად ურთიერთობას, საუბარს ან ახსნა-განმარტებას.

ურთიერთობა რთულდება არა მხოლოდ დედა-შვილს, მამა-შვილს ან მოსწავლე-მასწავლებელს შორის, არამედ ზოგადად, ახალგაზრდებსა (მოსწავლეები, სტუდენტები) და უფროს თაობას შორის. ხშირად გვიკვირს, მავანი ახალგაზრდა რატომ იქცევა ასე ცუდად საზოგადოებაში, რატომ იგდებს ყველას აბუჩად, რატომ პასუხობს უხეშად უფროსების მართებულ შენიშვნაზე? მაგრამ, თუ გვეცოდინება, რომ იგი ყოველდღე ატყუებს საკუთარ მასწავლებელსა და მშობელს, ასევე უხეშად იგერიებს მათ შენიშვნასა თუ დარიგებას, მისი ასეთი ქცევა საზოგადოებაში აღარ გაგვიკვირდება. ეს უკვე მისი ქცევის მანერაა, ეთიკური ნორმაა.

მოზარდი მიეჩვია იმ აზრს, რომ თავაუღებელი შრომის ნაცვლად თვალთმაქცობით, ტყუილით, ფარისევლობით შეიძლება “საქმის გაკეთება” - დროის გაყვანა და სკოლის დამთავრება. ამავე გზით ეცდება იგი მომავალშიც ყველა საქმის “მოგვარებას”.

ამგვარად, სახელმძღვანელოების შემდგენელთა და მასწავლებელთა კეთილი სურვილის მიუხედავად, რომ ბავშვი მცოდნე და განათლებული გამოსულიყო, მივიღეთ მრავალმხრივ საზიანო შედეგი. ჯერ-ერთი, ბავშვი უცოდინარი დარჩა; მეორე _ მას გაუფუჭდა ხასიათი და ზნეობა, დაეკარგა რწმენა სიმართლისა, პატიოსნებისა, გახდა უხეში და თაღლით. თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი სკოლებიდან ასეთი გამოდის თუნდაც 30 პროცენტი, ეს უკვე საზოგადოებრივი უბედურებაა. მაგრამ აგორებული ქვა აქ არ ჩერდება; სწავლის გართულებამ და გამწელებამ წარმოშვა “პროცენტომანია”, ამ უკანასკნელმა კი _ გაუმართლებელი და მავნე

ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში, ერთის მხრივ, და ზოგიერთი მასწავლებლის ანგარების მოყვარეობა, მეორე მხრივ, ნიშნის წამატების საფასურად.

პროგრამების გაზრდისა და სწავლის გამწვანების შედეგია რეპეტიტორობა, რომელსაც ერთმა პუბლიცისტმა სამართლიანად უწოდა “მეორე სკოლა”. აგრეთვე სწავლების სისტემის აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიზეზით უმაღლეს სასწავლებლებს მისდით სუსტი, მათთვის შეუფერებელი შევსება. ამრიგად, განათლების სისტემაში ერთხელ დაშვებულმა შეცდომამ ჩაითრია მთელი ჩვენი საზოგადოება: მოსწავლეები, მათი მშობლები, სკოლის პედაგოგები და უმაღლესი სასწავლებლის ლექტორ-მასწავლებლები (რეპეტიტორების სახით).

ყოველივე ზემოთ თქმული თუ სინამდვილეა, მაშინ უკუღმართობის იმ ზღვართან ვყოფილვართ, რომელსაც კეთილი სურვილები და ცალმხრივი ღონისძიებები ვერ უშველის. საჭიროა საქმის დაწყება სათავიდან, საიდანაც მრავალტომიანი გაბერილი სახელმძღვანელოები მოდის.

პრაქტიკულად ამის გაკეთება განათლების ხელმძღვანელ ორგანოებს შეუძლიათ. მაგრამ მათ ჯერ არ გამოუთქვამთ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენის სურვილი. საქართველოს სსრკ განათლების სამინისტროს მომარჯვებელი აქვს ასეთი პასუხი: სასწავლო პროგრამები საერთოა სსრ კავშირის სკოლებისათვის და მათი შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლიაო.

მაგრამ სხვა რესპუბლიკების სკოლებს განა არ აწუხებთ იგივე პრობლემები, რაც ჩვენს სკოლებს? განა პირველად საკავშირო გაზეთებმა რუსული სკოლების მაგალითზე არ ამხილებს ნიშნების წამატების მავნე პრაქტიკა, რაც პროცენტობანას თამაშში გამოიხატება. ისიც საგანგებოდ აღინიშნა არა ერთხელ, რომ პროცენტობანაა შემთხვევითი მოვლენა ან ვისიმე ბოროტი განზრახვის შედეგი კი არ არის, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გადაუჭრელი

პრობლემების ნაყოფია; რომ მოსწავლეთა ჩამორჩენას, ოროსნობას, საერთოდ სწავლისადმი გულგრილობას იწვევს სასწავლო პროგრამების შეუსაბამობა მოსწავლეთა შესაძლებლობასა და ინტერესთან.

მაინც რატომ გახდა ეს სახელმძღვანელოები ასე ხელშეუხებელი? ვინ დაუმტკიცა ამ წიგნებსა და მათ ავტორებს საუკუნოდ შეუცვლელია და ხელშეუხებლობის გარანტიები? რას ველოდებით? რაც უფრო შემდეგისთვის გადაიდება ამ საკითხების მოგვარება, განა მით უფრო მეტად საზიანო არ იქნება მისი შედეგები მთელი სახელმწიფოსთვის? ცხადია, ეს საქმე ერთ დღეში არ გაკეთდება. ყველა საგნის პროგრამის გადახალისება ჯერ ოფიციალურად უნდა გადაწყდეს და შემდეგ პრაქტიკულად შესრულდეს. ამას გარკვეული დრო უნდა. მანამდე კი, რაც ჩვენს ხელთ არის ის მაინც გავაკეთოთ. მაგალითად, რატომ ვერ გადაწყდა აქამდე ქართული ლიტერატურის (VIII-IX-X კლასების) სახელმძღვანელოების განახლების საკითხი? ეს ხომ უშუალოდ ქართველი მეცნიერებისა და პედაგოგების საქმეა?

არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია საგნების დიფერენცირებულად სწავლების შემოღება მე-8-9-10 კლასებში. მაგრამ პრესაში არა ერთხელ გამოთქმულ ამ მოსაზრებას განათლების სისტემის ხელმძღვანელი მუშაკები არ იზიარებენ. მათი პოზიცია ჩანს იმ კატეგორიულ უარშიც, რომლითაც განათლების მინისტრის მოადგილე პროფ. უ. ობოლაძე შეხვდა საგნების დიფერენცირებული სწავლების აზრს, იმ მოტივით, თითქოს იგი ეწინააღმდეგება საყოველთაო, საშუალო განათლების განხორციელების პოლიტიკას, და “**მეორე მხრივ, სწავლების სრული დიფერენცირება** (ხაზგასმა ჩვენია – გ. ა.) შვიდწლიანი და, თუ გნებავთ რვაწლიანი სკოლის ბაზაზე პედაგოგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყოველად გაუმართლებელი ღონისძიებაა; დიდ ხანია, რაც იგი დაგმობილია და ამ გზას არსად არ მიმართავენ”. (ჟურ. “სკოლა და ცხოვრება, 1975 N9, გვ.60).

ამ არგუმენტებს ვერ დავეთანხმებით შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ ერთი, **საგნების დიფერენცირებული სწავლება არ ნიშნავს საშუალო განათლების პრინციპის უარყოფას.** აქ ლაპარაკია მხოლოდ პროგრამების მოცულობასა და მათს თანაფარდობაზე. მეცნიერებისა და ხელოვნების თხუთმეტამდე დარგიდან, რომელთაც საშუალო სკოლაში სწავლობენ, შეუძლებელია, მოსწავლეს ყველა ერთნაირად აინტერესებდეს და ყველა მათგანს მაქსიმალური სისრულით სწავლობდეს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლების **IV-X კლასების მოსწავლეთა 82% სამოსანია.** ბეჯითი მოსწავლეებიც კი თვითონვე “ახარისხებენ” საგნებს, ზოგს ნამდვილად კარგად სწავლობენ, ზოგს კი – მხოლოდ “ნიშნისთვის”. მაგრამ ასეთი არაოფიციალური დიფერენცირება მოსწავლეს მრავალ უხერხულობას უქმნის...

მეორეც, **საგნების დიფერენცირების მომხრეთაგან არავის მოუთხოვია “სრული დიფერენცირება”.** არავის უთქვამს რომ ფიზიკა-მათემატიკის მოყვარულმა არ ისწავლოს ისტორია და გეოგრაფია, ან მომავალ ისტორიკოსს არაფერი გაეგებოდეს ფიზიკისა და ქიმიისა. ამჟამად სასურველი დიფერენცირება გულისხმობს ყოველ სკოლაში პარალელური კლასების ბაზაზე გარკვეული პროფილის ჯგუფების შექმნას. დავუშვათ, რომ IX¹ კლასში გაძლიერებულად ისწავლებოდეს ფიზიკა-მათემატიკა, IX² –ში – ისტორია და ლიტერატურა, IX³-ში – ქიმია-ბიოლოგია და უცხო ენა. არჩეულ საგნებში მოსწავლეები მიიღებენ ფართო და საფუძვლიან განათლებას. სხვა საგნებშიც აგრეთვე ყველასთვის სავალდებულო იქნება ზოგადი განათლების მიღება და საშუალო სკოლის პროგრამის ათვისება (ოღონდ არა ახლანდელი პროგრამებისა). ნუთუ ამით დამავდება რაიმე? აღნიშნული ღონისძიება არც სკოლების რეორგანიზაციას საჭიროებს და არც მასწავლებელთა კონტინგენტის გაზრდას. აუცილებელი იქნება მხოლოდ ახალი სახელმძღვანელოები.

როგორც პროგრამების შემცირების, ასევე საგნების დიფერენცირების მოთხოვნას ის მიზანი აქვს, რომ **სასწავლო**

დატვირთა შეეფერებოდეს მოზარდის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობას; რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ სრულად ისწავლოს, რაც პროგრამასა და სახელმძღვანელოში იქნება მოცემული და კიდევ დარჩეს დრო, რათა მხატვრული ლიტერატურით, მუსიკით, ხელოვნებით, ადამიანებთან ურთიერთობით გაიმდიდროს სული და გონება, რათა მომავალი თაობა აღიზარდოს ფიზიკურად, განათლებით, ზნეობრივად და ესთეტიკურად სრულყოფილ მოქალაქეებად.

*(შემოკლებით დაიბეჭდა გაზეთში “ახალგაზრდა კომუნისტი”,
1975, 30 ოქტომბერი).*

სწავლის პრინციპი და მეთოდი შედეგით ფასდება

მწერლობა, კერძოდ მხატვრული ლიტერატურა, ერის უდიდესი მონაპოვარია, მისი განძი და სიამაყეა. ყოველი ერი უვლის თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, სწავლობს და ასწავლის მომავალ თაობას. ჩვენც – დღევანდელი ქართველები – ვამაყობთ მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურით; გვინდა ჩვენს შვილებსაც უყვარდეთ და ამაყობდნენ წინაპართა მიერ შექმნილ ფასდაუდებელი განძით.

ამ სურვილის განხორციელების ერთადერთი გზაა – სკოლაში ენისა და ლიტერატურის კარგად სწავლება, რისთვისაც აუცილებელია: არსებობდეს მეთოდურად სწარად შედგენილი პროგრამა (ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით), მოსწავლეს ჰქონდეს კარგი სახელმძღვანელო და ჰყავდეს კარგი მასწავლებელი. ამ პირობათაგან ერთ-ერთი თუ დაირღვა, მოსწავლე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ამ წერილში საუბარი გვექნება ქართული საშუალო სკოლის უფროს (IX-X-XI კლასებში ლიტერატურული მასალის შერჩევისა და

განაწილების შესახებ. ერთხელ კიდევ გავიმეორებთ კომპენტენტური პირების მიერ აღიარებულ ფაქტს, რომ ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ამ დარგის დღევანდელ დონეს არ შეესაბამება და აუცილებელ აღმზრდელობით და შემეცნებით ფუნქციებს ვერ ასრულებს.

IX-XI კლასებში ისწავლება ქართული ლიტერატურის ისტორია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, V საუკუნიდან თანამედროვე მწერლების შემოქმედების ჩათვით. ქრონოლოგიური პრინციპი თავიდანვე იყო მიღებული საბჭოთა განათლების სისტემაში და ყველა ეროვნულ სკოლაში მას დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მეორე ფაქტიც: ბოლო 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გადიდა თითქმის ყველა საგნის პროგრამები და სახელმძღვანელოები; შემოღებულ იქნა ახალი საგნები; შეიქმნა სასწავლო დროის დეფიციტი. ამის გამო შემცირდა ქართული ენისა და ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისათვის განკუთვნილი საათები.

აქ საქართველოს ისტორია იმიტომ ვახსენეთ, რომ მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ძველი ქართული მწერლობის შესწავლა. ადრე, როდესაც საქართველოს ისტორია უფრო ვრცლად ისწავლებოდა, ასე თუ ისე, ხერხდებოდა ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებაც (თუმცა არც მაშინდელი VIII კლასელებისთვის იყო მთლად ნათელი იაკობ ცურტაველის, გიორგი მერჩულეს, შოთა რუსთაველის, სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის ნაწარმოებთა სოციალური, რელიგიური, ფილოსოფიური თუ მხატვრული ასპექტები). ამჟამად კი მდგომარეობა ყოველმხრივ გართულებულია და მოსწავლეს ერთნაირ სატანჯველად გადაჰქცევია ფიზიკაც, მათემატიკაც, მშობლიური ლიტერატურაც, ახლობელი და შორეული ქვეყნების ისტორიაც და ყველა სხვა საგანი, რომლებითაც მაქსიმალურად გატენილია მისი

ექვსდღიანი განრიგი. იშვიათად მოიძებნება მოწაფე, რომელიმე საგანს ნამდვილი ინტერესითა და სიყვარულით რომ სწავლობდეს.

დიდი ხანია იციან ეს განათლების რიგითმა მუშაკებმაც და მეთაურებმაც, მაგრამ სწავლების ეფექტიანობისათვის პრაქტიკული მუშაობა დაწყებით კლასებს არ გასცილებია. ისიც უდავოა, დაწყებით კლასებში გამოყენებული ნოვატორული მეთოდები, რაც გინდა კარგი იყოს, მაღალ კლასებში პირდაპირ ვერ გადაინერგება. ყველა საგნის სწავლებას თავისი სიმძნელე აქვს და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე უნდა მოგვარდეს.

ქართული ლიტერატურის სისტემატური კურსი აქამდე VIII კლასში იწყებოდა, მიმდინარე წლიდან ის IX კლასიდან ისწავლება. მაგრამ ამით ბავშვებს არც ასაკი ემატებათ და არც ჭკუა-გონება. მოგეხსენებათ, მხოლოდ კლასის რიგითი ნომერი შეიცვალა, მეტი – არაფერი. IX კლასის 14 წლის ბავშვები სხედან და მათი გონებრივი ჰორიზონტი და მოვლენების ანალიზის უნარი არაა საკმარისი იმ რთული სოციალური ურთიერთობებისა და ზნეობრივ-ეთიკური ნორმების გასაგებად, რომელნიც “შუშანიკის წამების”, “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა” და “ვეფხვის ტყაოსნის” ან “ქართლის ჭირის” პერსონაჟების მოქმედებას წარმართავენ. ამასთან ერთად, რაკი ჩვენს საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორია სასურველ დონეზე არ ისწავლება, V-XII და XVII-XVIII საუკუნეების რთული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ მოსწავლეებმა თითქმის არაფერი იციან. მასწავლებელი იძულებულია ჯერ ისტორიული მოვლენა გააცნოს და შემდეგ ძველი ქართული ენით დაწერილი მხატვრული ნაწარმოები ასწავლოს, რაც არ ხერხდება ამ საგნისათვის დათმობილ მცირე დროში.

დავუშვათ, მასწავლებელმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა და მოასწრო საპროგრამო მასალის სწავლება. შედეგი მაინც ძალიან მცირე იქნება მასწავლებლისა და მოსწავლეის მიერ დახარჯულ ენერჯიასთან შედარებით. ბავშვები რაღაცას ისწავლიან,

მაგრამ ეს არ იქნება ნამდვილი ცოდნა, რადგან 14 წლის ბავშვები ფსიქიკურად მომზადებული არ არიან შუშანიკის ტრაგედიის ან ტაო-კლარჯეთის ბერ-მონაზონთა ასკეტური ცხოვრების აზრის გასაგებად. ის ხომ სულ სხვა სამყაროა, სადაც ადამიანთა ქცევას განსაზღვრავს ზეციური განგების, სულის უკვდავებისა და იმქვეყნიური, მეორე ცხოვრების არსებობის რწმენა. ამის გაგებას გარკვეული გონებრივი განვითარება და სათანადო ფსიქოლოგიური განწყობა სჭირდება.

ყურადსაღებია პროფესორ **ალექსანდრე ალექსიძის** სიტყვები: “ჩვენი სახელმძღვანელოები აგებულია ძირითადად ქრონოლოგიური პრინციპებით. ვშიშობთ, არაფერი და არავინ გამოგვრჩეს, არ ვითვალისწინებთ არც ასაკს ბავშვისას, არც დროის ფაქტორებს. ვეფხისტყაოსანს ადრეულ ასაკში არ უნდა ვასწავლიდეთ. ბავშვი ამ პოემას აღიქვამს, როგორც ზღაპარს, ვერ აფასებს მის მხატვრულ ღირებულებას, ვერ ჩასწვდება პოემის დიდ აზრს და მის, როგორც შუა საუკუნეების კულტურის ძეგლის მთელ სირთულეს და სპეციფიკას. ბავშვობის შთაბეჭდილება სამუდამოდ შერჩება, რადგან ამ ნაწარმოებს მერე აღარ დაუბრუნდება. ამის გამო ვეფხისტყაოსანი, როგორც დიდი პოეტური ეპოსი, მისთვის “მიუწვდომელი” დარჩება. მე ვფიქრობ, საჭიროა ერთგვარი კორექტივი შევიტანოთ ლიტერატურული ნაწარმოებების მიწოდების თანმიმდევრობაში. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ ქრონოლოგიაც, უნდა შევუქმნათ წარმოდგება ლიტერატურის განვითარების პროცესზეც, მაგრამ მთავარი მაინც ეს ნუ გახდება” (*“ლიტერატურული საქართველო”, 1974, N44*). კონკრეტულად და ნათლად გამოთქმული ამ მოსაზრებების საპირისპიროს დამტკიცება შეუძლებელია.

მიმდინარე სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით იმედი გვექონდა, რომ ქართული ლიტერატურის ახალი პროგრამის შემდგენლები გაითვალისწინებდნენ მეცნიერთა და პედაგოგთა საფუძვლიან შენიშვნებს. მაგრამ... გასულ წელს გამოქვეყნებულ პროგრამის პროექტში კვლავ ძველებური თანმიმდევრობაა დაცული. თანაც IX კლასისათვის განკუთვნილი ძველი ქართული

ლიტერატურის კურსი შევსებულია ახალი მასალებით (ჰიმნოგრაფიის ნიმუშები, აბოს წამება, თეიმურაზ I, არჩილი, ბესიკ გაბაშვილი). ე.ი. მოსწავლეთა ტვირთი კიდევ უფრო მძიმდება.

“ვეფხისტყაოსნის” სწავლების დროს ტრადიციული თემატიკის (პერსონაჟების დახასიათება, მიჯნურობა, პატრიოტიზმი, მეგობრობა და მისთ.) და მხატვრული ანალიზის (კომპოზიცია, პოეტური ხერხები, ლექსის ზომა, რითმა, რიტმი...) გარდა პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი პრობლემატიკის დამუშავებას: **რეალური და ფანტასტიკური ვეფხისტყაოსანში; პორტრეტის ხატვის არაპირდაპირი ხერხი და ძველი ბერძნული მწერლობის ტრადიცია (ჰომეროსი); ჰუმანიზმი ქართულსა და ევროპულ რენესანსში (“დონ კიხოტი”, “ჰამლეტი”); ვეფხისტყაოსნის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და ა.შ.**

ამ პრობლემების დაყენება გულისხმობს, რომ მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ჰომეროსის, დანტეს, სერვანტესის, შექსპირის შემოქმედებას. მაგრამ საიდან? მათი ზოგი ნაწარმოების წაკითხვა გათვალისწინებულია “სავალდებულო კლასგარეშე” კითხვის გზით. თუმცა ერთია წაკითხვა და სხვაა წაკითხულის გაგება, გაანალიზება და “ვეფხისტყაოსანთან” შეპირისპირება. ასეთი მოცულობისა და სირთულის სამუშაოს მიცემა IX კლასის მოსწავლისათვის არა თუ გაუმართლებელი, დანაშაულიც იქნება. მოსწავლეებმა უნდა გაიზიარონ აგრეთვე: “რომელმან” როგორც ღმერთის ეპითეტი, “მზიანი ღამისა” და “უჟამო ჟამის” თეოლოგიურ-მეტაფორული შინაარსი (*იბ. “სახალხო განათლება”, 1986, 16. VII.*)

პროგრამის შემდგენლები თვითონაც გრძნობენ რომ 14 წლის მოზარდები ამ პრობლემებში ვერ გაერკვევიან და გვირჩევენ, ზოგიერთი მათგანი შემდეგისათვის მოვიტოვოთ: “მთელი რიგი რთული საკითხები, რომელთაც ამ ასაკის მოსწავლეები თავს ვერ ართმევენ, შეიძლება აიხსნას XI კლასში, რუსთაველის პოემის გამეორებისას (მაგალითად, შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი” და

ევროპული რენესანსის საკითხები, ქართული ფილოსოფიური ნააზრების უკუფენა “ვეფხისტყაოსანში” და სხვა)”, – ასე წერია პროგრამის პროექტის განმარტებით ბარათში.

გამოდის, რომ “ვეფხისტყაოსანი” ნაწილ-ნაწილ უნდა ვასწავლოთ, მაგრამ როგორ? XI კლასში რამდენი საათი დაეთმობა მის გამეორებას (ანუ ხელახლა სწავლას) და რას მოგვცემს ასეთი დანაწილება? რომელი მასწავლებელი იქნება პასუხისმგებელი მოსწავლეთა ცოდნაზე, IX-სი თუ XI კლასისა?

(ახლა გაირკვა, რომ ეს პროექტი უარყო განათლების სამინისტრომ, მაგრამ როგორ გადაწყდება ეს საკითხები მომავალ პროგრამაში?)

მთავარი მაინც ისაა, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია პოეტის მსოფმხედველობისა და ნაწარმოების თემატიკისა და პრობლემების ერთმანეთისაგან განცალკევებით სწავლება. რენესანსული მსოფმხედველობა უნდა გამოვლინდეს პერსონაჟების დახასიათების, მიჯნურობისა და მეგობრობის საკითხების განხილვის, ბრძოლებისა, სამეფო კარის ცხოვრების, დარბაზობისა და ლხინის აღწერის დროს. ამ საკითხებს IX კლასში თუ განვიხილავთ, იქვე საჭირო იქნება ევროპული მწერლობისა და ხელოვნების მაგალითების მოტანაც. ამრიგად, ე.წ. “რთული საკითხების” XI კლასში ზოგადი მიმოხილვით შესწავლის იმედზე ყოფნა მხოლოდ თავის მოტყუება იქნება; ამ გზით მდიდარი და საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობის სწავლების საქმე ვერ გადაიჭრება.

ქრონოლოგიური პრინციპის წყალობით ასე გამოდის: IX კლასში მოსწავლე ძველ ქართულ მწერლობას დიდი წვალებით მხოლოდ ზერელედ სწავლობს. XI კლასში “გამეორებით” შესძლებს აღიდგინოს ის სქემატური და უფერული ცოდნა, რაც ადრე მიიღო. შედეგად ის შეგვჩება, რომ მას მშობლიური ლიტერატურა არ ეცოდინება და არც ეყვარება.

ნუთუ ქრონოლოგიისგან გადახვევა უფრო მძიმე ცოდვას, ვიდრე უვიცი და უკულტურო ახალგაზრდობის გაშვება ცხოვრების ასპარეზზე? მით უმეტეს, როცა ქრონოლოგიური პრინციპის დაცვამ თავისთავად დაკარგა აზრი: ქართული მწერლობა ისე შეკვეცილად და სქემატურად ისწავლება, რომ ნამდვილ ლიტერატურულ მემკვიდრეობითობაზე – წინა ეპოქიდან მომდევნო ეპოქის მწერლობაში მოტივების, მხატვრული აზროვნების, სტილური ხერხების გაგრძელებასა და განვითარებაზე მოსწავლე ვერაფერს გეტყვით. მან იცის რამდენიმე ადგილი ლექსებიდან და პოემებიდან (ზეპირად) და ზოგიერთი პერსონაჟის “დახასიათება”, დაახლოებით ისე, როგორცაა ისინი IX, X, XI კლასების სახელმძღვანელოებში, და რასაც არ ვასწავლით, ის რა უფლებით მოვთხოვოთ?

ამჟამად არსებული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორებზე მსჯელობა აქ ალბათ ზედმეტი იქნება; დიდი ხანია, ცნობილია მათი ნაკლოვანებები. ეს კიდევ თუ ეეჭვება ვინმეს, ვთხოვთ, გაეცნოს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის 1975 წლის თებერვლის პლენუმის მასალებს (“ლიტერატურული საქართველო”, 1975, N10); აგრეთვე ვასილ კიკნაძის, კობა იმედაშვილის, ვახტანგ ჭელიძის, გივი ალხაზიშვილის, თენგიზ წოწონავას წერილებს (“ლიტერატურული საქართველო”, 1974,N42,47;1975,N6;1987,N20; გაზეთი “ქუთაისი”, 1987,N155).

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეს სრული წარმოდგენა ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარებაზე (და საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე საერთოდ), მაგრამ იმ პირობებში, როგორც ქართული ლიტერატურა ამჟამად ისწავლება, ეს ვერ მოხერხდება. ახალი სახელმძღვანელოების შექმნა კი ძალიან გვიანდება.

პროგრამის პროექტში ძველი ქართული ლიტერატურა წარმოდგენილია უკეთესად, ვიდრე აქამდე ისწავლებოდა, XIX და XX

საუკუნეების ავტორებთანაც დამატებულია მხატვრულად სრულყოფილი ნიმუშები, მაგრამ თანამედროვე მწერლობა მაინც დარიბად გამოიყურება. XI კლასში გათვალისწინებულია 8 პროზაული ნაწარმოების შესწავლა. ხუთი მათგანი დაწერილია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სხვები კი ამ საუკუნის 30-იან წლებში. პროგრამაში არ არის ისეთი ნაწარმოები, რომელიც მოსწავლეს აჩვენებდა თანამედროვე მოქალაქის: მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის (მეცნიერის, ექიმის, ინჟინრის, მასწავლებლის), სტუდენტის, მოსწავლის ტიპიურ სახეს.

ჩვენთვის გაუგებარია, ლიტერატურის სასწავლო კურსში რატომ არ შედის ცოცხალ მწერალთა შემოქმედება? სკოლადამთავრებული ახალგაზრდის შეხედულება XX ს-ის ქართულ პროზაზე ნაკლები და ცალმხრივი იქნება ო. ჩხეიძის, გ. რჩელიშვილის, ნ. დუმბაძის, ა. სულაკაურის, რ. ჭეიშვილის, ო. ჭილაძის, ჭ. ამირეჯიბის, გ. ფანჯიკიძის, რ. ინანიშვილის, თ. ბიბილურის, გ. დოჩანაშვილის ნაწარმოებთა გარეშე.

პოეზიის სწავლებაში უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ აქაც საკმის ვერ შევლის მხოლოდ ლ. ასათიანისა და მ. გელოვანის ლექსების დამატება. საშუალო სკოლის პროგრამაში უფრო მეტი უნდა იყოს შეტანილი გ. ტაბიძის, ი. აბაშიძის, ა. კალანდაძის, მ. მაჭავარიანის, შ. ნიშნიანიძის, მ. ლებანიძის და სხვა თანამედროვე პოეტების საუკეთესო ლექსები. ამასთან ერთად, როგორც ზემოთ ვთქვით, მასალა ისე უნდა განაწილდეს, რომ მისი შესწავლისათვის განკუთვნილი დრო ამოდ არ დაიკარგოს. კერძოდ, ძველი მწერლობის შესწავლა გადატანილ იქნას XI კლასში, მე-19 და მე-20 საუკუნეების მასალა კი განაწილდეს IX-X კლასებზე. აქედან ზოგიერთი ნიმუში შეიძლება დაემატოს VII-VIII კლასების პროგრამებსაც.

საერთოდ, ჭუმანიტარული განათლების დონის ამაღლებისათვის, ზემოაღნიშნულის გარდა, აუცილებელია:

1) საქართველოს ისტორია აღდგეს თავის უფლებებში, ისწავლებოდეს დამოუკიდებელ საგნად და შევიდეს ატესტატში სხვა საგნების თანაბრად.

2) შეიქმნას ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე და ისწავლებოდეს ის დიფერენცირებულ ჯგუფებში ან ფაკულტატურად მაინც.

3) დაიწეროს “საზოგადოებათმცოდნეობის” მარტივი და გასაგები სახელმძღვანელო.

4) შემცირდეს ბოტანიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკის პროგრამები და სახელმძღვანელოები. გამოთავისუფლებული დრო დაეთმოს საზღვარგარეთის ლიტერატურის ნიმუშებისა და ხელოვნების ისტორიის სწავლებას.

გაზ. “თბილისი”, 1987, 25.XII.

ახალი სახელმძღვანელო ძველი და ახალი შეცდომებით

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი პრაქტიკული გამოხატულება უნდა იყოს ყველა სასწავლო საგნის სრულყოფილი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნა.

რამდენიმე წელია, რაც მიმდინარეობს მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო ქართული საშუალო სკოლის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოების სრულყოფისათვის. განახლებული წიგნებით უკვე სარგებლობენ დაწყებითი და V-VIII კლასების მოსწავლეები და მასწავლებლები.

სასურველია, ჩქარა დაიწყოს ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსის მომზადებაზე მუშაობა. მანამდე კი გადავხედოთ, იმას, რაც გაკეთდა; რამდენად სრულყოფილია ახალი სახელმძღვანელოები.

ერთ-ერთი მათგანია **მშობლიური ლიტერატურის VIII კლასის სახელმძღვანელო, შემდგენლები: პროკლე კეკელიძე, ბესო ჟღენტი, ეთერ გულდამაშვილი**. მესამე გამოცემა, 1987 წ. (წიგნს აწერია “VII კლასის სახელმძღვანელო”, რადგან ის ათწლიანი სწავლების მეშვიდე კლასისათვის იყო განკუთვნილი). ადრე წიგნს ორი შემდგენელი ჰყავდა: პრ. კეკელიძე და ბ. ჟღენტი. გადამუშავებული სახით გამოდის 1983 წლიდან.

ახალი სახელმძღვანელო შეიქმნა ძველის შევსება-შესწორების გზით, სადაც შედიოდა XIX და XX საუკუნეების ზოგი მწერლის მოკლე ბიოგრაფია და თითო ან ორ-ორი ნაწარმოები. მოცემული იყო აგრეთვე ელემენტარული ცნობები ლიტერატურის თეორიიდან და ფოლკლორიდან.

სასწავლო მასალის შედგენილობის მხრივ ახალში პრინციპული განსხვავება არაა, წიგნი იწყება ხალხური სიტყვიერების ნიმუშებით: “ამირანი” (თქმულება) და “ლექსი ვეფხვისა და მოყმისა”. შემდეგ მოდის მწერალთა ბიოგრაფიები და მათი თხზულებები. ისწავლება: ალ. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, გ. რჩეულიშვილის თითო პროზაული ნაწარმოები; ვაჟა-ფშაველას პოემა “სტუმარ-მასპინძელი”; ირ. ევდოშვილის, გ. ტაბიძის ორ-ორი და გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის, მ. მაჭავარიანის თითო ლექსი.

წიგნი ძირითადად ქრესტომათიული ხასიათისაა და შემდგენლებს შემოქმედებითი თავისუფლების გამოჩენის საშუალება არ ჰქონდათ. მათი მუშაობა განისაზღვრებოდა ტექსტში ნახმარი დიალექტური ფორმების განმარტებით, კითხვების, დავალებებისა და საწერი თემების შერჩევით.

ასეთი მდგომარეობა წიგნის შემდგენელსა და რედაქტორს ავალდებულებს, რომ მოიტანოს ფაქტობრივად ზუსტი და მოსწავლისათვის აუცილებლად სასარგებლო მასალა, რათა საგნის შესასწავლად განკუთვნილი მცირე დრო არ დაიხარჯოს არასაჭირო ინფორმაციაზე. აგრეთვე ბიოგრაფიისა და კომენტარის სტილი ლაკონური, ნათელი და გასაგები იყოს.

შემდგენლებს ახალ წიგნში დაუმატებიათ: ფოლკლორისტული კომენტარი ამირანის თქმულების შესახებ (გვ. 20-22); “ბალადის” განმარტება (27-28, გავრცობილია; ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას წერილიდან “კრიტიკა ბ-ნ იპ. ვართაგავასი” (163-164); ლ. ქიაჩელის მოგონება-განმარტება “ტარიელ გოლუას” პერსონაჟთა პროტოტიპების შესახებ (232-234); ლიტერორიული კომენტარი “მხატვრული სახე” (117-118), “მხატვრული ნარკვევი” (421-422).

ეს მასალები კარგად შერჩეულია და უთუოდ სასარგებლო იქნება მოსწავლეთათვის. წიგნის სხვა დადებით მხარეებს აქ ვერ შევეხებით. ამ წერილის მიზანია ნაკლოვანებებზე მითითება, რათა გასწორდეს ისინი და სახელმძღვანელოს შემდეგი გამოცემა უკეთესი იყოს.

მწერალთა ბიოგრაფიები შევსებულია ახალი მასალებით, მაგრამ არა ყოველთვის წარმატებით. აქ ზოგან ფაქტობრივი შეცდომებიც გვხვდება. მაგალითად, ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია ასე იწყება: **არაგვის** დაბურულ ხეობას რომ გასცილდებით, არწივის სიმაღლეზე **ხევი** იწყება. თვალწინ გადაიშლება თვალწარმტაცი **გუდამაყრის ხეობა**. ატეხილი ჭალები, ულამაზესი სოფლები: ქვეშეთი, მლეთი, ყანობი, განუმეორებელი ციხე-კოშკებით, ბუმბერაზი მთებით გარშემორტყმული **სტეფანწმინდა** (ამჟამად **ყაზბეგი**) და **გერგეტი**, **დარიალის** ვიწროები, საიდანაც მოისმის “თავზეხელაღებული, დაუმონავი, გადარეული **თერგის** ზარიანი ხმაური... ამ ზღაპრულ სამყაროში დაიბადა და აღიზარდა ალექსანდრე ყაზბეგი” (გვ. 29).

გთხოვთ დააკვირდეთ ჩვენ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს. ჯერ ის ვიკითხოთ, საჭირო იყო თუ არა ამდენი ტოპონიმის დახვევა ერთ აბზაცში? ბევრი მათგანი ხომ არც გაუგონია 13 წლის მოზარდთა უმრავლესობას და უცნობ გეოგრაფიულ სახელთა ჩამოთვლა მათ გულს და გონებას არაფერს ეუბნება, მხოლოდ დასაწყისიდანვე ამფოთებს, რომ მათი დახსომება მოუწევს.

ახლა ფაქტობრივი მხარე ვნახოთ. პირველ წინადადებაში “ხევი” ტერიტორიულ-ეთნიკურ ერთეულს გულისხმობს, – თერგის ხეობის ზემო ნაწილს, სადაც ერთ-ერთი ქართველი ტომი, მოხევე, ცხოვრობს. ე.ი. თითქოს გარკვევით წერია: არაგვის ხეობას რომ გასცილდებით, ხევის ტერიტორია იწყებაო. მაშ რაღა შუაშია “გუდამაყრის ხეობა”? გუდამაყარი ხომ სხვა გეოგრაფიული ერთეულია, ის არაგვის ხეობაში მდებარეობს და არაგვს თუ გავცილდებით, გუდამაყრის ხეობა ვეღარ “გადაიშლება”.

კიდევ: ავტორებს სურთ “ასწავლონ” ბავშვებს, რომ გუდამაყრის ხეობაში მდებარეობს სოფლები: ქვეშეთი, მღეთი, ყანობი, სტეფანწმინდა, გერგეტი და დარიალის ვიწროებიც კი! (თუმცა სიტყვებს შორის “ხეობა” და “სოფლები” წერტილი ზის, მაგრამ ამ წინადადების სხვაგვარად გაგება შეუძლებელია: “თვალწინ გადაიშლება თვალწარმტაცი გუდამაყრის ხეობა. ატეხილი ჭალები, ულამაზესი სოფლები...”.) სინამდვილეში ზემოთ დასახელებული არც ერთი სოფელი არ მდებარეობს გუდამაყარში. ქვეშეთი და მღეთა (და არა მღეთი) მთიულეთს ეკუთვნის, სხვები კი – ხევს.

“ატეხილი ჭალებიც” უხერხულად ისმის ამ კონტექსტში. ამ სოფლების ახლოს და საერთოდ ხევის ტერიტორიაზე, დიდი ხანია, ტყე არ არის და ავტორების აღფრთოვანება “ატეხილი ჭალებით” სრულიად უადგილოა.

ამრიგად, ერთ აბზაცში რამდენიმე უხეში შეცდომაა და ამ მონაკვეთის დასწავლა მოწაფეს მხოლოდ ზიანს მოუტანს; მანამდე თუ რაიმე იცოდა, იმაშიც დააეჭვებს და დააბნევს.

27-ე გვერდზე ბალადის ჟანრის შესახებ წერია: “ბალადა ისტორიულ-ლიტერატურული, ფანტასტიკური ან საგმირო ხასიათის მოვლენათა ამსახველი სიუჟეტისანი ლექსია”. სიტყვა “ლიტერატურული” ჩვენ მექანიკური (ბეჭდვის) შეცდომა გვგონია, რადგან არ შეიძლება ბალადა ლიტერატურულ მოვლენათა ამსახველი იყოს. ასეთ რამეს წიგნის შემდგენლები (როგორც კვალიფიციური ფილოლოგები) არ დაწერდნენ. აქ უნდა იკითხებოდეს ისტორიულ-ლეგენდური (ან: ისტორიულ-ლეგენდარული). როგორც ვხედავთ, ეს შეცდომა აზრს ამახინჯებს და აუცილებლად უნდა გასწორდეს.

სხვათა შორის, მექანიკურ თუ სხვა ამჟამად ფაქტობრივ შეცდომათა გასწორება რატომღაც უჭირთ ავტორებსა და გამომცემლებს. მაგალითად, VI (ახლანდელ VII) კლასის “მშობლიურ ლიტერატურაში” 20 წელზე მეტია, რაც მეორდება “ულუმბოს მთის” მცდარი განმარტება: “ულუმბო _ იგივე ოლიმპო, ძველი ბერძნების წარმოდგენით, ღმერთების სამყოფელი წმინდა მთა თესალიაში (საბერძნეთი)”, (1987 წლის გამოცემის 166 გვ.).

სინამდვილეში “თორნიკე ერისთავში” მოხსენიებული ულუმბო მცირე აზიაში მდებარეობს. ამ ვითომ “მცირე” შეცდომას დიდი გაუგებრობა მოსდევს; თუ სახელმძღვანელოში მოცემულ კომენტარს დავენდობით, გამოდის, რომ ქართველ ბერებს თავიანთი მონასტრები აუშენებთ ბერძენთა უწმინდეს ადგილზე _ ოლიმპიაში. ასეთი რამ კი შეუძლებელი იყო და არც სინამდვილეს შეეფერება. ამის შესახებ დაიბეჭდა კიდეც ვ. გოილამის წერილი (ქართული ენა და ლიტ. სკოლაში, 1975, N1). შეცდომა კი კვლავ გადადის გამოცემიდან გამოცემაში.

დავუბრუნდეთ ისევ მწერლების ბიოგრაფიულ ეპიზოდებს. შემდგენლებს ბიოგრაფიებში ჩაურთავთ თვით მწერალთა მოგონებები, რათა უფრო საინტერესო გაეხადათ ისინი. მაგრამ მწერლის ცხოვრებისა და პიროვნული თვისებების ჩვენების ეს ხერხი ყოველთვის ვერ ამართლებს მიზანს. მაგალითად აქ: “ნ.

ლორთქიფანიძემ წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. “რადგან ქართული წიგნები მაშინ ძალიან ცოტა იყო, განსაკუთრებით საბავშვო, – გადმოგვცემს იგი, – მე ვკითხულობდი რუსულ წიგნებს... რუსულად დავიწყე პირველად წერა. ჩემი გმირი იყო პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოების დარდიმანდი ქალი *Львица*”. ლორთქიფანიძის ადრეულმა ნაწერებმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია, რადგან საზღვარგარეთ გამგზავრებამდე მან ისინი გაანადგურა” (გვ.223).

რას მისცემს მოსწავლეს ასეთი ამბების ცოდნა? ყველა მწერალი ბავშვობიდანვე რაღაცას წერს და შემდეგ თვითონვე წვავს ან ხევს თავის გულბრყვილო ნაზრევს. ან *Львица* –ზე უფრო მნიშვნელოვანი ნუთუ არაფერია მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში? ან კიდევ: “უყვარდა განწყობით, განმარტოებით, ღამე წერა” (გვ.225). განა ამაში რაიმე განსაკუთრებულია? რომელ მწერალს უყვარს “განწყობის” გარეშე ან სხვების თანდასწრებით წერა? “ღამე წერაც” არაა უჩვეულო; გონებრივი მუშაკი მაშინ მუშაობს, როცა დრო და “განწყობა” აქვს.

ლ. ქიაჩელის ბიოგრაფია სამ გვერდს შეადგენს. აქაედან ერთი გვერდი ეთმობა იმის თხრობას, თუ “შემთხვევით” როგორ გადარჩა დაკარგვას რომანის “ტარიელ გოლუას” დედანი. ამის საჩვენებლად აღწერილია ლ. ქიაჩელის მგზავრობა შვეიცარიიდან ნორვეგიამდე (გვ. 231). ამ მონათხრობიდან ისიც ჩანს, რომ რომანის ხელნაწერი მას თან არ ჰქონია; ერთი ეგზემპლარი წამოსვლამდე გაგზავნა თბილისში, ხოლო მეორე ცალი “ყოველი შემთხვევისათვის ერთ ჟენეველ მეგობარს” ჩააბარა. ამრიგად ლ. ქიაჩელის მგზავრობის განსაცდელი მისი რომანის ხელნაწერებს არ შეხვედრია და გაუგებარი რჩება, დაკარგვის რა საფრთხეზეა საუბარი, როდესაც რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მოსწავლეს იმასაც ვეტყვით, რომ რომანი ამ დროს უკვე იბეჭდებოდა. სიმართლე რომ ითქვას, “შემთხვევით” გადარჩა თვით მწერალი და არა მისი რომანის დედანი, და ეს უნდა თქმულიყო როგორც ლ. ქიაჩელის ბიოგრაფიული ფაქტი და არა როგორც ხელნაწერის ამბის დამატება.

არც დავით კლდიაშვილის ბიოგრაფიას მატებს რამეს ასეთი ცნობა: “ქუთაისში გასცნობია იგი გიმნაზიელ ყმაწვილს, გვარად ჩიქოვანს, რომელსაც მშვენიერი ქართული კითხვა სცოდნია. მას წაუკითხავს პირველად დავითისათვის ილია ჭავჭავაძის “კაკო ყაჩაღი”. პოემას მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია” (გვ.169).

ვფიქრობთ, საჭირო არ არის ბიოგრაფიების დატვირთვა ასეთი დეტალებით. მოსწავლეს გაუჭირდება აუცილებელი და მეორეხარისხოვანი მომენტების გარჩევა და თვითონაც ზოგად, არაფრისმთქმელ მსჯელობას მიეჩვევა.

სახელმძღვანელოში ზოგიერთი მწერლის შესახებ მოტანილია ქართველ ან უცხოელ მწერალთა და კრიტიკოსთა აზრები, გამონათქვამები მათ შემოქმედებაზე. ასეთი დამატებები ერთვის ვაჟა-ფშაველას, ნ. ლორთქიფანიძის, გ. ტაბიძისა და გ. რჩეულიშვილის ბიოგრაფიებს. (ისინი წიგნის სარჩევშიც კია ცალკე გატანილი). რა დააშავეს სხვა მწერლებმა, განა მათ შესახებ არაფერი თქმულა კარგი და ყურადღების ღირსი? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, რაც მოაგონდათ ან რაც ხელთ ჰქონდათ წიგნის შემდგენლებს, ის შეიტანეს, სხვების გულისათვის კი თავი არ შეიწუხეს.

შეიმჩნევა სხვა უხერხულობაც: ზოგი მწერლის გვარის ქვეშ მიწერილია...ეპითეტი თუ ქვესათაური, მაგალითად, ასე: დავით კლდიაშვილი, **ქართული პროზის ოსტატი** (გვ.168); იროდიონ ევდოშვილი, **რევოლუციის ტრიბუნი** (214); გალაქტიონ ტაბიძე, **ჩვენი ეპოქის უდიდესი ლირიკოსი** 9379); გიორგი ლეონიძე, **სამშობლოზე მგზნებარე მომღერალი** (386). რა გამოდის, – მხოლოდ დ. კლდიაშვილია “პროზის ოსტატი”, ან მხოლოდ გ. ლეონიძე – “სამშობლოზე მგზნებარე მომღერალი”? ასე რომ დავახარისხოთ, ყველა მწერალს მოვუძებნით რაიმე ეპითეტს, მაგრამ ასეთი შეფასება ყოველთვის ცალმხრივი იქნება. ამიტომ ვამბობთ, რომ ეს წარწერები საერთოდ არაა საჭირო.

ახლა ზოგიერთი სტილური უზუსტობის ან ბუნდოვანების შესახებ. 27-ე გვერდზე ასეთი წინადადებაა: ბალადა “ვეფხვისა და მოყმისა” საწყისს **მითოსის სათავეებიდან** იღებს. ეს “სათავეები” მკვლევართათვისაც ძნელი მისაგნებია და მოსწავლეებს ნუ მოვთხოვთ მათ მოძებნას. წინადადება აზრობრივადაც არაა სწორი; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასახელებული ბალადა “საწყისს იღებს” ღვთაების ურჩი მონადირის შესახებ არსებული რომელიმე კონკრეტული მითიდან და არა ზოდადად “მითოსის სათავეებიდან”.

117-118 გვერდებზე მოცემული “მხატვრული სახის” განმარტება მეცნიერულად სწორია, მაგრამ რთული და მოსწავლისათვის ძნელად გასაგები.

172-ე გვერდზე, დ. კლდიაშვილის ბიოგრაფიის ბოლოს, მოსწავლეს ეკითხებიან: “სად არის დაკრძალული დავით კლდიაშვილი?” ამის პასუხს მოსწავლე სახელმძღვანელოში ვერ ნახავს. იქნებ მიეთითებინათ, სად ან ვისგან გაიგოს ეს.

ჩვენი აზრით, ზედმეტად გართულებულია ლექსის ზომების განხილვა (გვ. 219-221). არ იყო აუცილებელი ასეთი ტერმინების ხმარება: ქორე, იამბი, დაქტილი, ამფიბრაქი, ანაპესტი, მეორე პეონი...

აქვე ჩამოთვლილია მსოფლიოში გავრცელებული ლექსთწყობის სისტემები. მაგრამ რომელ მათგანს ემყარება ქართული ლექსი, ეს აღნიშნული არ არის. სამაგიეროდ ავტორებს მეტი ყურადღება გამოუჩენიათ ფრანგული და პოლონური ლექსის მიმართ...

381 გვერდზე არის ასეთი მოკლე ცნობა: გალაკტიონი “პოეტების მეფედ” აირჩიეს. ერთი აზრისაა შემდეგ მას “პოეზიის მეფედ” მოიხსენიებენ. რა არის ეს? _ წოდება თუ თანამდებობა? ან ვინ აირჩია და როდის, _ საიდან გაიგონ ბავშვებმა? ან ღირს კი ამის ცოდნა იმ ჯაფად, რაც მოსწავლეებს ანდა მათ მასწავლებლებს დაადგებათ

აღნიშნული ფაქტის დაზუსტებისათვის? (ამ “არჩევის” შესახებ ცნობები ძალიან მცირე და არასრულია, თანაც _ძნელადმისაწვდომი).

სხვათა შორის, იქვე გალაკტიონზე შემდეგი წერია: “როგორც ჯადოსნური კვერთხის მფლობელი”, რასაც შეეხებოდა, “ოქროდ აქცევდა”. მაგრამ ეს აზრი ძნელად დასაჯერებელია სახელმძღვანელოში შეტანილი ლექსების მიხედვით (“არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს”, იდიდე, მშვიდობავ!). ისინი ე.წ. საგაზეთო ლექსებია, როგორც სხვადასხვა დროს დაუწერია გ. ტაბიძეს და სხვა პოეტებსაც. სასურველი იყო, შემდგენლებს იდეურობასთან ერთად მხატვრულადაც უფრო უკეთესი ლექსები შეერჩიათ.

სახელმძღვანელოს ჰყავს სამი კვალიფიციური რეცენზენტი, აგრეთვე რედაქტორი. ვერ დავიჯერებთ, რომ მათ არ შეუმჩნევიათ, ან მოსწონდეთ ამ წერილში აღნიშნული ფაქობრივი თუ სხვა უზუსტობანი. მაშ რატომ ვერ მოხერხდა მათი დროულად გასწორება? ნუთუ კვლავ ფორმალურია რეცენზენტისა და რედაქტორის სტატუსი?

ჩვენი ზოგიერთი შენიშვნა მკითხველს შეიძლება უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოზე გვაქვს საუბარი, თანაც **გადამუშავებულ** და **განახლებულ** სახელმძღვანელოზე. სასწავლო წიგნში კი ყველაფერი ზუსტი და ერთი პრინციპით გამართული უნდა იყოს. ეს საერთო პრინციპი არაა დაცული ამ წიგნში.

სახელმძღვანელოს შემდგენლების, დიდად პატივსაცემი და დამსახურებული მოღვაწეების კეთილშობილი განზრახვა ამ შემთხვევაში იდეალურად ვერ განხორციელდა. მათ სახელმძღვანელოს “განახლების” იოლი გზა აურჩევიათ, მის შექმნას კი მეტი მონდომება და უფრო მეტი შრომა სჭირდება.

გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1987, 11. XII.

რას ხედავს მოსწავლე “ხევისბერი გოჩაში”?

ალექსანდრე ყაზბეგის “ხევისბერი გოჩა” ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშთაგანია. საინტერესო თემატიკის დიდი მწერლური ოსტატობით დამუშავება, არაორდინალური ხასიათები და ღრმა ფსიქოლოგიზმი განაპირობებს მკითხველთა და ლიტერატურის მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას ამ თხზულებისადმი. მის შესახებ ბევრია დაწერილი, მაგრამ ზოგი რამ მაინც გასარკვევი და დასაზუსტებელია.

კრიტიკოსებს სხვადასხვა აზრი აქვთ იმაზე, რომელი თემაა პირველხარისხოვანი მასში – ისტორიულ-პატრიოტული (გარეშე მტერთან ბრძოლა), თუ პიროვნების ტრაგედია (მოვალეობისა და “უკანონო” სიყვარულის დაპირისპირება). თხზულების ჟანრობრივი რაობაც არააა ზუსტად განსაზღვრული, ზოგი **მოთხრობას** უწოდებს მას, ზოგი – **რომანს**. სახელმძღვანელოებშიც კი ვერ მოხერხდა ტერმინების უნიფიცირება; VIII კლასში მას ასწავლიან როგორც “მოთხრობას”, X კლასის სახელმძღვანელოში კი “რომანი” ეწოდება.

რომელ ჟანრს მივაკუთვნებთ, ეს ბევრს არაფერს ცვლის; ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა იქნებ არც ჰქონდეს, მაგრამ მოსწავლეებს მაინც გარკვეული პასუხი უნდა მივცეთ.

ჩვენი აზრით, “ხევისბერი გოჩა” რომანად ვერ ჩაითვლება: ჯერ ერთი, – მცირე მოცულობის გამო (ის თავსდება საშუალო ფორმატის 80 გვერდზე); XIX საუკუნეში ასეთ მცირეტანიან ნაწარმოებს რომანს არ უწოდებდნენ არც ქართულ და არც სხვა ქვეყნების ლიტერატურაში. მეორეც, – მოქმედ პირთა მცირერიცხოვნობისა და მათი დახასიათების პრინციპის გამო: პერსონაჟები დახატულნი არიან ნოველისტური სტილით, ვხედავთ მათი ცხოვრების მხოლოდ ერთ მონაკვეთსა და მათ ქცევას მოცემულ სიტუაციაში. მწერალი არ

გვიჩვენებს მათ აღზრდას, მათ წარსულ ცხოვრებას, თუ როგორ ჩამოყალიბდა თითოეული მათგანი მოცემულ სახე-პერსონაჟად.

თუმცა მეოცე საუკუნეში ტერმინ “რომანის” ცნება გაფართოვდა, შეიცვალა რომანის ფორმაც (მოცულობისა და კომპოზიციის მხრივ) და პრობლემატიკაც, მაგრამ დღევანდელი ცნებებისა და ტერმინების მისადაგება წარსულში სხვა მეთოდით შექმნილი ნაწარმოებისათვის აუცილებელი არ უნდა იყოს.

უფრო მართებულად ვთვლით, “ხევისბერი გოჩა” მივაკუთვნოთ მოთხრობის ჟანრს. ეს ოდნავაც არ დაამცირებს მას, როგორც არ ამცირებს ასეთი კვალიფიკაცია ი. ჭავჭავაძის “ოთარაანთ ქვრივს”, ა. წერეთლის “ბაში-აჩუკს”, ე. ნინოშვილის “სიმონას”, დ. კლდიაშვილის “ქამუშაძის გასაჭირს” და მრავალ სხვას.

თვალსაზრისი, რომ “ხევისბერი გოჩა”, ლიტერატურის-მცოდნეობის ტერმინოლოგიით, მოთხრობაა, ეს დაფიქსირებულია არა ერთი მკვლევარის ნაშრომში. ამის მიუხედავად, ვისაც სურს “ხევისბერ გოჩას” მაინცდამაინც “რომანი” ეწოდებოდეს, მან უნდა სცადოს იმის დამტკიცებაც, რომ აქ დასახელებული ყველა ნაწარმოები რომანის ჟანრს ეკუთვნის და ისინი არასწორად ყოფილა კვალიფიცირებული.

ამჯერად გვინდა მკითხველთა, პირველ რიგში მასწავლებელთა, ყურადღება შევაჩეროთ უფრო “რთულ” საკითხზე, – **რა არის ამ ნაწარმოების მთავარი თემა, ანუ პრობლემა**, რისი განხილვა და გაშუქებაც მის ავტორს, ალ. ყაზბეგს უნდოდა?

მოთხრობა იწყება საყოფაცხოვრებო რიტუალის – ქორწილის აღწერით. მწერალი საგანგებო ყურადღებითა და დიდი ფსიქოლოგიური სიზუსტით ხატავს ონისესა და ძიძიას, ხოლო შემდეგ ონისესა და მამამისის, გოჩას, ურთიერთობას. **ნაწარმოების კომპოზიცია ონისეს ტრაგიკულ თავგადასავალზეა აგებული:** დაუშვებელი სიყვარული (კვანძი), ონისეს ორმაგი დანაშაული: ერთი

_ გუგუასა და მეორე _ ზოგადად მოხვევთა, თანამებრძოლთა მიმართ (კულმინაცია), მამის მიერ გადაწყვეტილი და ასრულებული განაჩენი (კვანძის გახსნა).

რომანში მნიშვნელოვანი ადგილი (საერთო მოცულობის ერთი მესამედი) ეთმობა მოხვევთა სამზადისს დამოუკიდებლობის დასაცავად, ბრძოლის მსვლელობას, მათ თავგანწირულ შეტაკებას თავდამსხმელებთან. მაგრამ თავდაცვის სამზადისი და ბრძოლა, ჩვენი აზრით, პერსონაჟთა სამოქმედო ასპარეზია, სადაც მათი პატრიოტული და სხვა მამაკაცური თვისებები უნდა გამოჩნდეს. **მოთხრობის მთავარი თემა კი ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხია.** ამ თვალსაზრისით ნაწარმოები ვრცლად განხილულია გურამ ასათიანისა და ლადო მინაშვილის კრიტიკულ წერილებში, აგრეთვე აკაკი თოფურიას მეთოდოლოგიურ ნაშრომში.

სწავლების დროს ძირითადი ყურადღება სწორედ მოვალეობისა და სურვილის დაპირისპირებაზე უნდა გამახვილდეს. დეტალურად უნდა გაანალიზდეს ონისეს ურთიერთობა ძიძიასთან, გუგუასთან, გოჩასთან. მაგრამ როგორ აუხსნის მასწავლებელი ამ რთულ ფსიქოლოგიურ ამბებს 13 წლის ბავშვებს? ონისესა და ძიძიას სიყვარული ხომ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც აკრძალულია იურიდიულად (აქ _ თემის ადათით) და დაუშვებელია ეთიკურადაც, _ ონისე გუგუასა და ძიძიას მეჯვარეა (ხელის მომკიდე) და მათი ოჯახის ნათესავად ითვლება. ეს “უკანონო” სიყვარულია, რომელსაც ხალხი მრუშობას უწოდებს. მის გამო ონისე მძიმე მდგომარეობაში ვარდება; მან ვერ შეასრულა კაცური მოვალეობა გუგუას და თემის მიმართ აგრეთვე _ საკუთარი მამისა და გვარის მიმართ. ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს მისი დანაშაული და სასჯელიც.

სახელმძღვანელოში, თხზულების ბოლოს, მოცემულია ორმოცამდე კითხვა და დავალება. მათ შორის ასეთები: “როგორ პიროვნებად გესახებათ ონისე? რას ფიქრობთ ონისესა და ძიძიას

სიყვარულზე? რა მიგაჩნიათ გოჩასა და ონისეს მთავარ დამახასიათებელ თვისებად? სწორად მიგაჩნიათ თუ არა გოჩას მოქმედება? როგორია ავტორის, თქვენი პოზიცია გოჩას, ონისეს, ძიძიას, გუგუას მიმართ? (გვ. 15-17). დაახასიათეთ მთავარი მოქმედი გმირები ინდივიდუალურად და შედარებითად. მოახდინეთ ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზი. გაარკვეეთ (...) ნაწარმოების თემა, იდეა, მიზანდასახულობა.”

ამას დავუმატოთ “თემები წერითი მუშაობისათვის”: გოჩა _ მამა და ხევის წინამძღოლი, “ვაჟკაცსა შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია”, მოვალეობა და სიყვარული მოთხრობაში “ხევისბერი გოჩა” (გვ19-20).

ჩვენი აზრით, კითხვებიც და საწერი თემებიც სწორად ფორმულირებულია; ისინი მოთხრობის მთავარი პრობლემიდან გამომდინარეობს. მაგრამ კითხვებს პასუხებიც სრულყოფილი უნდა! ალბათ დაგვეთანხმებით, რომ მოსწავლეებს ძალიან გაუჭირდებათ საკუთარი აზრის გამოთქმა. მათი პასუხები შინაგანად ნაგრძობი და გააზრებული ვერ იქნება და ეცდებიან მასწავლებლის ნათქვამის მექანიკურ გამეორებას.

მოსწავლეთა დამოუკიდებელ მსჯელობას ისიც აძნელებს, რომ **წინა კლასებში არ ისწავლება ისეთი ნაწარმოები, სადაც ქალ-ვაჟის სიყვარულზე იქნებოდა საუბარი.** ამ ასაკისათვის საინტერესო, მაგრამ ძნელად გასარკვევი საკითხი მერვეკლასელი ბავშვის წინაშე დგება ონისესა და ძიძიას თავშეუკავებელი ვნების სახით. რა არის ის? თუ ნამდვილი სიყვარულია, რატომაა ამდენი უბედურების მიზეზი? ხოლო თუ “უკანონოა”, მაშინ როგორია კანონიერი და ჩვეულებრივი სიყვარული? რის საფუძველზე განსაზღვრონ ეს 13 წლის მოზარდებმა? საკუთარი ასაკი და პირადი გამოცდილება ამის საშუალებას ვერ მისცემს და იძულებულნი არიან შემთხვევით გაგონილის ან “კლასგარეშე” წაკითხულის მიხედვით იმსჯელონ რთულ ზნეობრივ და სოციალურ პრობლემებზე. ასე გამოდის:

ზრდადაუსრულებელ ბავშვებს ვაიძულებთ “უკანონო” სიყვარულის პერიპეტებში გარკვევას, როდესაც ნორმალურ ურთიერთობაზე – ფაქიზ და ზნეობრივად გამართლებულ სიყვარულზეც კი ჯერ სრული წარმოდგენა არა აქვთ.

ყოველი მასწავლებელი გრძნობს ამ სირთულეს. ალბათ, ერიდება კიდევ ასეთ საჩოთირო შემთხვევაზე ვრცლად საუბარს და ამჯობინებს, ყურადღება გადაიტანოს ნაწარმოების პატრიოტულ შინაარსზე, გოჩას დახასიათებაზე, მოხევეთა შეუპოვარ ბრძოლაზე და ა. შ. თხზულების მთავარი პრობლემა კი გვერდზე რჩება. და ასე იქნება ყოველთვის, რადგან 13 წლის ბავშვისათვის ძნელი დასაჯერებელია ონისესა და ძიძიას სიყვარულის “უკანონობა”, შეუცნობელია გუგუას “გაწბილებული სიცოცხლე” და მისი თვითმკვლევლობა, ასევე – გოჩას მიერ ერთადერთი შვილის მოსაკლავად გამეტებაც.

მოსწავლეებს ამ თხზულების სატრფიალო ამბიდან მძიმე შთაბეჭდილება დარჩებათ და მისი გახსენება სისხლისა და სიკვდილის ასოციაციას გამოიწვევს, რადგან სიყვარულს აქ რაღაც ბოროტი ძალის თვისება ახლავს, – ის სულიერი ტრაგედიის, მკვლევლობის, თვითმკვლევლობისა და სიგიჟის მიზეზი ხდება.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ **“ზევისბერი გოჩას” სრულყოფილად სწავლება VIII კლასში შეუძლებელია.** უკეთესი იქნებოდა მისი გადატანა X კლასში, სადაც “ელგუჯასთან” ერთად გარკვეულ წარმოდგენას მისცემდა ყაზბეგის შემოქმედების თემატიკასა და მხატვრულ ოსტატობაზე. VIII კლასში კი მის მაგიერ გვესწავლებინა ბავშვთა სულიერი სამყაროსათვის უფრო ახლობელი და უფრო გასაგები სხვა ნაწარმოები, მაგალითად, ნოდარ დუმბაძის “მე ვხედავ მზეს” ან არჩილ სულაკაურის “თეთრი ცხენი”. ჩვენი ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ დასახელებული რომანები “ზევისბერ გოჩაზე” უკეთესია. მაგრამ მათში აღწერილია ბავშვობის პირველი სიყვარულიც თავისი სიწმინდითა და უშუალოდით და სრულასაკოვანი ადამიანების

ურთიერთობაც, რაც ბუნებრივი და ზნეობრივად გამართლებულია. მასზე მსჯელობა არც მასწავლებელს ჩააყენებს უხერხულობაში და არც მოსწავლეს. ამ რომანებს სხვა ღირსებებიც აქვს, რაზე საუბარიც აქ აუცილებელი არ არის.

ჟურ. "ბალავერი", 1989, N1-6.

წიგნი საქართველოს დემოგრაფიაზე

გამოვიდა ცნობილი ეკონომისტის და სოციოლოგის, პროფესორ პაატა გუგუშვილს წიგნი "სსრკ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები". ჩვენს რესპუბლიკაში სისტემატური დემოგრაფიული კვლევა-ძიება მხოლოდ ახლა იწყება, ნაშრომებიც მეტად მცირერიცხოვანი გვაქვს. ამიტომ ამ წიგნის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა და მას არათუ სპეციალისტი მკვლევარი, არამედ რიგითი მკითხველიც ვერ დატოვებს ყურადღების გარეშე.

ოთხი ათეული წელია, რაც პროფ. პ. გუგუშვილი იკვლევს საქართველოს სსრ ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიას. ნაშრომში მოცემულია არა მარტო უხვი სტატისტიკური მასალა, არამედ ეს მასალა მეცნიერული საფუძვლიანობით არის შესწავლილი და გაანალიზებული.

დასახელებული ნაშრომი შედგება ათი თავისაგან და თეორიული საკითხების გარდა (როგორცაა: დემოგრაფიის მიზანი და მეთოდი, დემოგრაფიული კვლევა-ძიების ხასიათი სსრ კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, ხალხთმოსახლეობის სოციალისტური კანონის განსაზღვრა და სხვ.) განხილულია ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობრივი და ეროვნული შედგენილობის დინამიკა 1800-დან 1970 წლამდე. მოცემულია ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება საბჭოთა პერიოდში და მისი მიზეზები. სხვა რესპუბლიკებთან და ხშირად საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით განხილულია ცვლილებანი საქორწინო

ასაკში, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების დაქორწინებულთა პროცენტი და ბავშვთა რაოდენობის საკითხი ოჯახში.

მკვლევარი კარგად გვიჩვენებს თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას და ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთობას როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთის კაპიტალისტურ და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში, გვაძლევს სსრ კავშირისა და ცალკეული რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხოვნების პროგნოზს მე-20 საუკუნის ბოლომდე.

ასეთი წიგნი, რომელშიც აუცილებელია მათემატიკური გაანგარიშების, გამოთვლისა და სხვადასხვა სახის ცხრილების ჩართვა, იშვიათია რომ ადვილად წასაკითხი იყოს. ამ ნაშრომის ღირსება კი ისიც არის, რომ თეორიული მსჯელობისა და სტატისტიკური მასალის შენაცვლებისა და თანაზომიერი განაწილებით იგი რიგითი მკითხველისათვისაც ადვილად გასაგები და საინტერესო ხდება. წიგნს ერთვის ვრცელი (43-გვერდიანი) რეზიუმე რუსულ ენაზე, რაც მამრომში განხილულ საკითხებზე საკმაოდ სრულ წარმოდგენას მისცემს ქართული ენის უცოდინარ მკითხველს.

ჩვენ ვერ ვიკისრებთ ამ წიგნის ყოველმხრივ განხილვას, შევეხებით მხოლოდ პატივცემული მკვლევარის მიერ დაყენებულ ზოგიერთ საკითხს. მოვიტანოთ რამდენიმე რიცხობრივი მონაცემი: 1800 წელს ამიერკავკასიაში (დღევანდელი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ტერიტორიაზე) ცხოვრობდა 1.430.000 კაცი, 1926 წელს – 5.793.000, ხოლო 1970 წლისთვის სამივე რესპუბლიკის მოსახლეობა გაიზარდა 12.295.000 სულამდე. ამ მოსახლეობაში ქართველი იყო 1800 წელს 43 პროცენტი, 1970 წ. – 25,5 პროცენტი.

წიგნის ავტორისა და აგრეთვე სხვა საბჭოთა დემოგრაფების გაანგარიშებით უახლოეს 26 წელიწადში (2000 წლისათვის)

ამიერკავკასიის მოსახლეობა გაიზრდება 22 მილიონამდე, რომელშიც ქართველები იქნებიან მხოლოდ 20 პროცენტი.

ნაშრომში გამოკვლეულია ის ფაქტორები, რომლებიც სხვადასხვა ერში არათანაბარ მატებას, ანუ მოსახლეობის აღწარმოების სხვადასხვანაირ ტემპს განაპირობებს. მატების მთავარი ფაქტორია შობადობა. შობადობის ტემპს კი განსაზღვრავს ქორწინების სიხშირე, დაქორწინებულთა ასაკი და თითოეულ ოჯახში შობილ ბავშვთა რაოდენობა. პატივცემული მკვლევარი მართებულად აღნიშნავს, რომ არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდა, მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე “ამა თუ იმ ზომით, მოქმედებენ არათუ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და ახლა თითქმის მივიწყებული ზნე-ჩვეულებანი, ყოფიერებითი მომენტები და სხვა., არამედ საერთოდ ნაციონალური, რელიგიური და თვით რასობრივი წარმომავლობის ფაქტორებიც კი” (გვ. 7) მაგალითად, წიგნში მოტანილი ცნობის მიხედვით, მუსლიმანულ ქვეყნებში ქალთა 95 პროცენტზე მეტი თხოვდება, როდესაც ქრისტიანულ ქვეყნებში 10-15 პროცენტი გაუთხოვარი რჩება. ამ უკანასკნელს ეკუთვნიან ქართველი ქალებიც. ისინი სხვა ეროვნების ქალებს დიდად ჩამორჩებიან ნაყოფიერ ასაკში გათხოვებისა და შვილთა რაოდენობის მხრივაც.

მაგრამ ეს საკითხები მარტო ქართველებს არ ეხებათ. პროფ. პ. გუგუშვილი ამ ნაშრომში საგანგებოდ მიუთითებს ბოლოხანს დამკვიდრებულ უარყოფით ტენდენციაზე: ესაა უკანასკნელ ათეულ წლებში ბუნებრივი მატების კლება საკავშირო მასშტაბით. მაგალითად, მოსახლეობის 1000 სულზე ბუნებრივი მატება სსრ კავშირში 1926 წელს იყო 23,3; 1950 წ. _17; 1971 წ. _ 9,6 სული. ზოგ რესპუბლიკაში კი ბუნებრივი მატება ამ საშუალო მაჩვენებელზე უფრო დაბალია, მაგ., 1971 წელს მატება უდრიდა: რსფსრ-ში _ 6,4; უკრაინაში 6,5; ესტონეთში _ 5,1 ლატვიაში _ 3,7 სულს. აღწარმოების ასეთი სუსტი ტემპი იწვევს საზოგადოებაში მოხუცებულთა რიცხვის

გაზრდასა და ბავშვთა და შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, ე.ი. იწყება “საზოგადოების დაბერება”.

ბუნებრივი მატების ტემპი მაღალია შუა აზიის რესპუბლიკებში (საშუალოდ 28,2) და აზერბაიჯანში(21,2), მაგრამ ისინი ვერ ანაზღაურებენ სხვების დანაკლისს და საშუალო მაჩვენებელი საერთოდ სსრ კავშირში მაინც საჭიროზე ნაკლები გამოდის.

წინათ დედამიწის მოსახლეობა ნელი ტემპით იზრდებოდა, ამჟამად ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდების გამო რაოდენობრივი მატება უფრო მნიშვნელოვანია. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოში ყოველწლიურად იზადება 120 მლნ., კვდება 55 მლნ., საშუალო წლიური მატება შეადგენს 65 მილიონს. საბჭოთა და უცხოელი მეცნიერების საფუძვლიანი გაანგარიშებით, ამ საუკუნის ბოლო 30 წელიწადში დედამიწის მოსახლეობა თითქმის ერთიორად გაიზრდება და 7 მილიარდს მიაღწევს. მაგრამ ამ მატებაში ყველა ქვეყნის წილი ერთნაირი არ იქნება. მაგ., საბჭოთა კავშირის მოსახლეობა მოიმატებს მხოლოდ 24 პროცენტით.

მოტანილი ციფრებიდან სჩანს: ჯერ ერთი ის, რომ საბჭოთა კავშირის ბუნებრივი მატების ამჟამად არსებული ტემპი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ოპტიმალურ აღწარმოებას. იგი ჩამორჩება მატების პროცენტით არა მარტო ხალხმრავალ მეზობელ სახელმწიფოებს აზიაში, არამედ ინდუსტრიულ ქვეყნებსაც.

მეორეც, _ თვით მოკავშირე რესპუბლიკებსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებებს შორის ბუნებრივი მატების ტემპი დიდად განსხვავებულია. სხვადასხვა მხარეში ასეთი არათანაბარი მატება მოკლე ხანში დიდ ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო სიმწელებებს წარმოქმნის. მაგალითად, შუა აზიასა და ყაზახეთში 1970 წ. ცხოვრობდა 32,8 მლნ. სული. ახლანდელი ტენდენციის მიხედვით, ამ საუკუნის ბოლომდე იგი 70 მილიონს მიაღწევს. ეს ნიშნავს, რომ

დროის ამავე მონაკვეთში ერთიორად და მეტად უნდა გადიდდეს საბინაო ფონდი, სასწავლო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაგებობანი. ერთიორად უნდა გაიზარდოს დასამუშავებელი მიწის ფართობი, რაც მოითხოვს ამაყმად წარმოუდგენელი სიდიდისა და სირთულის საირიგაციო სისტემების მშენებლობას. ასევე შესაბამისად უნდა განვითარდეს მეცხოველეობის სხვადასხვა დარგი, მრეწველობა, ტრანსპორტი და ბევრი რამ სხვა.

ქვეყნის ევროპულ ნაწილში კი (რომელიც ბუნებრივი რესურსებით უფრო მდიდარია), უკვე იგრძნობა ახალგაზრდობისა და საერთოდ შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაკლებობა. ამიტომ სავსებით დროულია საბჭოთა დემოგრაფის მ. ბედნის გამაფრთხილებელი მტკიცება, რომ აქ შობადობის ამაღლებისათვის თუ არ იქნება მიღებული აქტიური ზომები, მაშინ უახლოეს წლებში ზოგიერთ ოლქში შეიძლება მოკვდაობამ გადააჭარბოს შობადობას.

სსრ კავშირში მრავალშვილიანობისათვის დახმარების ამაყმად არსებული კანონმდებლობა მოქმედებს 1944 წლიდან და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ხალხის მიერ სამამულო ომში გაღებული დიდი მსხვერპლისა და მატერიალური დოვლათის აღდგენის საქმეში. მაგრამ დღეისათვის საბჭოთა კავშირში სიციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ოჯახის სტრუქტურაც არსებითად შეიცვალა. ამაყმად სსსკ მოსახლეობის ზრდას განაპირობებს არა 10 და 15 შვილიანი, არამედ 2-3 და 4 შვილიანი ოჯახები, რომელნიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. 1970 წლის აღწერის მიხედვით, სსრკ-ში მცხოვრებ ოჯახთა საერთო რაოდენობაში 5 და მეტშვილიანი იყო 4,1%, ესე იგი, ამაყმად არსებული ფულადი დახმარება ეხება სსრკ ოჯახების 4,1 პროცენტს და კიდევ იმ 3,8 პროცენტს, რომელთაც 4 შვილი ჰყავთ (სულ 7,9%).

პ. გუგუშვილს მოაქვს ცნობილი საბჭოთა დემოგრაფების: ბ. სმულევიჩის, პ. ზვიდრინის, ა. კვაშას, დ. ვალენტეის, მ. ბედნის, ვ. სტემენკოს მართებული და დასაბუთებული მოსაზრებები, რომ სსრ

კავშირში მრავალშვილიანობისათვის არსებული დახმარების სისტემა არ ახდენს მასტიმულირებელ გავლენას იმ რესპუბლიკებში, სადაც შობადობა დაბალია, რომ საჭიროა სხვადასხვა რესპუბლიკებისა თუ ოლქებისათვის დიფერენციული კანონმდებლობის შემოღება; რომ **უმჯობესია სათანადო დახმარება მივცეთ დედებს მეორე და მესამე შვილის გაჩენისას, ვიდრე ვაქეზებდეთ მეცხრე და მეათე შვილის დაბადებაზე.**

ეს უკანასკნელი დებულება საყურადღებოა იმიტომაც, რომ სსრ კავშირში დიდია 1-შვილიანი ოჯახების რაოდენობა – 35,5% (საქართველოს რესპუბლიკაში 1-შვილიანია ოჯახების 26,8%), რაც თავისთავად არასასურველი მოვლენაა. უდავოა, რომ ოჯახში მხოლოდ ერთი ბავშვის აღზრდა (როცა არის მეტის ყოლის ფიზიკური შესაძლებლობა) არ ამართლებს არც მშობლების მორალს (შვილის მიმართ), არც მათს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და არც პედაგოგიურ პრინციპს შეესაბამება.

მაგრამ დღევანდელ პირობებში არაბუნებრივია აგეთვე არათუ 10 და 15-შვილიანი, არამედ 6-7-შვილიანი ოჯახიც. ბავშვის აღზრდას თანამედროვე პირობებში მრავალი სირთულე ახლავს. მას სჭირდება გარკვეული ფართობი ბინაში, მატერიალური უზრუნველყოფა, სწავლა, მშობლების ყურადღება და ფიზიკური და გონებრივი ენერჯია. მრეწველობის ავტომატიზაციისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პირობებში თანდათან მცირდება უსწავლელი მუშახელის დასაქმების სფერო, რაც ყველასათვის აუცილებელს ხდის სათანადო განათლებისა და სპეციალობის მიღებას. ამიტომ 20-25 წლამდე შვილების მატერიალური უზრუნველყოფა მშობლებს ეკისრებათ. მაგრამ როცა ეს შეუძლებელი ხდება მრავალშვილიანი მშობლები იძულებული არიან ბავშვები ან სკოლა-ინტერნატებში და ბავშვთა სახლებში მიაბარონ, ან სხვადასხვა ინსტანციაში იარონ ბინის, ფულადი და სხვა დახმარების სათხოვნელად.

ამ წიგნის ავტორისა და სხვა საბჭოთა დემოგრაფების საერთო აზრია, რომ ამჟამად მოქმედი კანონი არ შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დღევანდელ დონეს და არსებობს საკმაო საფუძველი და აუცილებლობაც ახალი კანონმდებლობის მისაღებად.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგი სპეციალისტი იმის მომხრეა, რომ შემოღებულ იქნას დიფერენციული კანონმდებლობა. ანუ დახმარების სხვადასხვა სისტემა თითოეული რესპუბლიკისათვის. ეს, რა თქმა უნდა, საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა. მაგრამ ამ მიზნით გულმოდგინედ შესწავლილი უნდა იქნას ყოველ რესპუბლიკასა და ეროვნებაში შობადობის მასტიმულირებელი ან შემაფერხებელი ფაქტორები. თანაც იგი სახელმწიფოსაგან დიდ სახსრებს მოითხოვს. ამიტომ დიფერენციული კანონმდებლობის მომზადებასა და გატარებას გარკვეული დრო დასჭირდება.

მანამდე კი აუცილებელია, რომ ახლანდელი ფინანსური შესაძლებლობის მიხედვით, მიღებულ იქნას ყველასათვის საერთო, ზოგადი კანონი, რომელიც გაითვალისწინებს თანამედროვე ურბანიზაციის პერიოდის ოჯახის სტრუქტურას და დაემყარება იმ ფაქტს, რომ ამჟამად ჩვენი სახელმწიფოსათვის იდეალურია 3 და 4-შვილიანი ოჯახი, იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის მატების ოპტიმალურ ტემპს და თვით ოჯახის საყოფაცხოვრებო და მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებითაც გამართლებულია. ახალმა კანონმდებლობამ ხელი უნდა შეუწყოს სწორედ ამ ტიპის ოჯახის დამკვიდრებას საკავშირო მასშტაბით. თორემ არსებულ მდგომარეობაში, როცა სხვადასხვა ოჯახში ბავშვთა რიცხვი 1-დან 17-მდე მერყეობს, შეუძლებელი იქნება ოჯახური გეგმიანობის გატარება და ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს კანონზომიერი ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

პროფ. პ. გუგუშვილის ახალი მეცნიერული ნაშრომი სხვა საინტერესო საკითხებსაც აყენებს, რომელთაც უშუალოდ გაეცნობა დაინტერესებული მკითხველი.

გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1974, 7.VI.

Какая семья нам нужна?

В «Литературной газете» №47 (1974г.) напечатана статья матери-героини Веры Захаровны Кучиной (жительницы поселка Менделеево Московской области) – «Моя гордость, моя обида ...». В этой статье мы знакомимся с одной советской семьей, в которой подрастает хорошее молодое поколение – растут здоровые, трудолюбивые и честные дети. Их всего десять. Мы видим и то, что В. Кучина является хорошей матерью. Она воспитывает своих детей образцово – делает все для того, чтобы они выросли полезными, честными, трудолюбивыми и культурными членами нашего общества.

Известно, что правительство проявляет особую заботу к многодетным семьям. Но В. Кучина и сочувствующая ей – Герой Советского Союза Марина Чечнева – требуют еще большего внимания и помощи этим семьям – помощи как официальной от государства, так и неофициальной от общества. Эти требования не слишком претенциозны. Однако, благосклонное отношение редакции к этим

требованиям, создает читателю, по нашему мнению, неправильную ориентацию о желательном типе современной семьи и о нужных мероприятиях ее урегулирования.

Нам кажется неправильным требование – «все для многодетных семей!» Поскольку такие семьи не могут считаться типичными – ни сегодня, ни в будущем. Начнем с того, что многодетная семья, насчитывающая не только 10 и 15, а даже 6-7 душ детей, не является нормальной, обыкновенной. Отцу и матери не по силам ухаживать и растить такое количество детей – не по силам не только в материальном смысле, но и в физическом. Поэтому в воспитании этих детей поневоле участвуют различные государственные учреждения. Приглядимся к семье самих Кучиных. Они живут в 6-комнатной коммунальной квартире. Как пишет В. Кучина, посторонние помогли ей в устройстве этой квартиры, предоставили мебель для детских комнат, пятеро детей обедают в школе бесплатно, школа предоставляет учебники бесплатно и еще выдает по сто рублей ежегодно для приобретения обуви и одежды. Четверо детей воспитываются в детском саду и яслях (очевидно, с уменьшенной платой). Семья получает двойную помощь – согласно Указам Президиума Верховного Совета СССР от 8 июля 1944г. и от 25 сентября 1974г. – более 70 рублей в месяц. За счет профсоюзов предоставляются путевки в санатории и пионерские лагеря, а также, наверное, единичная денежная помощь. Следует учитывать и то, что сама В. Кучина является умной, энергичной женщиной («Я-то с моим характером всего для своих добьюсь, отыщу, достану»). И муж у нее –

честный труженик. Их прилежным трудом и при помощи различных государственных учреждений семья и держится. Примерно, в таком же положении находятся все многодетные семьи в нашем государстве. Они благоденствуют за счет государства, т.е. за счет малодетных и бездетных граждан.

Однако, В. Кучина требует особых условий и льгот для многодетных семей. По ее мнению, «для таких семей лучше был бы отдельный домик – и детям просторнее, и не мешали бы никому». Кучина высказывает пожелание, чтобы для таких семей открылись специализированные магазины, чтобы матерей-героинь всюду обслуживали вне очереди и т.д.

Допустим, что все требуемое В. Кучиной, было выполнено. Что мы получим в результате этого? Будут улучшены условия жизни многодетных семей, но будет ли решен еще более важный, государственного значения вопрос – вопрос оптимального воспроизведения населения. Можно прямо сказать: нет, этот вопрос останется нерешенным.

Многодетных семей мало – всего 4,1% во всем Советском Союзе. Они не могут решить вопроса роста численности населения; увеличение же числа таких семей настолько, чтобы они обеспечивали оптимальное воспроизведение населения, невозможно. В нашей стране женщины активно участвуют в различных сферах народного хозяйства, культуры и образования; в условиях утверждения урбанистического

образа жизни как в городах, так и в сельских местностях лишь единицы могут рожать и воспитывать 5-6 и больше детей. Общеизвестен и такой факт: с 1950 по 1970гг. в результате особенной заботы правительства выросло число многодетных матерей, однако, **общий коэффициент естественного роста населения во всесоюзном масштабе сократился почти вдвое.** Это произошло потому, что выросло также число бездетных и однопородных семей, т.е. возникли две крайности демографического процесса, чреватые нежелательными последствиями.

Следовательно, поощрением и оказанием помощи многодетным семьям проблемы народонаселения не могут быть решены. А эти проблемы существуют. Из этих проблем экономисты и социологи главными считают ускорение темпа роста общей численности населения СССР и нивелирование диаметрально различных тенденций естественного роста населения в различных республиках с тем, чтобы во всех районах страны происходил процесс воспроизведения в нужных размерах молодого поколения и трудоспособного населения.

Задача обеспечения естественного роста населения как сейчас, так и в будущем ложится на плечи семей с 2, 3 и 4 детьми. Эти семьи составляют огромное большинство населения. Вот цифры, хорошо знакомые специалистам: из семей, живущих в Советском Союзе, бездетными являются 21,7%; один ребенок имеется – в 35,5% семей; двое детей – в 26,5%, трое детей – в 9,0%, четверо детей – в 3,8%, пятеро и больше детей – в 4,1%. Так что, семьи с одним, двумя и тремя детьми

составляют 71%. По возрасту и физическим возможностям они располагают реальными резервами роста и при их стимулировании и поддержке со стороны государства стало бы возможным проведение правильной демографической политики.

В каком положении находятся сейчас семьи с одним, двумя и тремя детьми? (ничего не говорим о бездетных семьях, не только не получающих никакой помощи, но даже плативших налог за бездетность).

При рождении первого, второго и третьего ребенка условия жизни семьи существенно ухудшаются: сокращается доход на душу семьи (мать не работает в течение длительного времени), ухудшаются жилищные условия, появляется много новых забот, связанных с воспитанием детей: какие-либо существенные льготы для таких семей законодательством не предусматриваются (по новому указу лишь некоторые семьи получают денежную помощь). Рассчитывать на улучшение жилищных условий таким семьям не приходится – Исполкомы Советов Депутатов Трудящихся не ставят в очередь на получение квартиры тех, кто располагает т.н. санитарной нормой – 4 кв.метра на душу. Следовательно, нет никаких материальных стимулов для рождения второго и третьего ребенка. Все зависит от морально-этических качеств и гуманности мировоззрения родителей.

Как видим, заостряя внимание на многодетных семьях, мы оставляем вне внимания самую большую и надежную часть населения,

которая не меньше нуждается как в улучшении жизненных условий, так и моральной поддержке.

Если мы хотим достичь необходимого роста, хотим иметь во всех республиках нужное количество трудоспособного населения, то государство должно ориентироваться на семьи с 3-4 детьми. Поэтому необходимо пересмотреть закон, принятый в 1944 году. Этот закон выполнил свою историческую роль, но сейчас уже не соответствует сегодняшнему уровню экономического и социального развития нашего государства. Мы считаем вполне современным соображение известного социолога проф. Б. Урланиса о том, что следует пересмотреть практику поощрения многодетных матерей, что поощрять следует женщин, воспитавших 3-4 полноценных членов общества, а не тех, кто, народив 10 душ детей, ходит по учреждениям с жалобами и просьбами. Семьи с 10-15 детьми в современных условиях воспринимаются как неестественные исключения, и поощрять их нет никакой надобности.

Мы думаем, что сама редакция «Литературной газеты» должна более критически относиться к письмам и предложениям, подобным тем, которые изложены в статье В. Кучиной.

(werili rusulad Targmna mweralma ramaz kobiZem. gagzavnili iyo «Литературная газета»-s redaqliaSi, rogorc gamoxmaureba 1974w. #47 da 1975w. #9-Si dabeWdil v. kuCinas statiebze, magram ar gamoqveynebula.)

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვა;

ხელისხელ საგოგმანები;

„ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს“;

„ვეფხისტყაოსნის“ რითმის ზოგიერთი საკითხი;

თეზისები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიისათვის;

მასალები „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარისათვის;

ვაჟა – ფშაველა_ მწერალი და მამულიშვილი;

„ვისაც მტერობა მასწყურდეს...“;

მძიმე ტვირთი;

სწავლის პრინციპი და მეთოდი შედეგით ფასდება;

ახალი სახელმძღვანელო ძველი და ახალი შეცდომებით;

რას ხედავს მოსწავლე „ხევისბერ გოჩაში“;

წიგნი საქართველოს დემოგრაფიაზე;

Какая семья нам нужна?.

გიორგი ხვთისოს ძე არაბული

ლიტერატურული წერილები და სხვა...

თბილისი 2013

რედაქტორი : ნინო ციხისთავი

ტექნიკური რედაქტორი: ქეთევან მუსერიძე

საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული აკადემიის სტამბა